

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება

მ.ჯ.გოგიტიძე, გ.ა.ბეჟიტაშვილი,  
მ.ი.გოგოლაძე, დ.რ.მჭედლიძე,  
გ.ე. ნაირაშვილი, მ.რ.სამხარაძე



## სოხუმი განერალი და ადმირალი საქართველოდან



გამომცემლობა „მწიგნობარი“  
თბილისი 2024

სამეცნიერო რედაქტორი

### **ნიკო ჯავახიშვილი**

აკადემიკოსი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის  
უცხოელი წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

სამხედრო კონსულტაციი

### **თენგიზ შუბლაძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.  
თადარიგის გენერალ-მაიორი

სარედაქტო კოლეგია

### **ვან ბაბურთი**

თბილისის საპატიო მოქალაქე  
საქართველოს დამსახურებული უურნალისტი  
საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების საპატიო წევრი

### **გურამ ნიკოლაიშვილი**

თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი

### **ნიკოლოზ გოგიტიძე**

თადარიგის იუსტიციის გენერალ-მაიორი

კორექტორი

### **მანანა გორგიშვილი**

დამკაპადონებელი

### **თამარ ტყაბლაძე**

ყველა უფლება დაცულია. წინამდებარე წიგნის არც ერთი ნაწილი არ  
შეიძლება იყოს გამოყენებული საავტორო უფლებების მქონე პირთა  
წერილობითი ნებართვის გარეშე.

© მ.გოგიტიძე, მ.გოგოლაძე, **გ.ბეჭიტაშვილი**, დ.მჭედლიძე, გ.ნაირაშვილი,  
მ. სამხარაძე

ISBN 978-9941-514-58-6

ԱՅԻՆՐԵՒԹՈ ՀԱՅՈՒԹՎԱՅՈՅ  
ԹԱԴԼՈՂԱՐԵՒԹԱՍ ՀՅՈՒՅԹՈՎԱՅ  
**ՐԱՖԻԿ ԱԳԱՋԱՆՅԱՆՈՒՍ**

ԹՈՒՐՄԱ, ԽՈԹՈՈՍ ՀՈՒՆԱՇԱՀՈՒ  
ԹԵԱՐԺԱԺԵՐՈՒ ՀԱՅՈՒԹՎԱ ԸՆԹԱՑՈՒ

THE AUTHORS EXPRESS

THANK YOU MECENAT

**RAFIK AGAJANIAN**

A BOOK WAS PUBLISHED WITH THE  
SUPPORT

## ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

1723 წლის 16 სექტემბერს, ზუსტად 300 წლის წინ, რუსეთის იმპერატორმა პეტრე I გამოსცა „უმაღლესი სიგელი“, რათა რუსეთის არმიაში გაეწვიათ რუსეთში კომპაქტურად მცხოვრები ქართველები და სომხები. თავდაპირველად მათი რიცხვი შეადგენდა 700 კაცს. შემდგომში კი ეს რიცხვი გაიზარდა რამოდენიმე ასეულამდე.

1730 წელს ხსენებული ასეულები გადაიყვანეს დერბენდის ციხესიმაგრეში, ხოლო 1733 წელს, წმინდა ჯვრის ციხესიმაგრეში (ჩრდილოეთ კავკასიაში), მოგვიანებით კი ყიზლარში.

1747-1749 წწ. ყიზლარის ქართული ასეულის ქართველი და სომხები სამხედროები დაითხოვეს ჯარიდან იმ პირობით, რომ ისინი დარჩენილიყვნენ საცხოვრებლად ყიზლარში. ქართულ-სომხური კოლონია ხელს უწყობდა რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფოსთან და, კერძოდ კავკასიასთან მჭიდრო ურთიერთობათა დამყარების საქმეში.

XVIII-XX სს. განმავლობაში საქართველოში დაბადებული სომხები, რომლებიც თვლიდნენ (და დღესაც თვლიან) საქართველოს თავიანთ საშმობლოდ, გულმოდგინედ მსახურობდნენ თავის ქართველ მქებთან ერთად რუსეთის იმპერიის ჯარში და მათთან ერთად მონაწილეობდნენ ყველა სამხედრო კამპანიაში, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის იმპერია.

ეს ხალხიდა მათი შთამომავლები მონაწილეობა რუსეთ-სპარსეთის (1806-1812), (1826-1828), რუსეთ-თურქეთის (1828-1829), ყირიმის (აღმოსავლეთის) (1853-1856) და რუსეთ-თურქეთის (1877-1878) წწ. ომებში, ხოლო XX საუკუნის დასაპყისში მონაწილეობდნენ რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და პირველ მსოფლიო (1914-1918) ომებში, მოგვიანებით კი მეორე მსოფლიო ომში (1939-1945) და საბჭოთა კავშირის (1941-1945) წწ. დიდ სამამულო ომში

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამხედრო სამსახურმა მისცა საშუალება უამრავ საქართველოდან გამოსულ ეთნიკურ სომებ გენერალს და ადმირალს მთლიანად მოეხდინათ თავიანთი პროფესიული შესაძლებლობების რეალიზება, აჩუქა შანსი გამხდარიყვნენ სახელგანთქმული მხედართმთავრები, სამხედრო მეცნიერების თეო-რეტიკოსები და პრაქტიკოსები.

დღემდე სამწუხაროდ ამ სამხედრო მოღვაწეებზე მონაცემთა შეგროვება-სისტემატიზაციით არავინ იყო დაკავებული.

ამ ნაშრომის წინამორბედმა ნახა მზის სინათლე 2014 წელს, და გამოვიდა ორ ენაზე (ქართულად და რუსულად), მაგრამ როგორც ყოველთვის ხდება, ავტორებმა (მ.გოგიტიძე, გ.ბეჟუტაშვილი), ვერ აიცილეს ის უმნიშვნელოვანესი ლაფსუსები, რომლებიც თან ახლავს ყოველთვის ამა თუ იმ ნაშრომს და, რადგან ქართულმა და სომხურმა საზოგადოებამ ის წიგნი მიიღო და დიდი ყურადღებით გაეცნო, ავტორთა ახალი შემადგენლობის მიერ იქნა მიღებული სავსებით სწორი გადაწყვეტილება - შეგვეთავაზებინა ქართველი და სომეხი მკითხველისთვის წიგნის ახალი დაზუსტებული გამოცემა - ქართულად და სომხურად, გადაგვემუშავებინა და დაგვემატებინა ჩვენს ხელთარსებული ახალი ინფორმაცია. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ახალი ნაშრომი შეიტანს სათანადო წვლილს ქართველი და სომეხი ხალხის სამხედრო თანამეგობრობის ისტორიის დარგში.

ნაშრომში განხილულია რუსეთის იმპერიის მეფის არმიის (69), რუსეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის (1917) – (8), რუსეთის „თეთრი არმიის“ – (1), სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის (1918-1920) – (4), საბჭოთა კავშირის არმიისა და ფლოტის და მათთან გათანაბრებული პირების (41 გენერალი და 2 კონგრადმირალი), თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკის არმიის (7), საქართველოს (1) და საზღვარგარეთის ქვეყნების სომეხი ეროვნების გენერლების (5) პიოგრაფიები, რომლებიც გამოსულნი არიან საქართველოდან. სულ 138 პერსონალია.

სულ ნაშრომში წარმოდგენილია პერსონალიათა 99 ფოტო, ბევრი მათგანი ქვეყნდება პირველად, 39 პერსონალთა ფოტოები კვლევა-ძიების პროცესშია.

### ავტორ-შემდგენლები





I

ରୂପାବଳୀ ଉତ୍ସାହିତ

(1801-1917)



არტემი დავითის-ძე აბაშელიძოვი  
(აბაშელიძი), თავადი  
(20.10.1823 – 1884)

გენერალ-მაიორი (20.08.1869)

გენერალ დავით აბაშელიძოვის (აბაშელიქის) შვილი.  
დაიბადა ქ.მოსკოვში.

1843 წელს დაამთავრა გვარდიულ პოდპრაპორშიკთა და კა-  
ვალერიის იუნკერთა სასწავლებელი და დაიწყო სამხედრო სამ-  
სახური ვიურტემბერგის მეფის სახელის ჰუსართა პოლკში.

მსახურობდა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის ადიუტან-  
ტად.

მონაწილეობდა 1853-1856 წლების ყირიმის ომში (აღმოსავ-  
ლეთის) ელიზავეტგრადის ჰუსართა მე-3 პოლკში.

1861 წლის 23 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო  
წოდება.

1863 წელს დაინიშნა კავკასიის კავალერიის დივიზიის I-ი  
ბრიგადის მეთაურად.

1863-1864 წლებში მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების  
ჩახშობაში.

1866 წლიდან მეთაურობდა მალოროსიის დრაგუნთა მე-14  
პოლკს.

1869 წლიდან მიწერილი იყო ადგილობრივ ჯარებთან.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო  
ოქროს ხმლით (წარწერით „მამაცობისათვის“-1864); და რუსე-  
თის ორდენებით.

**ნმ.ანას III** (1854), და II (მახვილებით-1864 );

**ნმ.ვლადიმერის IV** (1867), და III (1881);

**ნმ. სტანისლავის II** ხარ.ორდ.(1856);

მიღებული ჰქონდა საზღვარგარეთის ჯილდოები:

ორდენი „სამხედრო დამსახურებისათვის“ II ხარ. (მეცლენ-ბურგ-შვერინი-1878) და „დამსახურებისათვის“ (პრუსია-1878).



davi T si moni s-Ze abamel i qovi  
(abamel i qi), Tavadi  
(10.03.1774-23.10.1833)

general -mai ori (30.08.1818)

dai bada q.t fil i sSi . general i s.abamel i qov (abamel i q-i s) umcrosi Zmaa.

1421 wel s, saqar Tvel oSi gadmosaxl ebul i somxuri uZ-vel esi gvaris erT-erTi warmomadgenel Tagani i yo.

1800 wl i s 9 i anvars, mas Semdeg rac qarTI -kaxeTi samefo karis mRvdI i s, si mon ohanesi s-Ze abamel i qis qal i S-vil i el ene (1770-1836) gaxda ufl i swul dav i T gi orgi s-Zi s meuRI e, am gvaris tfil i suri Sto aamaRI es TavadTa me-3 xarisxSi . davi Ti ZmasTan - ivanesTan er Tad, 1797 wel s Car-icxes gvardi ul arti l eriaSi rotmistrad.

1798-1812 wl ebSi msaxur obda husar Ta I ai b-gvardi i s pol kSi . i yo ra sabrZol o oficeri, man Tavis i cxovrebi s udi desi nawi l i gaata ra samxedro samsaxur Si .

monawi l eobda (1805-1807) wl ebis ruseT-safrangeTi s omSi . i brZoda austeri ic Tan, gut Stadt Tan, hel sberg Tan. mama cobi saTvi s, romel i c man gamoiCcina fridl and-Tan brZol i sas, 1807 wl i s 2 i vni ss, prusi s i mperator ma dav i T abamel i qovi daaj i l dova ordeni T „damsaxurebi -saTvi s,, da oqros xml i T (mama cobi saTvi s).

**1808 wl i s 20 mal ss daj II dovdawm. gi orgi s IV xarisxi s ordeni T.**

მონაწილეობდა რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში. მეთაურობდა რა ჰუსართა ლაიბ-გვარდიის ესკადრონს, 1812 წლის ივნის-ივლისში მიიღო მონაწილეობა ფრანგების წინააღმდეგ ნარმოებულ ბრძოლებში - ვოლკომირთან, ოსტროვნოსთან, კუკლოვიცთან, იანკოვთან, ხოლო ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ ებრძოდა მოწინააღმდეგებს ტარუტინოსთან, მალინიარო-სლავლთან და დოროგობუჟთან.

დაწინაურდა რუსეთის არმიის საზღვარგარეთის ლაშქრობაში ევროპაში, კერძოდ საქსონიაში, ლიუცენთან და ბაუცენთან.

1812 წლის 26 იანვარს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1814 წლის 18 მარტს ძმასთან ერთად შევიდა პარიზში.

1815 წლის 30 დეკემბერს დაინიშნა ტაგანროგის ულანთა პოლკის მეთაურად.

1816 წლიდან მეთაურობდა ბორისოგლებსკის ულანთა პოლკს.

1818 წელს დაინიშნა ულანთა 2-ე დივიზიის 2-ე ბრიგადის მეთაურად, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო დავით აბამელიქოვი იძულებული გახდა 1824 წელს გადამდგარიყო სამხედრო სამსახურიდან.


თავისუფლად ფლობდა: სომხურს, ქართულს, სპარსულს და რუსულ ენებს, საკმაოდ კარგად იცოდა თურქული ენა.

1824 წელს შეიძინა სახლი მოსკოვში, ბასმანის ქუჩაზე.

რუსეთ-სპარსეთის (1826-1828) წლების ომის დროს, კვლავ ბრუნდება ჯარში და მეთაურობს კავალერიის IV სარეზერვო კორპუსის სარეზერვო ბრიგადას. შემდგომში მონაწილეობს რუსეთ-თურქეთის (1828-1829) წლების ომშიც.

საბრძოლო დამსახურებისათვის ამ ორივე სამხედრო კამპანიაში დაიმსახურა რუსეთის ორდენები ნმ. ვლადიმერის III და ნე. ანას III (ალმას. ნიშნ.) ხარისხის ორდენები.

გარდაიცვალა ქალაქ დრეზდენში. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში სმოლენსკის სომხური სასაფლაოს ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში.



**სიმონ დავითის-ძე აბაშელიქოვის  
(აბაშელიქი), თავადი  
(1873 წ. - აბაშელიქ - ლაზარევი)  
(15.10.1815 – 25.04.1888)**

**გენერალ-მაიორი (06.12.1859)**

გენერალ დავით აბაშელიქოვის (აბაშელიქის) შვილი და არტემი აბაშელიქოვის (აბაშელიქის) ძმაა.


დაიბადა ქ. სანქტ-პეტერბურგში.

მსახურობდა ლაიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკში.


1859 წელს გავიდა თადარიგში და 1862 წლიდან გახდა თავის მეუღლისა და სიმამრის მამულებისა და ქარხნების მთავარი განმკარგველი.

მეთაურის სამხედრო გამოცდილებამ დაეხმარა სიმონ აბაშელიქოვს რთული და დიდი მეურნეობის განკარგვა. თავის მრავალრიცხოვან მამულებში აშენებდა ახალ ეკლესიებს და უკეთებდა რესტავრაციას ძველ ტაძრებს. ცნობილი იყო, როგორც ქველმოქმედი და მეცენატი. თვითონაც იყო დაკავებული ფერწერობით, ქმნიდა საკმაოდ კარგ ტილოებს, წერდა პორტრეტებს. 1865 წელს რუსეთის მხატვართა აკადემიამ მიანიჭა მხატვრის წოდება. ის ქმნიდა ტილოებს ისტორიულ სიუჟეტებზე, თვითონ ხატავდა თავისსავე აშენებულ ტაძრებში.

დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, სმოლენსკის ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში. სომხურ სასაფლაოზე.



**ს.დ. აბაშელიქოვის  
საფლავის ქვა  
(სომხურრუსულენოვანი წარწერით).**



ივანე სიმონის-ძე აბამელიქოვი  
(აბამელიქი), თავადი  
(07.01.1768-23.08.1828)

გენერალ-მაიორი (1817)

დაიბადა ქ.ტფილისში. გენერალ დ.ს.აბამელიქოვის (აბამელიქის) უფროსი ძმაა.

ივანე ძმასთან - დავითთან ერთად 1797 წელს ჩარიცხეს გვარდიულ არტილერიაში როტმისტრად.

მონაწილეობდა (1805-1807) წლების რუსეთ-საფრანგეთის ომში.

1810 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში. დაწინაურდა რუსეთის არმიის საზღვარგარეთის ლაშქრობაში ევროპაში, კერძოდ საქსონიაში, ლიუცენთან და ბაუცენთან.

1814 წლის 18 მარტს ძმასთან ერთად შევიდა პარიზში.

1808 წლის 12 აპრილს დაჯილდოვდა ოქროს ხმლით (მამაცობისათვის) და 1821 წლის 16 დეკემბერს დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით.


გარდაიცვალა ისე, რომ შთამომავლობა არ დარჩენია.

დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, სმოლენსკის სომხურ სასაფლაოზე, ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში, ლაზარევთა საგვარეულო აკლდამაში.

მის საფლავზე დღემდე შემორჩენილია საგვარეულო გერბი რუსულენოვანი წარწერით:

«Князь Иванъ Семеновичъ Абамеликъ артиллерии генераль-

*майоръ и разныхъ орденовъ кавалеръ. Родился 1768 года генваря 7 –го дня – скончался 1828 года августа 23-го дня»*





სოლომონ იოსების-ძე აჩამელიძოვი  
(აჩამელიძი), თავადი  
(20.11.1853-20.11.1913)

გენერალ-ლეიტენანტი (1913)

დაიბადა ქ.ტფილისში.

1871 წელს დაამთავრა მოსკოვის მე-2 სამხედრო გიმნაზია, სწავლობდა ალექსანდრეს მე-3 სამხედრო სასწავლებელში (1871) წ.) და მიხეილის საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1874 წელს | თანრიგით. მოგვიანებით დაამთავრა კურსი ოფიცერთა საარტილერიო სკოლაში.

1874-1876 წლებში მსახურობდა მე-13 საარტილერიო ბრიგადაში, მეთაურობდა ასეულს და ბატალიონს.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს მსახურობდა ალექსანდრეს საციხოვნო არტილერიის სამეურნეო ნაწილის გამგის ადიუტანტად.

1892-1894 წლებში მეთაურობდა ყარსის საციხოვნო არტილერიის მე-3 საარტილერიო ბატარეიას.

1898-1899 წლებში მეთაურობდა ბრესტ-ლიტოვსკის საციხოვნო არტილერიის | ბატარეიას.

1899 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1901-1902 წლებში მეთაურობდა დვინსკის საციხოვნო არტილერიის საალყო დივიზიონს.

1902-1906 წლებში მეთაურობდა | საალყო საარტილერიო პოლკს.

**1907 წლის 31 მაისს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.**

1906-1913 წლებში მეთაურობდა კოვნოს საციხოვნო არტილერიას.

1913 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან წლოვანებით, მუნდირით და პენსიონით.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით.

**ნმ.ანას III** (მახვილებით და ბაფთით-1877), II ხარ. (მახვილებით და ბაფთით-1891);

**ნმ. სტანისლავის II** (1886) და I ხარ. (1909);

**ნმ.ვლადიმერის IV** (1895) და III ხარ. (1904);



თავად აპამელიქოვთა  
საგვარეულო გერბი

**ვასილ დავითის -ქა აპელოვი  
(25.10.1835–24.01.1905)**

**გენერალ-მაიორი (01.05.1891)**



დაიბადა ტფილისში.

განათლება მიიღო კერძო დაწესებულებაში.

სამხედრო სამსახური დაიწყო რიგითად დაღესტნის ქვეით  
პოლკში 1850 წელს.

1852 წლიდან მსახურობდა უნტერ-ოფიცრად ქართულ პოლკში.

მონაწილეობდა 1853-1856 წლების ყირიმის (ალმოსავლე-  
თის) ომში. 1853 წლიდან ოფიცერი იყო.

ომის შემდეგ მეთაურობდა იმიერკასპიის მე-8 მსროლელ  
ბატალიონში.

1872-1885 წლებში მეთაურობდა 155-ე ყუბის ქვეით პოლკს.

1885 წლის 12 ოქტომბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო  
წოდება.

1879-1880 წლებში მსახურობდა ყარსის ოლქის, ოლთისის  
ოკრუგის უფროსად.

1880-1891 წლებში მსახურობდა მე-8 სათადარიგო მსროლე-  
ლი ბატალიონის მეთაურად.

1891 წელს ჯანმრთელობის გამო გადადგა სამხედრო სამ-  
სახურიდან.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო  
ოქროს ხმლით („მამაცობისათვის“ 1864) და რუსეთის ორდენ-  
ებით:

ნმ.ვლადიმერის IV ხარ. ორდენით (ბაფთით-ოფიცირის წოდებებში XXV-ნლიანი სამსახურისათვის - 1876);

ნმ.სტანისლავის III (მახვილებით და ბაფთით-1862) და II-ე ხარ. (მახვილებით-1879) **ნმ.ანას IV** (მამაცობისათვის- 1859) და III-ე (1869) ხარ. ორდენებით.

დაკრძალულია ტფილისში, კუკიის სასაფლაოზე.

Въ понедѣльникъ 24-го января, скоропостижно скончался  
отставной генералъ-майоръ

### **Василій Давидовичъ Абеловъ,**

о чёмъ извѣщаютъ супруга Елизавета Ивановна и дѣти.  
Выносъ тѣла въ четвергъ, 27-го января, въ 10 часовъ утра,  
въ Тандоевскую церковь, что противъ реального училища.  
Панихида 26-го января, въ 7 часовъ вечера, въ домѣ на  
Михайловскомъ проспектѣ, № 90.

ნეკროლოგი გაზეთ. „კავკაზში“

**3ლადიօნერ ნიკოლოზის-ძე აკიმოვი  
(ეპიზოდი)**  
(18.05.1856- 1914 ნ.შ.)

**გენერალ-მაიორი (18.07.1912)**



დაიბადა ტფილისში.

ჯარში მსახურობდა 1876 წლიდან. დაამთავრა ნიკოლოზის კა-  
ვალერიის სასწავლებელი 1878 წელს (I თანრიგით). მსახურობდა  
სევერსკის მე-17 დრაგუნთა პოლეში, კავკასიის სამხედრო ოლქის  
ჯარების სარდლის ადიუტანტად, ადიუტანტის თანაშემწედ.

1901 წლიდან მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის  
ჯარებში.

1910-1911 წლებში ჩაირიცხა საარმიო კავალერიის თადარიგ-  
ში, შტატგარეშე მყოფად ტფილისის მაზრაში.

1911 წელს კვლავ დაბრუნდა სამხედრო სამსახურში და  
დაინიშნა მთავარი შტაბის უფროსის განკარგულებაში და საარ-  
მიო კავალერიაში ჩარიცხვით.

1912 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და  
პენსიონით.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს დაინ-  
იშნა დალესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან განსა-  
კუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკად.

1916 წელს მსახურობდა პეტროგრადის სამკურნალო დაწე-  
სებულებათა ინსპექტორად.

დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით.

**ნმ.სტანისლავის III** (1887) და II ხარ.(1898) ხარ.

**ნმ.ანას III** (მახვილებით-1896) და II ხარ.(1906);

**ნმ.ვლადიმერის III** ხარ.(1916).



ალექსანდრე ივანეს-ძე არლუფიცესკი-  
დოლგორუკოვი, თავადი  
(გარდ. 10.08.1882)

გევარალ-მაიორი (02.08.1882)

დაიბადა ქ.ტფილისში.

1839 წელს დაამთავრა I კადეტთა კორპუსი ქ.მოსკოვში და  
დაიწყო სამხედრო სამსახური პოლოცკის ეგერთა პოლკში.

1849 წელს მონაწილეობდა უნგრეთის რევოლუციის ჩახშობაში.

1856 წლიდან მსახურობდა კავკასიაში, სადაც 1876 წლამდე  
მეთაურობდა ქართულ ქვეით რაზმს.

1876-1878 წლებში მეთაურობდა კავკასიის მე-2 სახაზო  
ბატალიონს.

მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის (1877-1878) წლების  
ომში. ომის დროს მეთაურობდა რუსეთის ჯარების რაზმის  
კოლონას არტილერიით გაგრასთან.

1878-1882 წნ. მეთაურობდა ყუბის 155-ე ქვეით პოლკს.

1882 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფო-  
ბის გამო მუნდირით და პენსიონით.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო  
ოქროს ხმლით (**მამაცობისათვის-1877**) და ბრილიანტის ბეჭდით  
იმპერატორ ალექსანდრე II ვენზელით.

გარდაიცვალა ქ.ტფილისში. დაკრძალული იყო ხოჯევანქის  
სომხური სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში (სასაფლაო გა-  
ნადგურდა საბჭოთა ხელისუფლების დროს 1934 წ. ავტ.შენიშვნა).

**Княжна Софія Васильевна Аргутинская-Долгорукова**  
съ душевнымъ прискорбiemъ извѣщая о кончинѣ дяди своего от-  
ставного генералъ-маиора **князя Александра Ивановича Аргу-**  
**тинскаго-Долгорукова**, просить родныхъ и знакомыхъ пожа-  
ловать на панихиду по усопшемъ, имѣющую быть въ среду, въ  
7 час. вечера, въ домѣ Читахова на Сергіевской улицѣ. Вынось-  
тъла въ четвергъ, 13-го іюля, въ 9 часовъ утра, въ Могнинскую  
церковь, а оттуда на Ходживанское кладбище. 163 (2) 1.

Бეларуская беліца. „Газета „Весны““



ალექსანდრე რომანის-ძე არლუტინესპი-  
ლოლგორუშკოვი, თავადი  
(1831-1886)

გევარალ-მაიორი (07.12.1886)

დაიბადა ქ.ტფილისში. იზრდებოდა 1-ლ კადეტთა კორპუსში ქ.მოსკოვში.

1848 წელს, კოპრუსის დამთავრების შემდეგ, დაიწყო სამხე-  
დრო სამსახური ვიურტემბერგის პრინცის სახელის, ნიჟეგორო-  
დის დრაგუნთა პოლკში პრაპორშჩიკად.

მონაწილეობდა (1853-1856) წლების ყირიმის (აღმოსავლე-  
თის) ომში.

მსახურობდა კავკასია-ოსმალეთის საზღვარზე, მოქმედი  
კორპუსის კავალერიის უფროსის ადიუტანტად.

1875-1877 წლებში მეთაურობდა ლაიბ-გვარდიის კაზაკთა  
პოლკის მე-2 დივიზიონს.

1877 წლის 4 ოქტომბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო  
წოდება.

1878 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან პოლკოვნიკის  
წოდებით, მუნდირით და პენსიონის სრული უზრუნველყოფით.

1879 წელს კვლავ დაპრუნდა ჯარში და მივლინებულ იქნა V  
საარმიო კორპუსში, საარმიო კავალერიაში ჩარიცხვით.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო  
რუსეთის ორდენებით.

**ნმ.სტანისლავის III ხარ.** (მახვილებით და ბაფთით-1863);

**ნმ.ანას IV** (მამაცობისათვის-1851);

#### **ნშ. ვლადიმერის IV ხარ. (ბაფთიოთ).**

(რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის დროს მდინარე დუნაიზე გადასვლის დაჯილდოვდა რუმინეთის რკინის ჯვრით).

თადარიგში გასვლის შემდეგ ცხოვრობდა სანქტ-პეტერბურგში.

დაკრძალულია ქ. მოსკოვში, ვაგანკოვოს სომხურ სასაფლაოზე.



დავით ლუარსაბის-ძე ალდუტიცეპი-  
დოლგორუკოვი, თავალი  
(01.05.1843-1909)

გენერალ-ლეიტენანტი (02.05.1903)

დაიბადა ტფილისში. დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელი (1861) და ნიკოლოზის საინჟინრო აკადემია (1862). სამხედრო სამსახურში შევიდა 1857 წელს.

მონაწილეობდა პოლონეთის 1863 წლის აჯანყების ჩახშობაში და (1877-1878) წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში.

1877 წლის 18 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1879-1892 წლებში მეთაურობდა მესანგრეთა მე-2 ბატალიონის ასეულს.

1892-1894 წლებში-მეთაურობდა სარატოვის 108-ე ქვეით პოლკს.

**1894 წლის 28 მარტს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.**

1894-1895 წლებში მეთაურობდა 28-ე ქვეითი დივიზიის I ბრიგადას.

1895-1900 წლებში მეთაურობდა ლაიბ-გვარდიის კეკსგოლმის პოლკს.

1900 წელს დაინიშნა მე-3 გვარდიული ქვეითი დივიზიის I ბრიგადის მეთაურად.

1900-1901 წლებში მეთაურობდა მე-3 გვარდიული ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადას.

1901-1903 წლებში კვლავ მე-3 გვარდიული ქვეითი დივიზიის  
I ბრიგადის მეთაურია.

1903 წელს გავიდა თადარიგში. ჯარში მსახურობდა 45 წელი.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო  
რუსეთის ორდენებით. „ნმ.სტანისლავის“ III (1876), II (მახ-  
ვილებით-1878) და I ხარ.(1897), „ნმ.ანას“ III (მახვილებით და  
ბაფთიით-1878) და II (1882) ხარ;

„ნმ.ვლადიმერის“ IV (XXV წლიანი უმწიკვლო სამსახური-  
სათვის -1886) და III ხარ.(1887) ორდ.

მიღებული ჰქონდა საზღვარგარეთის ქვეყნების ორ-  
დენები, მათ შორის- სპარსეთის „ლომისა და მზის“ II ხარ.  
(1879), ავსტრო-უნგრეთის „ფრანც-იოსების“ (1896) „რკი-  
ნის გვირგვინის“ I ხარ. (1899) და „რუმინეთის გვირგვინის“  
I ხარ.(1899).

გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა ქ.ტფილისში, ხოჯევან-  
ქის სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში. (განადგურდა საბჭო-  
თა ხელისუფლების მიერ 1934 წ. ავტ. შენიშვნა.)



მოსე ზაქარიას-ძე არღუთინესპი-  
დოლგორუკოვი, თავადი  
(1797-20.02. 1855)

გევარალ-ლეიტენანტი (1845)  
გევარალ-ალიუტანტი (1848)

დაიბადა ტფილისში. იყო სომხეთის პატრიარქ – იოსებ არღუ-  
ტინსკის ძმის შვილი. რუსეთის იმპერატორ პავლე I დროს, სომ-  
ხეთის პატრიარქ იოსებ არღუტინსკის, მის ძმებს და ძმისშვილებს  
ებოდა თავადის ტიტული. ემზადებოდა რა სამოქალაქო სამსახურ-  
ში შესასვლელად, სწავლობდა ტფილისის კეთილშობილთა სასწავ-  
ლებელში, რომელიც დაამთავრა 1816 წელს, მაგრამ იგი შეამჩნია  
გენერალმა ა.ერმოლოვმა და სთხოვა მამამისს, განემწესებინა იგი  
სამხედრო სამსახურში.

1816-1827 წ.წ.-მსახურობდა ლაიბ-გვარდიის ცხენოსან პოლკში.

1827-1832 წ.წ.-მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში.

1832-1839 წ.წ.-მეთაურობდა ტფილისის გრენადერთა პოლკს.

დაწინაურდა 1826-1828 რუსეთ-სპარსეთის, 1828-1829 რუსეთ-  
თურქეთის, 1853-1856 ყირიმის (აღმოსავლეთის) ომებში და, კავკა-  
სიაში სამხედრო კამპანიების დროს. დაწყებული 1830 წლიდან და 23  
წლის განმავლობაში არგუტინსკი-დოლგორუკოვს ეკავა სამეთაუ-  
რო თანამდებობები.

1830 წლის 14 ნოემბრიდან მეთაურობდა ბატალიონს, რომლის  
დროსაც გაანადგურა ლეკები ზაქათალასთან.

1831 წლის 11 დეკემბრიდან მონაწილეობდა მთიელთა წინააღ-  
მდეგ ექსპედიციაში კაპის-დარას ხეობაში.

1833 წელს მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში, აულ ლიეში-სათვის ბრძოლაში (დაღესტანში) და ექსპედიციაში ხაგ-მაზის ხეობაში.

1837 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1839 წელს დაინიშნა ახალციხის პროვინციის უფროსად, ქართული სახაზო ბატალიონების ბრიგადის მეთაურად და შავ ჭირთან ბრძოლის კომისიის უფროსად. 1841 წელს ჩახშო აჯანყება გურიაში.

1842 წელს მეთაურობდა რა სამურის რაზმს, მოახდინა ექსპედიცია ყაზი-ყუმუხის ლექში და მოიპოვა გამარჯვებები აულ კორტალისთან, ქულულუსთან და შაურლუსთან.

1843 წლის 15 ივლისს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

1844 წელს დაინიშნა ჩრდილოეთ დაღესტნის, ყუბის და დარუბანდის მაზრებში განლაგებულ ჯარების სარდლად.

1847 წელს დაინიშნა ჩრდილოეთ და სამხრეთ დაღესტანში განლაგებულ ჯარების სარდლად, დერიბენდის სამხედრო გუბერნატორად და იმიერკასპიის მხარის ჯარების სარდლად. შტურმით აიღო აულები გერგებილი და სალთა. ჯარების გადაჯგუფების დროს პირველად გამოიყენა მთლიანი კოლონების უკან დახევა და არა ცალკეული საბრძოლო ერთეულებისა, რაც წარმოადგენდა სიახლეს კავკა-სიაში საბრძოლო მოქმედებების წაქტიკაში.

1848 წელს ჯარებმა მისი სარდლობით ხელმეორედ აიღეს აული გერგებილი და სრულად გაანადგურეს ლეკები აულ მისკინჯისთან.

1850 წელს ჯარებმა, მისი ხელმძღვანელობით, აიღეს გამაგრება ჩო ჩოხი, აულები არჩიბი და შალიბი, უკუაგდეს ხაჯი-მურადის და შამილის შემოსევები თაბასარანის ოლქში.

1853 წელს მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, რასთან დაკავშირებითაც მან დატოვა თავისი პოსტი და მეურნალობდა პიატიგორსკის მინერალურ წყლებზე. მაგრამ სულ მალე ის კვლავ დაბრუნდა ჯარში და იმავე წლის ზამთარში მოახდინა ზამთრის გადასვლა კავკასიონის მთავარი უღელტეხილით, გუდურის გადასასვლელით შამილის ზურგში, რომელიც შეჭრილი იყო ლეკთა სასაზღვრო ხაზზე და, ზაქათალას ოლქში, ლეკთა რაზმის დასახმარებლად. გზაში მან იგრძნო თავი ცუდად. ექიმებმაც ურჩიეს რადიკალური მკურნალობა, რის გამოც მან დაწერა პატაკი ჯარიდან წასვლაზე.

იმპერატორმა ნიკოლოზ I დააკმაყოფილა მისი თხოვნა. 1853 წლის ბოლოს მან სამუდამოდ დატოვა დაღესტანი.

1855 წელს მას დაეცა დამბლა. გარდაიცვალა ტფილისში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალულ იქნა ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფელ სანაინში, სანაინის მონასტრის წმ.ლვითისმშობლის ეკლესიის გალავანში (1921 წლიდან სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებშია. ავტ. შენიშვნა).

კავკასიის ომის მსვლელობისას რუსული ჯარების გამარჯვებები ბევრ შემთხვევაში მიიღწეოდა ხოლმე თავად არღუტინსკი-დოლგორუკოვის მოქმედებებით, რომელიც კარგად იცნობდა კავკასიას და მთიანი ომის მსვლელობის ტაქტიკას. მთიელები ეძახდნენ მას - „სამურის ტახს“ სამურის სამხედრო რაზმის სახელიდან გამომდინარე, რომელსაც ის მეთაურობდა. მის გაბედულ გადასვლას კავკასიის უღელტეხილზე, თანამედროვეები აყენებდნენ ერთ რიგში სუვოროვის სახელგანთქმულ გადასვლასთან ალპებზე. პოდპოლკოვნიკად ყოფნისას, „ოლთისის ციხის აღებისას“ 1831 წლის 21 თებერვალს დაჯილდოვდა წმ.გიორგის IV ხარ.ორდენით.

„ბრწყინვალე თავდადებისა და მამაცობისათვის, რომლებიც მან გამოიჩინა მთიელთა წინააღმდეგ სოფელ კულულუსთან 1842 წლის 2 ივნისს, 1842 წლის 3 დეკემბერს დაჯილდოვდა წმ.გიორგის III ხარ.ორდენით.

დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით (მამაცობისათვის - (მოჭე-დილი ბრილიანტებით) და ოქროს ხმლით (მამაცობისათვის - (მოჭე-დილი ალმასებით)-, „აულ აკუშისთან და ცუდახართან წარმოებულ ბრძოლებში წარჩინებისათვის, -1844), გარდა ზემოთაღნიშნული ჯილდოებისა მიღებული ჰქონდა რუსეთის ორდენები. წმ.ვლადიმერის III („გურიის აჯანყების ჩაბშობისათვის, -1841), II ხარ. („შამილის მთიელთა წინააღმდეგ მოქმედებისათვის, -1846) და I ხარ. ორდ... წმ.ალექსანდრე ნეველის ორდენი („აულ მისკინჯისთან შამილის რაზმების განადგურებისათვის, -1850);

თეთრი არწივის ორდენი („აულ გერგებილის და სალტას შტურ-მით აღებისათვის, -1847);

**ნე.ანას I** ხარ.(„აულ დუვეეკთან და მარგასთან მთიელთა და-  
მარცხებისათვის, სოგრატლის და ტილიტლის დამორჩილებისათ-  
ვის და, დუკულ-ბართან ლეკთა განადგურებისათვის“ - 1843), I ხარ.  
(იმპერატ. გვირგვ.-1844) და II ხარ. - „ნარჩინებისათვის ნუხის აღე-  
ბისას“ (1838)

1878 წელს თავად მოსე არლუტინსკი-დოლგორუკოვს ქ. თე-  
მირ-ხან-შურაში (1922 წლიდან ქ.ბუინაკსკი) დაუდგეს ძეგლი, რო-  
მელიც დაანგრიეს 1921 წელს ბოლშევიკებმა. მის სახელს ატარებდა  
ქ.თემირ-ხან-შურას ცენტრალური ქუჩა (შემდგომში ლენინის ქუ-  
ჩა), რომელიც მიდიოდა გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციისა-  
კენ (ახლ.ბუინაკსკის პედაგოგიური სასწავლებელი). ქ.მოსკოვში,  
ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტში 1917 წლამდე არ-  
სებობდა მისი სახელობის სტიპენდია.



თავად მ.ხ. არლუტინსკი-  
დოლგორუკოვის ძეგლი  
ქ.თემირ-ხან-შურაში  
(1878-1921)



თავად არლუტინსკი-  
დოლგორუკოვების  
საგვარეულო გერბი



ტიგრან დავითეს-ძე არუთინოვი  
(01.06.1858-10.01.1916)

გენერალ-ლეიტენანტი (06.12.1915)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის აზნაურის ოჯახში.

დაამთავრა მოსკოვის I სამხედრო გიმნაზია 1875 წელს, ალექ-  
სანდრეს მე-3 სამხედრო სასწავლებელი 1877 წელს და კავალერიის  
ოფიცერთა სკოლა.

მონაწილეობდა 1877-1878 რუსეთ-თურქეთის და 1914-1918  
პირველ მსოფლიო ომებში. მსახურობდა თერგის კაზაკთა ჯარის,  
ვოლგის I პოლკში.

1904-1907 წლებში მეთაურობდა თერგის კაზაკთა ჯარის, სუნ-  
უა-ვლადიკავკაზის მე-2 პოლკს, ოსურ რაზმს.

1906 წლის 1 იანვარს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1907-1912 წლებში მეთაურობდა თერგის კაზაკთა ჯარის მოზ-  
დოკის I პოლკს.

1912 წლის 5 ნოემბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო  
წოდება.

1912-1914 წლებში მეთაურობდა კავკასიის კაზაკთა I დივიზიის  
მე-2 ბრიგადას.

1914 წლის 29 ივლისს დაინიშნა თერგის კაზაკთა I დივიზიის  
მეთაურად.

მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. გარდაიცვალა მოქ-  
მედ არმიაში ავადმყოფობის შემდეგ (სოფელ ნოვოსელიცაში).

დაკრძალულია ტფილისში. დაკრძალვის ადგილი უცნობია. (ავტ. შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო გიორგის იარალით (1915 წლის 10 ნოემბერი), ნმ.გიორგის IV ხარ.(1916 წლის 10 ივნისი, სიკვდ. შემდეგ), და რუსეთის ორდენებით. ნმ.სტანისლავის III ხარ.(მახვილებითა და ბაფთით-1878) და I ხარ. (მახვილებით-1915), ნმ.ანას III ხარ.(1891), ნმ.ვლადიმერის IV (ბაფთით-„ოფიცრის წოდებებში XXV-წლიანი უმწიკვლო სამსახურისათვის“ -1903) და III ხარ.(1913). ორდენებით.

ფილიპე არტემის-ძე არუთინოვი  
(23.08.1855-1916 ნ.შ.)

გენერალ-მაიორი (18.02.1916)



დაიბადა ქ.ტფილისში. საერთო განათლება მიიღო სახლში.

ჯარში მსახურობდა 1879 წლიდან. დაამთავრა პავლოვსკის I სამხედრო სასწავლებელი.მსახურობდა კავკასიის I მსროლელ ბატალიონში.

დაამთავრა ალექსანდრეს სახელის სამხედრო-იურიდიული აკადემია (მე-2 თანრიგით).


1908-1916 წლებში მსახურობდა სანქტ-პეტერბურგის პოლი-ცმაისტერად.

1908 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1916 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან ავალმყოფობის გამო, მუნდირით და პენსიონით.

დაჯილდოებული იყო: რუსეთის ორდენებით.

„ნმ.სტანისლავის“ II (1902) „ნმ.ანას“ II (1906), „ნმ.ვლადი-მერის“ IV (1913) ხარ.ორდენებით.



იორემია გიორგის-ძე არცხული  
(1804-15.11.1877)

გენერალ-მაიორი (01.02.1860)

დაიბადა ქ.ვანში (ოსმალეთის იმპერია).

1813 წელს მისი ოჯახი გადმოვიდა საცხოვრებლად ტფილისში.  
აქ მან დაამთავრა გიმნაზია, შემდგომში კი სანქტ-პეტერბურგის  
სამხედრო სასწავლებელი.

1823 წლიდან მსახურობდა ლაიბ-გვარდიის ულანთა პოლკში  
კორნეტად.

მონაწილეობდა 1826-1828 რუსეთ-სპარსეთისა და 1828-1829  
წლების რუსეთ-თურქეთის ომებში. ომების დროს მონაწილეობდა  
სარდარაბადის, აბასაბადის და ერევნის ბრძოლებში.

1829 წლიდან იყო გენერალ მოსე არლუტინსკი-დოლგორუკო-  
ვის ადიუტანტი და მასთან ერთად იმყოფებოდა მივლინებით სპარ-  
სეთში. მიიღო მონაწილეობა თურქმანჩაის ზავის დადებაში, შემდეგ  
ხამადანში შეხვდა სპარსეთის შახს.

1830 წელს დაინიშნა კავკასიის არმიის მთავარ ინტენდანტად.

1831 წლიდან იყო გენერალ ფ.პასკევიჩის ადიუტანტი, ხოლო  
მისი გადაყვანის შემდეგ დარჩა კავკასიის ცალკეული კორპუსის  
მეთაურთან იმავე თანამდებობაზე.

იმავე წლის 12 იანვარს აირჩიეს ტფილისის სომხური სემინარი-  
ის (ნერსესიანის გიმნაზიის) კეთილმოწყობის კომიტეტის წევრად.

მონაწილეობდა მთიელთა წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო  
ოპერაციებში. გააგრძელა რა სამხედრო სამსახური, 1836 წელს არ-

წრუნი პოდპოლკოვნიკის წოდებით გადავიდა სამუშაოდ ფინანსთა სამინისტროში. რადგან მას კარგად ჰქონდა ათვისებული სპარსე-თის ეკონომიკა, ის შეუდგა კავკასიასა და სპარსეთს შორის სავაჭ-რო კავშირების განვითარების შესაძლებლობების შესწავლას, ამავ-დროულად მას დაევალა ამიერკავკასიის ყველა საბაზოების მართვა-გამგებლობა.

1838 წელს რამოდენიმე თავის თანამოაზრესთან ერთად ცდი-ლობდა ჩამოეყალიბებინა მსხვილი სავაჭრო კორპორაცია.

1839 წელს მიერიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დაი-ნიშნა კავკასიის ცალკეული კორპუსის საინტენდანტო სამმართვე-ლოს უფროსად. ამ უწყებაში, სადაც იხარჯებოდა უდიდესი სახელ-მწიფო სახსრები, მან შემოილო მკაცრი წესრიგი და დისციპლინა, გამოდიოდა ხაზინის სახელმწიფო ინტერესების მოუსყიდველი და-რაჯის როლში. ასე მართვდა ის ამ სამსახურს მანამ, სანამ არ წა-ვიდოდა ამ თანამდებობიდან.

1840-იანი წლების პირველ ნახევარში არწრუნიმ უარი განაცხა-და სამხედრო სამსახურზე და გადავიდა საცხოვრებლად მოსკოვში, სადაც ცხოვრობდა 1850-იანი წლების ბოლომდე.

1853 წელს, როცა დაიწყო ყირიმის (აღმოსავლეთის) ომი, არ-წრუნიმ მიიღო დეპეშა სამხედრო მინისტრისაგან, რომელიც მას აუწყებდა, რომ იმპერატორ ნიკოლოზ I თანხმობით ის ინიშნებოდა ყირიმში რუსეთის მოქმედი არმიის საერთო ინტენდანტად, მაგრამ მან უარი განაცხადა ამ დიდ თანამდებობაზე.

1855 წლის ზაფხულში სიონის ტაძართან დაიწვა ქარვასლა (რომელიც ცნობილი იყო არწრუნის ქარვასლის სახელით) და მე-2 ადგილზე იყო 14 სხვა ტფილისის სომეს ვაჭართა ქარვასლების სი-აში. მაღაზიების ზარალი აღწევდა მილიონებს. გაიგო რა ამ უბე-დურების შესახებ, არწრუნი გაემგზავრა სანქტ-პეტერბურგში და სთხოვა ხელისუფლებას, გამოეძიათ ეს საქმე. შემდეგ არწრუნიმ დაიწყო ქარვასლის აღდგენა და 4-5 თვეში დაამთავრა კიდეც და დაიწყო ახალი სავაჭრო კომპლექსის მშენებლობა.

1865 წლამდე ირიცხებოდა კავკასიის არმიაში.

1865 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით, ავადმყოფობის გამო და საპენსიო უზრუნველყოფის ნახევრით.

1867 წელს ტფილისში შევიდა ძალაში ქალაქის მმართველობის ახალი წესდება, რომელიც დაემთხვა არწრუნის ქალაქის თავად არჩევას. მისი ქალაქის თავად ყოფნისას, ტფილისში 1862 წლის 1 სექტემბერს დაარსდა იუნკერთა სასწავლებელი, ხოლო 1867 წლის 2 იანვარს გაიხსნა კავკასიის მუზეუმი.

1868 წელს ავადმყოფობის გაუარესების გამო, არწრუნიმ დატოვა თანამდებობა, მაგრამ დარჩა მხოლოდ საქალაქო საბჭოს წევრად და ტფილისის საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის თავმჯდომარედ.

მის კალამს ეკუთვნის შრომა «Вопрос о железной дороге в Индии» (1872), რომელიც მან წაიკითხა ტექნიკური საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე.


საპრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისთვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

**წმ.ანას IV** (1827) და II (1842) ხარ.

**წმ.სტანისლავის III** (1836), II (1838 და ხარ. I ხარ. (1865).

სპარსეთის „მზისა და ლომის“ II ხარ.(ალმასეპ.ნიშნებით-1813).

დაკრძალული იყო ტფილისში, ვერის ძველ სასაფლაოზე. სამწუხაროდ მისი საფლავი არაა შემორჩენილი. (ავტ.შენიშვნა).



არწრუნის საგვარეულო გერბი

**ალექსანდრე ესაიას-ძე ახვერდოვი  
(1758/1760-1810)**

**პრიგადირი (10.12.1800)**



დაიბადა ქ. ყიზლარში (დაღესტანი). აზნაურის, სეკუნდ-მაიორ ესაია ვასილის ძე ახვერდოვის ოჯახში. დედა -ანა გერა-სიმეს-ასული ჩოლოყაშვილი ჰყავდა.

სამხედრო სამსახურში შევიდა რიგითად 1774 წელს მოზ-დოკის საველე ბატალიონში.

1783-1788 წწ. მსახურობდა კავკასიის მე-4 ეგერთა ბატა-ლიონში.

1788-1794 წწ. მსახურობდა კავკასიის მუშკეტერთა პოლკში. მონაწილეობდა 1787-1791 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში.

1794-1798 წწ. მსახურობდა ყიზლარის საგარნიზონო პოლკში.

1798-1800 წწ. მსახურობდა ყაზანის მუშკეტერთა პოლკის მეთაურად.

1799 წლის 31 ოქტომბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1800 წლის 10 დეკემბერს პირადი პატაკით გადადგა სამხე-დრო სამსახურიდან და გადავიდა სამოქალაქო უწყებაში.

1801 წლის 19 აგვისტოს კვლავ დაბრუნდა ჯარში და დაინიშ-ნა ყიზლარის კომენდანტად.

1802 წლის 16 იანვარს დაინიშნა ყიზლარის საგარნიზონო პოლკის შეფად.

1804 წლის 16 აგვისტოს დაინიშნა ყალმუხი ხალხის მთავარ პრისტავად.

1806 წლის 22 ივნისს დაინიშნა ჩეჩენ ხალხთა ზედამხედველად. კეთისინდისიერი და გულმოდგინე სამსახურისთვის იმპერატორმა ალექსანდრე I უბოძა მას ბრილიანტის ბეჭედი (10.10.1807).

დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით: **წმ.ვლადიმერის IV** (1796) და **წმ.ანას II ხარ.** (1800).

მისი შვილი - ნიკოლოზ ახვერდოვი (1800-1876) გახდა რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი.

**ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ახვერდოვი  
(1800-1876)**

**გენერალ-ლეიტენანტი (13.08.1855)**



ბრიგადირ ა.ე.ახვერდოვის შვილია.

დაიბადა ჩრდილოეთ კავკასიაში, სტანიცა ნაურსკაიაში, სა-დაც მსახურობდა მამამისი.

მამამისის, ყაბარდოს პოლკის ყოფილი მეთაურის გარ-დაცვალების გამო მისი აღზრდა-განათლება იტვირთა მისმა ბი-ძამ -თევდორე ახვერდოვმა.

1809 წელს, 8 წლის ასაკში გაამწესეს პაჟთა კორპუსში, რომ-ლის დამთავრების შემდეგ, 1818 წლიდან მსახურობდა სევერ-სკის ცხენოსან-ეგერთა პოლკში.

მიიღო მონაწილეობა 1826-1828 წლების რუსეთ-სპარსეთის ომში.

1828 წელს დაინიშნა მე-20 ქვეითი დივიზიის უფროსის ადიუტანტად.

1829 წელს ჯერ გადაიყვანეს პავლოვსკის ლაიბ-გვარდიის პოლკში, ხოლო 1830 წელს მოსკოვის ლაიბ-გვარდიის პოლკში.

1832 წლის 6 დეკემბერს 32 წლის ასაკში მიენიჭა პოლკოვნი-კის სამხედრო წოდება და ჩაირიცხა სელენგინის ქვეით პოლკში.

1834 წელს დაინიშნა მოსკოვის ქვეითი პოლკის მეთაურად.

1836-1839 წლებში ოჯახური პირობების გამო იმყოფებოდა თადარიგში.

1839 წელს დაპრუნდა სამხედრო სამსახურში და შეიცვალა თავისი მოღვაწეობის არეალი.

1844 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება და დაინიშნა ჟანდარმთა კორპუსის შეფილი დავალებათა გენერლად. ხელმძღვანელობდა უამრავ სისხლის სამართლის დანაშაულებათა გამოძიებას.

1848-1850 წლებში ხელმძღვანელობდა ჟანდარმთა კორპუსის VII ოლქს.

1852-1859 წლებში მსახურობდა სმოლენსკის გუბერნატორად.

1859 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან და დაინიშნა სენატორად.

გარდაიცვალა და დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, ვოლკოვის მართლმადიდებლურ სასაფლაოს ოჯახურ აკლდამაში (მისი საფლავი დაცულია, ავტ.შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისთვის დაჯილდოებული იყო: „ნებ.გიორგის“ IV ხარ. (XXV-წლიანი უმწიკვლო სამხედრო სამსახურისათვის -03.12.1839), ოქროს ხმლით „მამაცობისათვის“ (1828)

და რუსეთის ორდენებით. „ნებ.სტანისლავის“, II (გვირგვინით) და I ხარ.(1850);

„ნებ.ანას“ IV („მამაცობისათვის“), III (ბაფტით), II (ბაფთით 1865) და I ხარ. (მახვილებით-1855).

„ნებ.ვლადიმერის“ IV (ბაფთით-1826), III (1848), II (მახვილებით-1858). თეთრი არნივის (1867),

სპარსეთის „მზისა და ლომის“ II ხარ.(ალმასებ.ნიშნებით-1813) და Virtuti Militari IV ხარ.



1868 წელს უმაღლესი ბრძანებულებით 12 წლის ვადით მიეცა იჯარის მაგივრად 2500 მანეთი წელიწადში და სმოლენსკის თავად-აზნაურობისგან საჩუქრად ტილო („სმოლენსკის ხედი“), ხოლო კაზაკობისგან და მეშჩანებისგან სმოლენსკის ღვთისმშობლის ნებითიგიტრის ხატი.

**ვლადიმერ ნიკოლოზის-ძი ახვერდოვი  
(30.05.1847-24.02.1908)**

**გენერალ-მაიორი (06.12.1908)**



გენერალ-ლეიტენანტ ნ.ა. ახვერდოვის (1800-1876) შვილია  
და გენერალ-მაიორ ნ.ნ.ახვერდოვის (1841-1898) ძმაა.

1867 წელს დაამთავრა პაჟთა კორპუსი. მსახურობდა  
ლაიბ-გვარდიის დრაგუნთა პოლკში, სანქტ-პეტერბურგის  
საოლქო საინტენდანტო სამმართველოში.

1903 წლის 16 მაისს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1904 წელს დაინიშნა გვარდიული კორპუსის ინტენდანტად.

დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, ვოლკოვოს მართლ-  
მადიდებლურ სასაფლაოზე, დოლგობოროდოვის გზის მხარეს,  
მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის ტაძრის აღმოსავ-  
ლეთ კედელთან.



ნიკოლაზ ნიკოლოზის-ძე ახვერდოვი  
(15.(27).10.1841-1902)

გენერალ-მაიორი (23.03.1898)

გენერალ-ლეიტენანტ ნ.ა. ახვერდოვის (1800-1876) შვილია.  
დაიბადა ქ. მოსკოვში, სადაც მამამისი გადიოდა სამხედრო  
სამსახურს. დაამთავრა პაუთა კორპუსი.

1860 წლიდან მსახურობდა ვლადიმერის ულანთა პოლკში.

1863 წლიდან მსახურობდა ლაიბ-გვარდიის დრაგუნთა  
პოლკში.

მონაწილეობდა პოლონეთის 1863 წლის აჯანყების დაშოშ-  
მინებაში.

(1877-1878) წლების ომის დროს მსახურობდა პლევნის რაზმის  
შემადგენლობაში, ხოლო შემდგომ გენერალ გურკოს დასავლეთის  
რაზმის შემადგენლობაში. ომის დროს მძიმედ დაიჭრა.

1881 წლის 23 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო  
წოდება.

1887 წელს დაინიშნა კავალერიის მე-11 სათადარიგო კადრის  
მეთაურად.

1898-1901 წლებში მეთაურობდა კავალერიის რეზერვის  
მე-6 ბრიგადას.

1901-1902 წლებში მეთაურობდა კავალერიის რეზერვის I  
ბრიგადას.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ვორონეჟის გუბერნიის ქ.ბორისოგლებსკში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სთვის დაჯილდოებული იყო: „ნმ.გიორგის“ IV ხარ. (XXV-ნლიანი უმწიკვლო სამხედრო სამსახურისთვის -03.12.1839), ოქროს ხმ-ლით „მამაცობისათვის“ (1828) და რუსეთის ორდენებით:

„ნმ.სტანისლავის“ II (მახვილებით და ბაფთით-1878) და I ხარ. (1901);

„ნმ.ანას“ IV („მამაცობისათვის“-1863), III (მახვილებით და ბაფტით-1878) და II ხარ. (მახვილებით-1878);

„ნმ.ვლადიმერის“ IV (მახვილებით და ბაფთით-1896), და III ხარ. (1896).

მიღებული ჰქონდა რუმინეთის ჯვარი „დუნაიზე გადასვლი-სათვის“ (1879).



თევზორი ესაიას-ძე ახველდოვი  
(1773-1820)

გენერალ-მაიორი (1808)

დაიბადა ქ. ყიზლარში (დაღესტანი). აზნაურის, სეკუნდ-მაიორ ესაია ვასილის ძე ახვერდოვის ოჯახში. დედა-ანა გერა-სიმეს-ასული ჩოლოყაშვილი ჰყავდა.

1788 წ. ჩააპარა საარტილერიო კადეტთა კორპუსში. 1791 წ. სიმტ-იუნკერი (იუნკერის წოდება საარტილერიო და საინჟინრო ჯარებში) გახდა, ხოლო 1793 წ. აუდიტორი (რევოლუციამდელ რუსეთში სამხედრო იურისტის წოდება) და კანონირთა (გერმ. Kanonier; არტილერისტი, მეზარბაზნე) პოლკში ჩაირიცხა. იმავე წელს ახვერდოვი გადაყვანილ იქნა გენერალ პ. ზუბოვის შტაბში ფლიგელ-ადიუტანტად.

1796 წ. აყვანილ იქნა კანონირთა | პოლკის კაპიტნის რანგში; 1797 წ. დაინიშნა საარტილერიო ბატალიონში, 1798 წ. აყვანილ იქნა პოდპოლკოვნიკის, ხოლო 1799 წ. – პოლკოვნიკის რანგში. 1800 წ. განაწილდა საპონტონე როტაში;

1800 წელს ყაბარდოს დამორჩილებისთვის გადაეცა „ნმინდა იერუსალიმელის“ ორდენი.

1803 წ. გადაყვანილ იქნა მე-9 საარტილერიო ბატალიონში; 1804 წელს მონაწილეობდა განჯის ციხესიმაგრის აღებაში.

1806 წ. მე-4 საარტილერიო პოლკში, ხოლო მისი დაშლის შემდეგ, 1806 წელსვე მე-9 საარტილერიო ბატალიონის ბრიგა-დის მეთაურად გადავიდა.

1807 წელს მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში და იუ-სუფ-ფაშას დამარცხებაში.

1807 წ. ახვერდოვი დაინიშნა საქართველოს მმართველად.

დაჯილდოებული იყო: წმინდა გიორგის IV ხარისხის ორ-დენით (1808).

1811 წ. გათავისუფლდა ამ თანამდებობიდან და ჩაირიცხა არტილერიაში;

1812 წლიდან იყო კავკასიაში მოქმედი მე-19 ქვეითი დი-ვიზიის მეთაური. მივლინებული იყო თურქეთში სამშვიდობო ტრაქტატის დასადებად.

1816 წლიდან იყო ქართული კორპუსის არტილერიის უფრო-სი მეთაური.

1796 წ. მონაწილეობდა შემახის და განჯის აღებაში, 1798–1799 წწ. იმყოფებოდა ციმბირის გუბერნიის ნიჭრატის (სელი-ტრა) მოსაპოვებლად.

დაკრძალული იქნა ტფილისში, ხოჯევანქის სომხური სასა-ფლაოს საგვარეულო აკლდამაში. (გაანადგურეს საბჭოთა წელი-სუფლების დროს 1934 წელს. ავტ. შენიშვნა)



ეიკოლოზ თევდორეს-ძე ახვერდოვი  
(20.06.1829-27.09.1896)

გენერალ-მაიორი (22.12.1879)

დაიბადა ქ.ტფილისში.

კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმის იური ახვერდოვის ძმაა.

1847 წელს დაამთავრა მე-2 კადეტთა კორპუსი. მსახურობდა და ლოლივანის ეგერთა პოლკში. 1849 წელს მონაწილეობდა უნგრეთის რევოლუციის ჩახშობაში.

მსახურობდა მე-11 საარტილერიო ბრიგადის მე-3 მსუბუქ ბატარეაში, შემდეგ იმავე ბრიგადის კვარტირმასტერად.

1852 წელს დაინიშნა მე-19 საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეიაში, მონაწილეობდა კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში.

1857 წელს მიავლინეს კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მე-2 ბატარეიაში.

1861 წელს დაინიშნა კავკასიის საციხოვნო არტილერიის მე-7 ასეულის მეთაურად.

1864 წელს დაინიშნა 38-ე საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეიის მეთაურად.

1873 წლის 9 სექტემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, სადაც მეთაურობდა კავკასიის სააღყო- საარტილერიო პარკს.

1879 წლის 11 დეკემბერს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით.

გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ.

დაკრძალული იქნა ტფილისში, ხოჯევანქის სომხური სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში. (გაანადგურეს საბჭოთა ხელი-სუფლების დროს 1934 წელს. ავტ. შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო

ოქროს ხმლით „მამაცობისათვის“ (20.07.1877);

და რუსეთის ორდენებით.

„ნმ.სტანისლავის“ III (1862) და II ხარ. (1867).

„ნმ.ანას“ III ხარ.(1864) და II ხარ. (1876).

„ნმ.ვლადიმერის“ IV-ე ხარ. (ბაფთით - „ოფიცრის წოდებები XXV-წლიანი უმწიკვლო სამსახურისათვის“- 1872).



ნიკოლაზ ესაიას-ძე ახვერდოვი  
(20.09.1754-08.07.1817)

გენერალ-ლეიტენანტი (12.12.1807)

დაიბადა ყიზლარში, ქართველ ჰუსართა პოლკის ოფიცირის ესაია ვასილის-ძე ახვერდოვის ოჯახში, რომელიც გაჰყვა მეფე ვახტანგ VI ამალას რუსეთში და 1739 წელს შევიდა რუსეთის სამხედრო სამსახურში. დედამისი იყო – თავადის ქალი, ანა გერამიშვილი-ასული ჩოლოყაშვილი.

1764 წლიდან სწავლობდა შლიახეტთა სახმელეთო კადეტთა კორპუსში, საიდანაც გამოშვებულ იქნა 1776 წელს პორუჩიკის წოდებით და ოქროს მედლით. მივლინებულ იქნა საზღვარგარეთ, კადეტთა კორპუსის სამ 35 კურსდამთავრებულთან ერთად. იმყოფებოდა გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში, სადაც დაკავებული იყო ხელოვნების ძეგლების შესწავლით.

1779 წელს დაბრუნდა რუსეთში და დაინიშნა კადეტთა კორპუსში, კადეტების აღმზრდელად.

1782 წლიდან მსახურობდა სახელმწიფო შემოსავლების ექსპედიციაში, 1788 წელს დაინიშნა კოლივანის სამეფისნაცვლოს მმართველთან და ძალიან ბევრი გააკეთა კოლივანის საბადოების მოწყობისათვის.

1797 წლის 31 დეკემბრიდან 1798 წლის 1 სექტემბრამდე იყო არხანგელსკის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორი.

1799 წელს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.

იმავე წელს დაინიშნა დიდი თავადების ნიკოლოზ და მიხეილ პავლეს ძეებთან აღმზრდელად, 1802 წლიდან ასწავლიდა მათ რუსულ ენას, ისტორიას და გეოგრაფიას, ხოლო 1804 წლიდან -არითმეტიკას.

1806 წელს აირჩიეს რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრად და 1811 წლიდან იყო „რუსული სიტყვიერების მოყვარულთა“ საზოგადოების საპატიო წევრი.

ავტორია იგავებისა „Волк-судья“ (1790), აგრეთვე მენესის ტრაქტატის თარგმანისა, „Письмо к дону Антонио Понзу“ და ჰელერტის წიგნისა „О воспитании“ და „Описание Константинополя“ (1789) მეგობრობდა რუს პოეტებ გ. დერჟავინთან (1743-1816) და დ. ხვოსტოვთან (1757-1835).

დაჯილდოებული იყო „ნბ.ანას“ | ხარ. ორდენით.

გარდაიცვალა სანქტ-პეტერბურგში.

გენერალ ახვერდოვის პორტრეტი, რომელიც დახატა 1817 წელს ფერმწერმა ა.ვარნეკმა (1782-1843), არის მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეის კუთვნილება.



ახვერდოვების საგვარეულო გერბი



დიმიტრი ივანეს-ძე ახშარუმოვი  
(11.(22).10.1785-13.(25).01.1837)

გენერალ-მაიორი (19.02.1820)

პაპამისი - გიორგი ახშარუმოვი იყო ქართველი აზნაური, რომელიც მეფე ვახტანგ VI კარის თარჯიმანი იყო და მისი ამალის შემადგენლობაში ჩავიდა რუსეთში 1725 წელს და დასახლდა ქ.ასტრახანში. მსახურობდა თარჯიმნად ქ.ყიზლარში, სადაც კომპაქტურად სახლობდნენ ქართველები და სომხები. გარდაიცვალა 1773 წელს.

დიმიტრი ახშარუმოვმა დაამთავრა კადეტთა I კორპუსი. მსახურობდა ჩერნიგოვის ქვეით პოლკში და მონაწილეობდა 1806-1807 წლების კამპანიაში აღმოსავლეთ პრუსიასა და 1808-1811 წლებში ოსმალეთთან ომში.

შემდეგ მსახურობდა ჯერ ეგერთა მე-20 პოლკში, მერე კი ეგერთა ლაიბ-გვარდიის პოლკში, მიიღო მონაწილეობა 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში. დაწინაურდა ბრძოლებში სმოლენსკთან, ბოროდინოსთან, ტარუჭინოსთან და განსაკუთრებით მალოიაროსლავცესთან. შემდგომში დაწინაურთა რუსეთის არმიის საზღვარგარეთის ლაშქრობებში ევროპაში 1813-1814 წლებში.

1813 წლის 20 ოქტომბერს 28 წლის ასაკში მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1814 წელს მიჰყვებოდა მოკავშირე არმიებს პარიზამდე და როცა დამთავრდა სამხედრო მოქმედებები, დარჩა საზღვარგარეთ რუსეთის ჯარების კორპუსის მორიგე შტაბ-ოფიცირის თანამდებობაზე.

1819 წელს მან გამოაქვეყნა თავისი წიგნი „1812 წლის ომის აღწერა“. ამ შრომას თავის დროზე ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

1820 წელს თებერვალში დაინიშნა მე-17 ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაურად, მაგრამ უკვე იმავე წლის 8 დეკემბერს გადავიდა სამოქალაქო უწყებაში და 1821 წლის 8 ნოემბერს დაინიშნა კომისარიატის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორად.

აქ ის დაკავდა „სამხედრო დადგენილებათა მეთოდურ შედეგნას“.

ასეთი დადგენილებების გამოცემა დიდი ხანია უკვე იგრძნობოდა, მაგრამ ამ მიმართულებით 1826 წლამდე არანაირი ნაბიჯი გადადგმული არ იყო, მანამ, სანამ დიმიტრი ახშარუმოვის მეცადინეობით არ დაიძრა ეს საკითხი.

1827 წელს დიმიტრი ახშარუმოვი მიწერილ იქნა მთავარ შტაბთან. იმპერატორ ნიკოლოზ I პირადი დავალებით მან მიღლო თანამშრომელთა მწირი შტატი ამ სამუშაოთა შესასრულებლად.

ამ უმძიმეს შრომას მან მოანდომა 8 წელი, მაგრამ თვითონ უკვე ვეღარ მოესწრო ამ კაპიტალური ნაშრომის ნახვას.

ის გარდაიცვალა 52 წლის ასაკში. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, დიდი ოხტის გიორგის სასაფლაოზე.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თავისი ცხოვრების 52 წლიდან 11 წელი მან მოანდომა ამ შრომის შექმნას, მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ მან ფასდაუდებელი მყარი საფუძველი ჩადო სამხედრო დადგენილებათა კოდიფიკაციის ფუნდამენტში.

ახშარუმოვის საკოდიფიკაციო დამსახურებათა შეფასება არ მოგვეჩენება გაზვიადებულად თუ მოვიგონებთ იმას, რომ სამხედრო დადგენილებათა კრებული XIX საუკუნეში ვერა და ვერ გამოიცა (მთლიანი სახით), ხოლო ახშარუმოვმა შეადგინა მთლიანი კრებული 1827-1835 წლებში, სულ რაღაც 8 წელიწადში.

საბრძოლო დამსახურებისთვის დაჯილდოებული იყო:

ნმ.გიორგის IV ხარ. ორდენთ (20.10.1813) და ოქროს ხმლით წარნერით „მამაცობისათვის“ (13.02.1813);

და წმ., „ვლადიმერის“ IV ხარ.(ბაფთით).



გეორგი ივანეს-ძე ახშარუმოვი  
(18.(30).12.1826-06.(19).08.1907)

ინფიცირ-გენერალი (09.04.1889)

1839 წლიდან მსახურობდა ჯარში.

1845 წელს დაამთავრა მოსკოვის I კადეტთა კორპუსი და დაიწყო სამხედრო სამსახური ლაიბ-გვარდიის პავლოვსკის პოლკში.

1847 წელს დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო აკადემია.

1849 წელს მიიღო მონაწილეობა უნგრეთის რევოლუციის ჩახშობაში.

1854 წლიდან მეთაურობდა ლაიბ-გვარდიის მესანგრეთა ბატალიონის ასეულს.

1856 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1859 წელს დაინიშნა გამმიჯვნელთა კანცელარიის თავმჯ-დომარედ და იმპერატრიცა მარია თეოდორის-ასულის დაწესე-ბულებათა მზრუნველთა საბჭოს საპატიო მზრუნველად.

1863 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხე-დრო წოდება.

1873 წლის 26 თებერვალს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. მოსკოვში, ალექსეევის დედათა მონასტრის სასაფლაოზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-  
სთვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

„ნმ.სტანისლავის“ II (1857) და I ხარ.(1865);

„ნმ.ანას“ III (1853), II ხარ. (1861), I ხარ.(1867);

„ნმ.ვლადიმერის“ IV (1872), III. (1864), II. (1871) და I ხარ.  
(1899);

„თეთრი არწივის“ ორდენით (1877);

„ნმ.ალექსანდრე ნეველის“ ორდენით (1884), (ბრილლიანტ.  
ნიშნებით-1895).



არსენ ივანეს-ძე გაგუთოვი, თავადი  
(16.06. 1834- 10.02.1913)

გენერალ-მაიორი (06.12.1893)

დაიბადა ტფილისში. დაამთავრა ტფილისის თავად-აზნაურთა გიმნაზია. მსახურობდა სამოქალაქო უწყებაში.

1856 წლიდან მსახურობდა პრაპორშჩიკად 21-ე საარტილერიო ბრიგადაში.

1868-1869 წლებში მსახურობდა კაპიტნად დაღესტნის სამხედრო ოლქში.

1874 წელს არტილერიის პოდპოლკოვნიკის წოდებით დაინიშნა დაღესტნის ოლქის უფროსის კანცელარიის უფროსის თანაშემწედ.

1875-1877 წლებში მსახურობდა დაღესტნის ოლქის თემირ-სან-შურას ოლქის უფროსად.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1882 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1883-1884 წლებში მსახურობდა დაღესტნის ოლქის, ანდის ოლქის უფროსად.

1885-1888 წლებში მსახურობდა იმიერკასპიის ოლქის, მანგიშლაკის სამაზრო სამმრთველოს უფროსად.

1888-1890 წლებში მსახურობდა იმიერკასპიის ოლქის, კრასნოვოდსკის სამაზრო სამმართველოს უფროსად. ირიცხებოდა ტფილისის ნერსისანის სომხურ სასულიერო სასწავლებლის მზრუნველთა საბჭოს წევრად და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

1897-1907 წლებში არჩეულ იქნა ტფილისის საქალაქო სათათბიროს წევრად. იყო „უპოვართა სახლის“ მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე.

გარდაიცვალა ტფილისში. დაკრძალულ იქნა ხოჯევანქის სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში. (განადგურდა საბჭოთა ხელი-სუფლების დროს 1934 წ. ავტ. შენიშვნა.)

დავით გრიგოლის-ძე გეპუთოვი,  
თავადი  
(15.12.1855-1931)

გენერალ-გაიორი (1913)



დაიბადა ქ.ტფილისში. გენერალ ვასილ ბებუთოვის ნათესავია. დაამთავრა ტფილისის გიმნაზია და სტავროპოლის იუნკერთა კაზაკთა სასწავლებელი.

ჯარში მსახურობდა 1872 წლიდან. 1878 წლიდან მსახურობდა ოფიცრად. მონაწილეობდა (1877-1878) რუსეთ-თურქეთის და (1914-1918) პირველ მსოფლიო ომებში.

1910 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1913 წლამდე მსახურობდა კავკასიის || საარმიო კორპუსის, კავკასიის კავალერიის დივიზიის, ტვერის დრაგუნთა მე-16 პოლკის მეთაურად.

1913 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გაწვეულ იქნა ჯარში და დაინიშნა კავკასიის მე-4 სარეზერვო ბრიგადის მეთაურად.

დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით.

ნებანისლავის || (1909) და ნებანას III ხარ.(1899) ორდენებით.



ვასილ იოსების-ძე(ოსიანის-ძე)

გაგუთოვი, თავადი

(01.01.1791-10.03.1858)

იცვალების გენერალი (06.01.1857)

დაიბადა ქ.ტფილისში. 1783 წელს ბებუთოვების გვარს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II სიგელის თანახმად ეპონა თავადის წოდება. მამამისი იოსები კი, 1805 წელს იქნა დაჯილდოებული რუსული სამსახურის პოლკოვნიკის სამხედრო წოდებით.

თავად პავლე ციციანოვის (ციციშვილის) (1754-1806) მითო-თებით, თავადი ბებუთოვი 1807-1809 წლებში სწავლობდა სანქტ-პეტერბურგის I კადეტთა კორპუსში, სადაც მისი პორტრეტი, რო-გორც ფრიადოსანი კადეტისა ეყიდა სამკითხველოში.

სამხედრო სამსახური დაიწყო 1809 წელს, ხერსონის გრენა-დერთა პოლკის პრაპორშჩიკად. პოლკი განლაგებული იყო საქარ-თველოში. ერთხანს მსახურობდა გენერალ ტორმასოვის ადიუტან-ტად, მონანილეობდა (1806-1812) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1812 წელს, როგორც მარკიზ პაულუჩის ადიუტანტი, იმყოფებოდა მაკდონალდის ჯარების დევნაში, რიგიდან მემელამდე და, მე-მელის დაკავებისას, 15 დეკემბერს.

1813 წელს გადაყვანილ იქნა ლაიბ-გვარდიის სემიონოვსკის პოლკში.

1816 წელს ბებუთოვი დაპრუნდა კავკასიაში და დაინიშნა მხა-რის ახალი უფროსის, გენერალ ა.ერმოლოვის ადიუტანტად. ამ დროიდან მისი სამსახური გახდა მრავალფეროვანი, ხან სუფთა სამ-ხედრო, ხან ადმინისტრაციული.

1817 წელს თან ახლდა გენერალ ა.ერმოლოვს თეირანში, განსაკუთრებული ელჩიობისას, სადაც ეცნობოდა ევროპეიზირებული სპარსეთის ჯარის მოწყობას.

დიპლომატიური მისიის მსვლელობისას ასრულებდა სამხედრო ატაშეს მოვალეობას. იმყოფებოდა ქქ. თავრიზშა და თეირანში. გაეცნო თავდაცვითი გამაგრებების სისტემას. ბრნეინვალედ ფლობდა: სომხურ, ქართულ, თურქულ, სპარსულ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ იმყოფებოდა დაღესტნის ორ ექსპედიციაში. კერძოდ 1819 წელს მონაწილეობდა კაჩელიკელებისა და აკუშელების (დაღესტნის აულები) დარბევაში, ხოლო 1820 წელს კი ყაზი-ყუმუხის სახანოს დამორჩილებაში. თავად მადათოვის რაზმის შემადგენლობაში მონაწილეობდა აულ ხოზრეხის შტურმში.

1821 წლის 4 იანვარს ბებუთოვი ჩარიცხულ იქნა ლაიბ-გვარდიის მოსკოვის პოლკის სიებში.

1821 წლის 14 იანვარს, 30 წლის ასაკში მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

იმავე წელს გადაყვანილ იქნა კარაბინერთა მე-7 პოლკში, ხოლო იმავე წლის 23 ივლისს დაინიშნა მინგრელსკის ეგერთა პოლკში, რომლის მეთაურად დარჩა 1825 წლამდე.

შემდეგ ჩაუდგა სათავეში 22-ე ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადას და, იმავდროულად, დაინიშნა იმერეთის მმართველად და იმერეთში განლაგებულ ჯარების სარდლად.

თურქეთთან კამპანიის დაწყების წინ, **1828 წლის 25 მარტს, 37 წლის ასაკში მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება** და დაინიშნა 22-ე ქვეითი დივიზიის უფროსის განკარგულებაში.

24 ივლისს თავადმა ბებუთოვმა მიიყვანა ახალქალაქის ბანაკ-თან ჯარების გარკვეული რაოდენობა და დაიძრა ახალციხისკენ, ხოლო 9 ივლისს მისმა ნაწილებმა ძალზედ შეუწყვეს ხელი ოსმალთა 30-ათასიანი კორპუსის განადგურებას და 15 აგვისტოს იქცა კიდეც ახალციხის შტურმის აღების ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ.

1829 წელს ახალციხეს თავს დაესხნენ თურქები, რომლებმაც აჭარელ ახმედ-ბეგის (ხიმშიაშვილის.-ავტ.შენიშვნა) ხელშეწყობით

მოახდინეს თავგანწირული შტურმი ციხესიმაგრეზე და მხოლოდ თავად ბებუთოვის ენერგიისა და მისი ჯარების მამაცობის მადლით, შტურმი იყო უკუქცეული. გარნიზონმა მტკიცედ გაუძლო გარემოცვას მანამდე, სანამ დასახმარებლად არ მოვიდა გენერალ ნ.მურავიოვის რაზმი.

გარემოცვა იქნა მოხსნილი და, დაედევნა რა უკუქცეულ მოწინააღმდეგეს, ბებუთოვმა შესძლო წაერთმია მისთვის 2 ზარბაზანი და 2 დროშა, შემდეგ დაედევნა რა აჭარელ ახმედ-ბეგს, გენერალ ბურცევის რაზმა 30 აპრილს მოახდინა მისი სრული განადგურება სოფელ წურწყაბთან.

1830 წლის 13 თებერვალს ბებუთოვი დაინიშნა ახლად შემოერთებული სომხეთის ოლქის უფროსად, რომელსაც მართავდა რვა წლის მანძილზე, მოაწყო ადმინისტრაცია, სწორად მოაწყო სახაზინო შემოსავლების გადანაწილება და საერთოდ შესძლო ოლქის მართვისათვის შემოეღო დროებითი წესები. ბებუთოვის მიერ დამთავრდა სპარსეთთან რუსეთის იმპერიის სამფლობელოების საბოლოო საზღვრების დადგენა.

1830 წლის 17 აგვისტოს ბებუთოვი დაინიშნა ახალციხის საფაშალიყოს უფროსად. ბებუთოვის ეს დანიშვნა იყო განპირობებული იმით, რომ ის კარგად იცნობდა ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს და ადგილობრივ ყოფას. მან შესძლო ახლადშემოერთებულ მხარეში სიმშვიდის დამკვიდრება.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა ოქროს ხმლით (მამაცობისათვის) და წმ.გიორგის IV ხარ.ორდენით (1830 წლის 18 დეკემბერს).

1838 წელს თავადი ბებუთოვი დაინიშნა ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრად, ხოლო 1840 წლის 2 მაისს გადაყვანილ იქნა პოლონეთის სამეფოში, სადაც იმყოფებოდა მოქმედი არმიის მთავარ შტაბთან.

1842 წელს დაინიშნა ციხესიმაგრე ზამოსტიეს კომენდანტად.

1843 წლის 10 ოქტომბერს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება. იმავე წლის 5 დეკემბერს იყო მიწერილი კავკა-სიის ცალკეულ კორპუსთან და 1844 წლის 13 თებერვალს დაინიშნა ჯარების სარდლად ჩრდილოეთ და მთიან დაღესტანში.

1845 წელს ბებუთოვმა მიიღო მონაწილეობა შამილის მიურიდების წინააღმდეგ ლაშქრობაში, გაწმინდა მათგან ანდისა და გუმბეთის აულები, მოაწყო იქ მაღაზია და ამარაგებდა ექსპედიციის ჯარებს სურსათ-სანოვაგით, ჯარების უკან მოძრაობისას, როცა მთიელები, გახარებულები თავიანთი წარმატებით, დაედევნენ მისი არიერგარდის ურმებს, მან არ დაკარგა არც ერთი ურემი.

1846 წლის შემოდგომაზე, შამილმა დრო იხელთა და შემოქრო დარგოს ოლქში, მაგრამ თავადმა ბებუთოვმა არ მისცა მას დრო არც აჯანყების განვითარებისა და არც დაკავებულ ადგილზე გამაგრებისა.

13 ოქტომბერს ბებუთოვმა შტურმით აიღო აიმიაკის აული, რომელიც მიემხრო შამილს და იმავე დღეს გაანადგურა თვით შამილი სოფელ კუტიშისთან. შამილის ჯარმა, რომელიც ბრძოლის დასაწყისში აღწევდა 20 ათასს, გაქცევით უშველა თავს, თვითონ შამილმა დაკარგა დაღუპულებით და დაჭრილებით 1200 კაცი, რუსებს ტყვედ 300 კაცი ჩაუვარდა, 1 სამთო იარაღი, საზარბაზნე ყუთები და სეკირა თავისი ძალაუფლების სიმბოლო. ბრძოლის ველზე ბებუთოვს ეახლდნენ დეპუტატები დარგოს ოლქის სოფლებიდან დამორჩილების გამოსახატავად და იმავე ღამეს ოლქში არც ერთი მიურიდი აღარ იყო დარჩენილი. ასეთივე ენერგიით იყვნენ განადგურებულნი მოწინააღმდეგის ძალები ცუდახართან და ხუჯალ-მახთან.

თავისი თავდადებისთვის ბებუთოვი 1846 წლის 5 ნოემბერს დაჯილდოვდა **ნმ.გიორგის III ხარ.ორდენით.**

1847 წელს ბებუთოვი მონაწილეობდა დაღესტნის რაზმით, გამაგრებულ სოფელ გერგებილის გარემოცვასა და შტურმში.

იმავე წლის 8 ნოემბერს დაინიშნა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამართველოს უფროსად და საბჭოს მთავარი სამმართველოს თავმჯდომარედ.

1852 წლის 22 აგვისტოს მას ებოძა არენდით 2000 მანეთი 12 წლით.

1853-1856 ყირიმის (აღმოსავლეთის) ომის დროს, 1853 წლის 19 სექტემბერს, თავად ბებუთოვს დავალებული ჰქონდა განსაკუთრებული კორპუსის მეთაურობა, რომელიც განლაგებული იყო ოსმალეთის საზღვარზე ახალქალაქიდან ერევნის ჩათვლით.

თავადი ბებუთოვი, გადავიდა რა მდინარე არფაჩაიზე (ამჟა-  
მად აქ გადის სახელმწიფო საზღვარი სომხეთის რესპუბლიკასა და  
თურქეთის რესპუბლიკას შორის. ავტ.შენიშვნა), 7000 ქვეითით და  
2800 კაციანი კავალერიით, 32 ზარბაზნით, 10 ნოემბერს გაანადგუ-  
რა სოფელ ბაშ-ყადიყლართან რეის ახმედ-ფაშას 36-ათასიანი კორ-  
პუსი და აიღო ნადავლის სახით 24 ზარბაზანი, 10 საპალნე ყუთი,  
დროშა, 10 სამხედრო ნიშანი, მთელი ბანაკი და მარაგები.

ანატოლიის არმიის განადგურებისათვის და ამ ბრძყინვალე გა-  
მარჯვებისათვის 1853 წლის 6 დეკემბერს თავადი ბებუთოვი და-  
ჯილდოვდა **წმ.გიორგის II ხარ. ორდენით** (ორდენის ჯვარი და ბაფ-  
თა მას პირადად გამოუგზავნა ტახტის მემკვიდრემ ალექსანდრე  
ნიკოლოზის-ძემ).

თავად ბებუთოვის სამხედრო კარიერის უმაღლეს მწვერვალად  
კი უნდა ჩაითვალოს 1854 წლის 24 ივლისის ბრძოლა სოფელ ქუ-  
რუქ-დარასთან, სადაც მან 18-ათასიანი რაზმით გაანადგურა თურ-  
ქების 60-ათასიანი ჯარი მუშირ ზარით მუსტაფა ფაშას სარდლო-  
ბით. მოწინააღმდეგებმ გაქცევით უშველა თავს და დატოვა ბრძო-  
ლის ველზე 15 ზარბაზანი, 16 საპალნე ყუთი, 2 დროშა, 4 შტანდარ-  
ტი, 20 სამხედრო ნიშანი და 2000 ტყვე.

ამ ბრძყინვალე გამარჯვებაზე მღეროდნენ ჯარშიც და ხალხ-  
შიც, ხოლო იმპერატორმა ნიკოლოზ I, როცა მიიღო ცნობა ბრძყინ-  
ვალე გამარჯვებაზე, კავკასიელ სამხედროების მონაცემლით, სთქვა:  
-თავად ბებუთოვს სურს ჩემი გაოცება თავისი გამარჯვებით,  
მე კი გავაკვირვებ მას ჯილდოთი!

ბრძოლა სოფელ ქურუქ-დარასთან იქცა მომავალი რუსეთის  
სარაკეტო ჯარების ისტორიისათვის ღირსშესანიშნავ თარიღად.  
სპეციალური დანადგარებიდან გაშვებული რაკეტები, რომლებიც  
უკან ტოვებდნენ გრძელ შლეიფს, შიშის ზარს სცემდნენ თურქ ჯა-  
რისკაცებს. დანაკარგებს „კუდიანი“ რაკეტების აფეთქების შემდეგ  
ემატებოდა დანაკარგი მორალურიც. გამარჯვებას თან სდევდა რა-  
კეტების უეცარი გამოყენება და არტილერისტების მაღალი ოსტა-  
ტობა. ამ ბრძოლაში ბებუთოვმა გამოავლინა ნამდვილი მხედართმ-  
თავრული ხელოვნება, ჯარების მართვის და მოქმედებების მსვლე-  
ლობათა ხედვა.

1854 წლის 9 აგვისტოს ქურუქ-დარასთან ბრძოლისათვის ბებუ-თოვი დაჯილდოვდა რუსეთის უმაღლესი ჯილდოთი - **ნმ.ანდრია პირველწოდებულის ორდენით** (ეს იყო განსაკუთრებული ჯილდო გენერალ-ლეიტენანტის წოდებაში მყოფი პირისათვის. ავტ.შენიშვნა), მახვილები ორდენთან მას ებოდა 1855 წლის 5 აგვისტოს.

1854 წლის 29 ნოემბერს თავად ბებუთოვს დაეკისრა იმ ჯარების სამოქალაქო ნაწილის მმართველობა, რომლებიც არ შედიოდნენ მოქმედი კორპუსის შემადგენლობაში.

სიკვდილამდე ერთი თვით ადრე, 8 თებერვალს დაინიშნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრად. გარდა ამისა ის არჩეული იყო კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად და რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავმჯდომარედ.

ცხოვრობდა ტფილისში, სადაც გარდაიცვალა კუჭის კიბოთი. მას მთელი კვირა ეთხოვებოდა ტფილისის მოსახლეობა. დაკრძალული იყო ხოჯევანქის სომხური სასაფლაოს ბებუთოვების საგვარეულო აკლდამაში. (გაანადგურეს საბჭოთა ხელისუფლების დროს 1934 წელს. ავტ. შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

**ნმ.ანას IV** (მამაცომისათვის-1813), II (ალმასებით) და I ხარ. (საიმპ.გვირგვინით-1851).

**ნმ.ვლადიმერის IV** (ბაფთით-1820), III, II (1845) და I ხარ.

თეთრი არჩივის ორდ. (ბრილ.ნიშნ.-1847);

**ნმ.ალექსანდრე წეველის ორდ.** (1849), (ბრილ.ნიშნ.-1851);

**წარჩინების ნიშნით ნმ.გიორგის ბაფთაზე უმწიველო სამსახურისათვის XXV** (1834) და XXX (1839);

მიღებული ჰქონდა უცხოეთის ჯილდოები: სპარსეთის „ლომისა და მზის“ II (1817) და I ხარ.ორდ. (ალმას.ნიშნ.-1851) და შახ ნასრ-ედ-დინის პორტრეტი (ალმასებით-1851) მარჯვენა მკერდზე სატარებელ ბაფთაზე.



დავით იოსების-ძე(ოსიანის-ძე)

გამართოვი, თავადი

(11.01.1793 - 11.03.1867)

გენერალ-ლეიტენანტი (26.08.1856)

დაიბადა ქ.ტფილისში. გენერალ ვასილ ბებუთოვის (1791-1858) უმცროსი ძმაა.

განათლება მიიღო ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, ახალგაზრდობაში მონაწილეობდა ქუჩის მუშტი-კრივის ბრძოლებში, რადგან XIX საუკუნის I ნახევარში ეს თამაში იყო ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული გართობა ტფილისელებისათვის.

1811 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში ნარვის დრაგუნთა პოლკში, რომელიც მოქმედებდა მაშინ კახეთში, მთიელთა წინააღმდეგ.

1812 წლიდან უკვე ოფიცერი იყო და მონაწილეობდა ლაშქრობაში ბრესტ-ლიტოვსკთან, ხოლო 1814 წელს - კრაკოვთან.

1820 წლისათვის უკვე მეთაურობდა ესკადრონს. მალევე ის გადაყვანილ იქნა კავკასიის ცალკეულ კორპუსში და, 1830 წელს მიიღო მონაწილეობა ექსპედიციაში ჭარ-ბელაქნელ ლეკთა და ოსთა წინააღმდეგ. მას დავალებული ჰქონდა თვალყური ედევნებინა რიგ ღონისძიებათა შესრულებაზე, რომლებიც გამომდინარეობდა ადრიანოპოლის (1829) ზავის შედეგად, ოსმალეთიდან ქრისტიანთა გადმოსახლების შესახებ შექმნილი კომიტეტისა. ეს დავალება მან პირნათლად შესრულა და 1831 და 1832 წლებში გახდა ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული მოღვაწე, ყაზი-მულას მიურიდების წინააღ-

მდეგ წარმოებულ ექსპედიციაში. დაიძრა რა ჩუმკესკენტის სიმაგრისკენ, რომელიც დაკავებული ჰქონდა ყაზი-მულას, ბებუთოვმა აიღო ეს პუნქტი შტურმით, რისთვისაც დაჯილდოვდა **წმ. გიორგის IV ხარ. ორდენით (1834 წლის 3 დეკემბერს)**, შემდგომში, 1832 წლის 17 ოქტომბერს, მეთაურობდა რა მუსლიმ ცხენოსანთა მე-2 პოლკს, კაზაკებსა და ქართულ მილიციას, დაწინაურდა აულ გიმრის შტურმისას, სადაც ყაზი-მულა იმყოფებოდა 3 ათას მთიელთან და დაიღუპა რუსის ჯართან შეტაკებაში.

1833 წელს ბებუთოვი ასრულებდა ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსის და ახალ ზაქათალას ციხესიმაგრის კომენდანტის თანამდებობას, ხოლო 1834 წელს გენერალმა ფ. პასკევიჩმა მას დაავალა მუსლიმ ცხენოსანთა პოლკის ფორმირება და მათი გადაყვანა პოლონეთის სამეფოში.

1835 წლის 2 მარტს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ვარშავაში ჩამოსვლისთანავე, ვიდრე პასკევიჩის სიკვდილამდე, ბებუთოვმა ბევრი გააკეთა თავისი პოლკის ფორმირების და სათანადო დონეზე აყვანის საქმეში.

1846 წლის თებერვალში თავის პოლკთან ერთად დაიძრა კრაკოვისკენ, გრაფ რიდიგერის რაზმების დასახმარებლად, რომელიც მოქმედებდა პოლონელების წინააღმდეგ. იმავე წლის 19 თებერვალს ბებუთოვი შევიდა ქალაქში, შემდეგ კი, თავად ბარიატინსკისთან ერთად, დაედევნა აჯანყებულ პოლონელებს და სდია მათ პრუსიის საზღვრამდე, სადაც ისინი დანებდნენ და დაყარეს იარაღი.

**1846 წლის 17 მაისს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება** და დატოვებულ იქნა თავისი პოლკის მეთაურად.

1849 წლის უნგრეთის კამპანიის პერიოდში მონაწილეობდა ვაიცენის და დებრეცენის ბრძოლებში, რისთვისაც დაჯილდოვდა **წმ. გიორგის III ხარ. ორდენით (1849 წლის 1 სექტემბერს)**.

1853-1856 წლების ყირიმის (აღმოსავლეთის) ომის დაწყების შემდეგ, 1854 წლის აპრილში, თავად ბებუთოვს იმპერატორ ნიკოლოზ I ბრძანებით, დაევალა ყოფილიყო თავად ფ. პასკევიჩთან,

რომელიც დაინიშნა დუნაის არმიის მთავარსარდლად. როგორც კი ჩამოვიდა სოფელ კალარამში, ბებუთოვმა 100 მუსლიმთან, სახაზო კაზაკთა ასეულთან და მთიელთა ნახევარასეულთან ერთად მიიღო მონაწილეობა სილისტრიისთან წარმოებულ ბრძოლებში.

22 მაისს მონაწილეობდა თურქთა შეტევის მოგერიებაში „არა-ბიეს“, ფორტთან, ხოლო 28 მაისს პასკევიჩის გაძლიერებულ რე-კოგნოსცირებაში, 10 ბატალიონისგან შემდგარი რაზმით, 1 კავა-ლერის ბრიგადით, კაზაკთა 1 პოლკით და 3 ბატარეიით, ბებუთოვი მოქმედებდა ძალზე წარმატებულად, და ყველანაირად ხელს უშლი-და მოწინააღმდეგეს მიეწოდინებინა სილისტრიაში დახმარება.

შემდეგ ოლტენიცკის რაზმის სათავეში აკვირდებოდა მოწინა-აღმდეგეს ტურტუკაიში სოფელ გრაკიდან ვიდრე მასტიშის ტბამდე და გაანადგურა მისი 300 გადასაზიდი ნავი მდინარე დუნაიზე. დუ-ნაის კამპანიისათვის დაჯილდოვდა ოქროს ხმლით (მამაცობისათ-ვის - ბრილიანტებით).

პასკევიჩის სიკვდილისა და მუსლიმთა პოლკის დაბრუნების შემდეგ კავკასიაში, ბებუთოვი დაბრუნებულ იქნა ვარშავაში I არ-მიის მთავარსარდალთან, ხოლო 1861-1867 წლებში იყო ვარშავის კომენდანტი.

გარდაიცვალა ვარშავაში, დაკრძალულია იქვე ვოლსკის სასაფ-ლაოზე.

თავადმა ბებუთოვმა დატოვა ავტობიოგრაფიული „ჩანაწერე-ბი“ რომლებიც გადაამუშავა და დასაბეჭდათ მოამზადა „სამხედრო კრებულის“ ერთ ერთმა თანამშრომელმა.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისთვის დაჯილდოებული იყო: ოქროს ხმლით (მამაცობისათვის XXV-წლიანი უმწიკვლო სამსახურისათვის-1857) და ოქროს ხმლით (მა-მაცობისათვის (L-წლიანი უმწიკვლო სამსახურისათვის-1865); და რუსეთის ორდენებით.

**ნმ.ანას II** და I ხარ.(იმპ.გვირგვ. და მახვილებით-1851); ორდენით.

ნმ.სტანისლავის II (1848) და I ხარ.;  
ნმ.ვლადიმერის III და II ხარ.(1849);  
თეორი არწივის ორდ. (1862);  
ნმ.ალექსანდრე ნეველის ორდ.(1849),(ბრილ.ნიშნ.-1865);  
მიღებული ჰქონდა „უცხოეთის ორდენები“:  
სპარსეთის „ლომისა და მზის“ II ხარ. ორდ.(გარსკვლა-  
ვით-1857);  
პრუსიის „წითელი არწივის“ ორდ.(1864);  
ავსტრო-უნგრეთის „წმ.ლეოპოლდის“ ორდ.(1850).  
გარდა ამისა დაჯილდოებული იყო ოქროს სათამბაქოთი იმპე-  
რატორ ალექსანდრე II ვენზელით.



ნიკოლოზ ვასილის-ძე გებუთოვი,  
თავადი

(08.05.1839 -09.02.1904)

გევარალ-მაიორი (04.06.1895)

დაიბადა ტფილისში. გენერალ ვასილ ბებუთოვის შვილია (1791-1858).

1858 წელს დაამთავრა პაჟთა კორპუსი, სადაც იმყოფებოდა და-  
ვალებათა პაჟათ. იმავე წლიდან მსახურობდა გვარდიაში. 1877-1904  
წ.წ. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საარმოო ქვე-  
ითებში. მონაწილეობდა (1877-1878) რუსეთ-თურქეთის ომში.

1883 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წო-  
დება.

1904 წლის 9 თებერვალს მას დაეცა დამბლა. გარდაიცვალა  
გონებაზე მოუსვლელად.

თანამედროვეთა მოგონებით იყო ჰუმანური და უწესიერესი  
ადამიანი.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-  
სათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით: **მზადას III**  
სარ. (1896).

**მზ.სტანისლავის III** (მახვილებითა და ბაფთით-1864), II (1906)  
და I ხარ., ორდენით.

**მზ.ვლადიმერის IV** (XXV-წლიანი უმწიკვლო სამსახურისათ-  
ვის-1895) და III ხარ. (1889), ორდენით.

მიღებული ჰქონდა სპარსეთის „ლომისა და მზის“ ორდენის III,  
II და I ხარ..


დაკრძალული იქნა ქ.ტფილისში, ხოჯევანქის სასაფლაოს, ბებუ-  
თოვების საგვარეულო აკლდამაში. (განადგურდა საბჭოთა ხელი-  
სუფლების დროს 1934 წ. ავტ. შენიშვნა.)

Княгиня София Васильевна Гурели съ детьми извещаетъ  
съ глубокимъ прискорбiemъ родныхъ и знакомыхъ о кон-  
чинѣ дорогого брата своего, генералъ-майора

## князя Николая Васильевича Бебутова.

Панихиды ежедневно въ 7 часовъ вечера. Выносъ тѣла  
послѣдуетъ въ субботу, 14-го февраля, въ 11 часовъ ут-  
ра, въ Ванкскій каѳедральныи соборъ, а оттуда на Ходже-  
ванское кладбище.  
181 (5) 1.

ნეკროლოგი გაზეთ. „კავკაზში“



თავად ბებუთოვების საგვარეულო გერბი



ისაკ აბრამის-ძე ევანგულოვი  
(1814-1875)

გენერალ-მაიორი (24.03.1860)

დაიბადა ტფილისში სომეხი აზნაურის ოჯახში.

მონაწილეობდა (1853-1856) ყირიმის (აღმოსავლეთის) ომში.

1856-1860 წ. ირიცხებოდა კავკასიის არმიასთან. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ შტაბში, ირიცხებოდა საარმიო ქვეითებში, მოგვიანებით კი საარმიო კავალერიაში.

1875 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და სრული პენსიონით.

დაკრძალულია ტფილისში, ვერის სასაფლაოზე.

ართემი სოლომონის-ძე ვართავოვი  
(15.02.1855-25.10.1937)

გენერალ-ლეიტენანტი (31.05.1913)



დაიბადა ტფილისში, სომეხი აზნაურის.

დაამთავრა ტფილისის რეალური სასწავლებელი 1872 წელს, მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი 1875 წელს, მიხეილის საარტილერიო აკადემია 1882 წელს და ოფიცერთა საარტილერიო სკოლა 1895 წელს. ჯარში მსახურობდა 1872 წლიდან, 1875 წლიდან კი ოფიცრად.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში, ორჯერ დაიჭრა. ომის შემდეგ დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის სასწავლო-საარტილერიო პოლიგონის უფროსის თანაშემწედ.

1895-1898 წლებში მსახურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადის I ბატარეის მეთაურად.

1898-1904 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის მე-2 სასწავლო საარტილერიო პოლიგონის უფროსად.

1904-1905 წლებში მსახურობდა 59-საარტილერიო ბრიგადის I დივიზიონის უფროსად.

1905-1907 წლებში მსახურობდა მორტირთა მე-3 საარტილერიო დივიზიონის მეთაურად.

1907-1908 წლებში მსახურობდა მე-16 საარტილერიო ბრიგადის მეთაურად.

1908-1912 წლებში მსახურობდა 27-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაურად.

1900 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

**1907 წლის 31 მაისს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.**

1912-1916 წ.წ. მსახურობდა XIV საარმიო კორპუსის არტილერიის ინსპექტორად. მონაწილეობდა 1914-1918 წლების პირველ მსოფლიო ომში.

1916 წლის 16 აპრილს დაინიშნა I არმიის არტილერიის ინსპექტორად.

1919 წლის 2 ივლისიდან ირიცხებოდა „ჩრდილოეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების“ მთავარსარდლის შტაბის რეზერვში, შემდეგ კი შავი ზღვის ოლქის ჯარების რეზერვში.

1919 წლის დეკემბრიდან თავმჯდომარეობდა უწყებათაშორისონ სარეკვიზიციო კომისიას ქ.ხერსონში.

1920 წლიდან მსახურობდა მთავარსარდალ პრანგელის „რუსული არმიის“ შტაბის, ბეჭდვით განყოფილებაში, ყირიმის სრულ ევაკუირებამდე.

ევაკუირებულ იქნა კატაროში (იუგოსლავია), გემ „ისტერნ-ვიქტორზე“.

1929 წელს ავადმყოფობის გამო წაერთვა ორივე ფეხი, მაგრამ სალი გონება დარჩა სიკვდილის ბოლომდე.

გარდაიცვალა ქ.ბანია-ლუკაში (იუგოსლავია). დაკრძალულია იქვე სამხედრო პატივით.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით: **ნე.ანას IV** (მამაცობისათვის-1877), III (მახვილებით და ბაფთით-1879), II (1895) და I ხარ.(მახვილებით-1915), **ნე.სტანისლავის III** (მახვილებით და ბაფთით-1878), II (1890) და I ხარ.(1910), **ნე.ვლადიმერის IV** (1895), III (1904) და II ხარ. (მახვილებით-1915), **თეთრი არწივის** (მახვილებით-1916) ორდ.

**მიხეილ ნიკოლოზის-ძე ზურაბოვი  
(01.02.1868 – 1918 წ. გევა.)**

**გევარაშვილი (06.12.1916)**



დაიბადა ტფილისის გუბერნიის აზნაურის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი, მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი და მიხეილის საარტილერიო აკადემია 1894 წელს (1-ი თანრიგით).

ჯარში მსახურობდა 1886 წლიდან.

1895-1900 წ.წ. მსახურობდა სანქტ-პეტერბურგის საპატრონო ქარხნის უფროსის უფროს თანაშემწედ.

1900-1907 წ.წ. მსახურობდა იმავე ქარხნის სახელოსნოების უფროსად.

1906 წლის 7 ოქტომბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1907-1909 წ.წ. იმყოფებოდა თადარიგში.

1909-1910 წ.წ. მსახურობდა იუვესკის საიარაღო და ფოლადჩა-მომსხმელი ქარხნების სახელოსნოების უფროსად.

1911-1916 წ.წ. მსახურობდა ლუგანსკის საპატრონო ქარხნის უფროსის თანაშემწედ ტექნიკურ დარგში.

სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით.

**„წმ.ანას“ II ხარ.(1913), და „წმ.სტანისლავის“ II ხარ. (1911).**



ვასილ მიხეილის-ძე თაგამშვილი  
(26.07.1859-01.03.1932)

გენერალ-მაიორი (06.12.1913)

დაიბადა ტფილისში. ცნობილი საზოგადო მოღვაწის და ეგილდის ვაჭრის, კომერციის მრჩევლის მიხეილ თამამშევის შვილია.

დაამთავრა ტფილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი 1878 წელს.

მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის (1877-1878) წ.წ. ომში. ომის დროს მსახურობდა ოფიცრად 140-ე ქვეით პოლკში.

1882-1890 წ.წ. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალთან, დავალებათა ოფიცრად.

1899-1901 წ.წ. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალთან, დავალებათა ობერ-ოფიცრად.

1903-1909 წ.წ. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში და, 1908 წლიდან პარალელურად იყო ტფილისის სახაზინო თეატრის დირექტორი.

1907 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1909-1913 წ.წ. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის მეფისნაცვალთან დავალებათა შტაბ-ოფიცრად.

1914-1917 წ.წ. მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვალთან პირველი მსოფლიო ომის სამხედრო მოქმედებათა თეატრიდან ლტოლვილთა მოწყობის სამმართველოს მთავარ რწმუნებულად.

1916 წლიდან მსახურობდა კავკასიის არმიის მთავრსარდალთან დავალებათა გენერლად.

1910 წლიდან იყო ტფილისის გუბერნიის ციხეების მზრუნველთა კომიტეტის საპატიო წევრ-დირექტორი, ტფილისის საცხენოსნო საზოგადოების მმართველობის წევრი და კავკასიის სახვითი ხელოვნების საზოგადოების ვიცე-თავმჯდომარე.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

**წმ.ანას** II ხარ.(1912), **წმ.სტანისლავის** III (1888) და II ხარ. (1910) „**წმ.ვლადიმერის**“ IV ხარ. (XXV-წლიანი უმწიკულო სამსახურისათვის - 1908) ორდენებით.

მიღებული ჰქონდა სპარსეთის **ლომისა და მზის** I ხარ. ორდენი, ბუხარის „**ამომავალი მზის**“ II ხარ.(1893), ორდენები. იტალიის „**გვირგვინის**“ კავალერთა ჯეარი (1891).

1918 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში, საფრანგეთში. დაკრძალულია იქვე.



ისაკ ართემის-ძე თომათელოვანი  
(08.02.1853-19.10.1918)

გენერალ-ლეიტენანტი (06.12.1910)

დაიბადა ტფილისში. დაამთავრა ტფილისის რეალური სასწავლებელი 1873 წელს და კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი (I თანრიგით) 1875 წელს.

სამხედრო სამსახური დაიწყო ახალციხის საციხოვნო არტილერიაში.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1884-1896 წლებში მეთაურობდა ასეულს.

1896-1898 წლებში მეთაურობდა მიხელის საციხოვნო არტილერიის I ბატალიონს (ქ.პათომი).

1898 წელს დაინიშნა ქერჩის საციხოვნო არტილერიის პრაქტიკული მეცადინეობების უფროსად.

1898-1906 წლებში მსახურობდა კვანტუნის საციხოვნო არტილერიის პრაქტიკული მეცადინეობების უფროსად.

მონაწილეობდა რუსეთის არმიის 1900-1901 წლების ჩინეთის ლაშქრობაში და 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში. ომის დროს თავისი პირადი შემადგენლობით ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს.

1906 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1906 წელს დაინიშნა ვიბორგის საციხოვნო არტილერიის მეთაურად.

1906 წლის ოქტომბერში დაინიშნა ვლადივოსტოკის საციხოვნო მე-2 საარტილერიო ბრიგადის მეთაურად.

1906 წლიდან ცხოვრობდა სანქტ-პეტერბურგში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო სამხედრო ორდენის IV ხარ. წარჩინების ნიშნით (1878), ნმ.გიორგის IV ხარ.(1904 წლის 24 ოქტომბერი), და რუსეთის ორდენებით: ნმ.სტანისლავის III 1888) და II ხარ. (1894), ნმ.ანას II ხარ.(1883), ნმ.ვლადიმერის III ხარ.(1901).

მიღებული ჰქონდა რიგი უცხოეთის ჯილდოებისა.

დაიღუპა ქ.პიატიგორსკში, 1918 წლის 19 ოქტომბერს „წითელი ტერორის დროს“.



სიმონ გრიგოლის-ძე ქართაშვილი  
(კარტაშვილი)  
(01.02.1856-1917 ნ.შ.)

გენერალ-მაიორი (30.11.1916)

დაიბადა ქ.ტფილისში.

განათლება მიიღო ტფილისის გიმნაზიაში.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1876 წელს. დაამთავრა ტფილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი და გამოშვებულ იქნა ახალციხის 162-ე ქვეით პოლკში.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

ომის შემდეგ დაამთავრა ოფიცერთა მსროლელი სკოლა. მეთაურობდა ასეულს.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომში. დაიჭრა და იყო მიწერილი მე-2 კლასის დაჭრილთა რიგებში.

1906 წლის 27 ოქტომბერს მიერიცხა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

პირველი მსოფლიო ომის დამდეგს იმყოფებოდა თადარიგში. ომის დაწყებისთანავე დაინიშნა კიევის სამხედრო ოლქის შტაბის განკარგულებაში მყოფ გენერლად.

1915 წლის 28 ნოემბერს დაინიშნა 22-ე სათადარიგო ქვეითი ბრიგადის უფროსად.

1917 წლის 20 მაისს დროებითი მთავრობის მიერ გაშვებულ იქნა თანამდებობიდან.

საპრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით:

**ნშ.ანას IV** (მამაცობისათვის -1878) და || ხარ.(მახვილებით-1905);

**ნშ.სტანისლავის II** (1897), მახვილებით || ხარ. (1905) და | ხარ. (1916);

**ნშ.ვლადიმერის“ IV** (XXV-წლიანი უმწიკვლო სამსახურისა-თვის-1902) და III ხარ. (1915).

გიორგი ალექსანდრეს-ძე კათეუდროვი  
(24.10.1868-1916 ნ.შ.)

გენერალ-მაიორი (06.12.1916)



ტფილისის გუბერნიის აზნაურის შვილია.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1887 წელს. 1889 წელს დაამთავრა პავლოვსკის | სამხედრო სასწავლებელი (I თანრიგით). სამხედრო სამსახური დაიწყო ეკატენოსლავის ლაიბ-გრენადერთა | პოლკში.

თანმიმდევრულად მიენიჭა პოდპორუჩიკის (1888), გვარდიის პოდპორუჩიკის (1889), პორუჩიკის (1893), შტაბს-კაპიტნის (1899) და კაპიტნის (1901) სამხედრო ნოდებები. იყო საპოლკო ადი-უტანტი, მეთაურობდა ასეულს და ბატალიონს.

1906 წელს ჩაირიცხა იმპერატორის ამალაში.

1909 წლის 29 მარტს მიენიჭა პოლკუოვნიკის სამხედრო წო-დება.

1911-1915 წლებში მსხურობდა ლაიბ-გვარდიის მე-3 მსრო-ლელი პოლკის შტაბ-ოფიცირად. თავის პოლკთან ერთად მონა-ნილებიდა 1914-1918 წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915-1916 წლებში მსახურობდა ჰელსინგფორსის კომენდანტად. დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით.

,ნშ.სტანისლავის“ III (1896) და II ხარ.(1906) და (მახვილებით II ხარ.-1915); „ნშ.ანას“ III ხარ.(1900), II (1910), (მახვილებით-1915);

,ნშ.ვლადიმერის“ IV ხარ.(მახვილებით და ბაფთით -1913);  
მილებული ჰელსინგფორსის ჯილდოები:

ბულგარეთის **წმ.ალექსანდრეს V** ხარ.(1896) ორდენით.  
საფრანგეთის **საპატიო ლეგიონის** ორდენის კავალერთა  
ჯვარი-1897; **რუმინეთის ვარსკვლავის IV** ხარ.(1898); ორდენით.  
იტალიის **გვირგვინის** ოფიცერთა ჯვარი-1902.

**ადამ სოლომონის-ძე კორგანოვი  
(19.06.1846-14.10.1914)**

**კავალერიის გენერალი (10.08.1911)**



დაიბადა ტფილისში, გენერალ სოლომონ კორგანოვის შვილია.

დაამთავრა კადეტთა მე-2 კორპუსი და პავლოვსკის I სამხედრო სასწავლებელი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1863 წელს.

მსახურობდა კავკასიის სასწავლო ასეულში, კავალერიის სასწავლო ესკადრონში. მეთაურობდა ესკადრონს და დივიზიონს.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში და რუსეთის არმიის შუა აზიის ლაშქრობის ახალ-თეკეს ექსპედიციაში. იმყოფებოდა კასპიისპირა ოლქის ჯარების სარდალთან.

1889 წლის 15 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1889-1891 წლებში მსახურობდა კავალერიის საკადრო რეზერვის უფროსად.

1891-1899 წლებში მეთაურობდა ასტრახანის დრაგუნთა 22-ე პოლკს.

1899-1904 წლებში მეთაურობდა კავალერიის მე-3 დივიზიის I ბრიგადას.

1904-1905 წლებში მეთაურობდა კავალერიის მე-11 დივიზიას.

1905 წლის 17 აპრილს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

1905-1908 წლებში მსახურობდა კავალერიის მე-9 დივიზიის უფროსად.

**1908 წლის 17 აპრილს მიენიჭა „გენერალ-ლეიტენანტის“ სამხედრო წოდება.**

1908-1913 წლებში სარდლობდა კიევის სამხედრო ოლქის XII საარმიო კორპუსს. 1913 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან წლოვანების გამო, მუნიცირით და პენსიონით.

დაკრძალულია ტფილისში, ვერის სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში.

საპრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. **ნმ.სტანისლავის II** (1878) და I ხარ.(1902), **ნმ.ვლადიმერის IV** და III ხარ. (1895).

**ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე  
კორგანოვი**

**გენერალ-მაიორი (14.07.1884)**



დაიბადა ტფილისში. დაამთავრა პავლოვსკის კადეტთა კორპუსი 1853 წელს და გენერალური შტაბის აკადემია 1858 წელს. მსახურობდა გენერალურ შტაბში.

1871 წლიდან პოლკოვნიკი იყო. მსახურობდა ამურისპირეთის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად.

მონაწილეობდა 1853-1856 ყირიმისა (აღმოსავლეთი) და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. **ნებ. ანას IV** (მამაცობისათვის-1855) II (1873) და I (1889) ხარ., **ნებ.სტანისლავის I** ხარ. (1886), **ნებ.ვლადიმერის III** (მაზვილებით-1879).



გაბრიელ ივანეს-ძე ჭორგაშვილი  
(12.01.1806-04.06.1879)

გენერალ-მაიორი (15.05.1862)

დაიბადა ტფილისში. გენერლებ სოლომონ და იოსებ კორგა-ნოვების (1811-1870) ძმაა. დამთავრა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი და პეტერბურგის საინჟინრო სასწავლებელი. საინ-ჟინრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართვე-ლოში და დაინიშნა 21-ე საარტილერიო ბრიგადაში.

მონაწილეობდა (1826-1828) წლების რუსეთ-სპარსეთის, (1828-1829) რუსეთ-თურქეთის და (1853-1856) წლების ყირიმის (აღმო-სავლეთის) ომებში. უკანასკნელი ომის დროს ხელმძღვანელობდა ყარსის ციხის განიარაღებას. მსახურობდა ქუთაისის გუბერნიის სახაზო ბატალიონების ინსპექტორად.

1851-1853 წლებში მეთაურობდა საარტილერიო სამთო ბრი-გადას. საერთო ჯამში ჯარში იმსახურა 40 წელი და გაიარა გზა ფოიერვერკერიდან კავკასიის არმიის არტილერიის უფროსამდე, 1862 წელს გავიდა თადარიგში მუნდირით და პენსიონით. საბრძო-ლო დაშსახურებისათვის დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის IV ხარ. ორდენით (1849 წლის 18 ნოემბერი).

დატოვა მკაფიო კვალი პირველ რიგში, როგორც საზოგადო მოღვაწემ და მეცნატმა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, მას დაებადა იდეა ტფი-ლისის მოსახლეობის დასალევი წყლით მომარაგებისათვის, წყალ-საქარი მოწყობილობის მშენებლობისა. საკუთარი სახსრებით მან ეკატერინბურგში შეიძინა ათობით ტონა დიდი დიამეტრის თუჯის მილები, ხოლო ცარიცინში -ძვირადლირებული წყალსაქარი მანქანა.

1843 წელს მან ააშენა ტფილისში, ამიერკავკასიაში პირველი, თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელზეც ასხავდნენ წყალგაყვანილობისათვის საჭირო მილებს. 15 კმ სიგრძის წყალგამყვანი მილებით სასმელი წყალი მიეწოდებოდა ალექსანდრეს ბაღს და სხვა მრავალ ბაღს და სკვერს, აგრეთვე სახაზინო და კერძო სახლებს. შეისყიდა რა, თავის საკუთრებაში მყოფი ტყიბულის ქვანახშირის საბადოები, მან 1850 წელს შემოიტანა ტფილისში ქვანახშირი და ჩააყენა ის სახალხო მეურნეობის სამსახურში. იმავე წელს მან პირველად მდინარე მტკვრის მეშვეობით გადმოტვირთა ტფილისში ბორჯომის ტყებიდან შეშა, რამაც გაათავისუფლა ტფილისის მშენებლები ხე-ტყის შესყიდვებისაგან, რუსეთის შორეულ ქალაქებში.

მისი სახსრებით იქნა აგებული კავკასიის სამხედრო სასანიტრო სამმართველოს შენობა (ახლ. ლერმონტოვის ქ.), კავკასიის I საარმიონ კორპუსის შტაბის შენობა (ახლ. გრიბოედოვის ქ.), ტფილისის ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებული სამუსიკო სკოლის შენობა (ახლ. ახვლედიანის ქ.), რიგი სკოლებისა და ბიბლიოთეკებისა. მის მიერ იქნა აშენებული საცხოვრებელი სახლების მთელი კვარტალი ქუჩაზე, რომელიც 1921 წლამდე ატარებდა მის სახელს (ახლ. ქიაჩელის ქ.). ცხარე ცრემლით დასტიროდა ტფილისის მოსახლეობა გენერალ კორგანოვის სიკვდილს. ქალაქში იყო გამოცხადებული ერთკვირიანი გლოვა. ქალაქის თავება ა. მატინოვმა მრავალათასიან სამგლოვიარო მიტინგზე სთქვა:

„გაბრიელ ივანეს-ძე იყო ტფილისის საპატიო მოქალაქე, მამაცი მხედარი და გენერალი, რომელმაც არა მხოლოდ მთელი თავისი უდიდესი ქონება, არამედ საუკეთესი დღეები და წლები თავისი ცხოვრებისა მიუძღვნა თავისი საუკარელი ქალაქის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს“.

**Наталия Августовна и Григорий Гаврилович Коргановы,  
съ душевными прискорбиями извѣщаю о кончинѣ: первая жена,  
второй отца, артиллеріи генераль-майора Гавриила Ивановича  
Корганова, просятъ родныхъ и знакомыхъ пожаловать на вы-  
носъ тѣла въ четвергъ, 7 июня, въ 9½ часовъ утра, изъ соб-  
ственного дома на Ольгинской улицѣ, въ Зириницкую цер-  
ковь, около „Кружка“.**

908 (2) 1.

ნეკროლოგი გაზეთ „კავკაზში“



გრიგოლ გაგრიელის-ძე კორგანოვის  
(03.12.1844-07.07.1914)

გევარალ-მაიორი (15.03.1906)

დაიბადა ტფილისში, გენერალ გაბრიელ კორგანოვის შვილია (1806-1879).

დაამთავრა ტფილისის სამხედრო გიმნაზია 1866 წელს და ჩააბარა საოფიცრო გამოცდა მიხეილის საარტილერიო სასწავლებელში 1868 წელს.

1872-1874 წლებში იმყოფებოდა თადარიგში.

1881-1892 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის საარტილერიო სამმართველოს არტილერიის რემონტიორად.

1891-1892 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ტფილისის საოლქო საარტილერიო სახელოსნოების უფროსის თანაშემწედ.

1892-1899 წლებში მსახურობდა ტფილისის საოლქო საარტილერიო სახელოსნოების უფროსად.

1895 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1899-1906 წლებში იყო მივლინებული მთავარ საარტილერიო სამმართველოში.

1906-1914 წლებში იმყოფებოდა მთავარი საარტილერიო სამართველოს განკარგულებაში.

1914-1918 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს მეთაურობდა პერეიასლავის დრაგუნთა პოლკს, შემდეგ ტვერის 43-ე დრაგუნთა პოლკს.

1890-1910 წლებში იყო ტფილისის გუბერნიის ციხეების მზრუნველთა კომიტეტის დირექტორთა საბჭოს წევრ-დირექტორი.

1902-1904 წლებში იყო ტფილისის საქალაქო სათათბიროს ხმოვანი.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. წმ.სტანისლა-ვის III ხარ. (1885), ხმ.ანას III ხარ.(1893).

დაჯილდოებული იყო სპარსეთის „ლომისა და მზის“ III ხარ. (1873)

7-го іюля, въ 2 часа ночи, послѣ тяжкой и продолжительной болѣзни, скончался генералъ-майоръ въ отставкѣ

## Григорій Гавріловичъ Коргановъ,

о чёмъ съ глубокимъ прискорбiemъ извѣщаются жена, дѣти и внукъ покойнаго. Панихида на квартире (Ольгинская, 7), во вторникъ и въ среду, въ 8 час. вечера. Выносъ тѣла въ четвергъ, 10-го іюля, въ 10 ч. утра, въ Зиркиянскую церковь (Грибоѣдовская ул.), а оттуда на Верійское армяно-григоріанско кладбище.

ნეკროლოგი გაზეთ. „კავკაზში“



იოსებ ივანეს-ძე კორგანოვი  
(1811-02.1870)

გენერალ-მაიორი (21.01.1860)

დაიბადა ტფილისში. გენერალ სოლომონ კორგანოვის ძმაა.

ჯარში მსახურობდა 1834 წლიდან. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო ნე.გიორგის IV ხარ. ორდენით (1842 წლის 25 იანვარი).

1852 წელს, მსახურობდა რა ნუხის მაზრის უროსად, მოკლა შა-მილის თანამესანგრე -ხაჯი-მურადი, რისთვისაც მას გამოეცხადა იმპერატორ ნიკოლოზ I პირადი მადლობა.

მონაწილეობდა 1853-1856 წლების ყირიმის (აღმოსავლეთის) ომში.

1852 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1852-1860 წლებში სარდლობდა ჯარებს აფხაზეთში.

1862 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით.

დაკრძალულია ტფილისში, ვერის სასაფლაოს საგვარეულო აკ-ლდამაში.

სოლომონ ივანეს-ძე კორგანოვი

გენერალ-მაიორი (21.01.1860)



გენერლებ ადამ (1846-1914) და იოსებ კორგანოვების (1811-1870) ძმაა.

დაიბადა ტფილისში. მონაწილეობდა 1853-1856 წლების ყირი-მის (აღმოსავლეთის) ომში.

1859 წლიდან მეთაურობდა ლევთა სასაზღვრო ხაზის მარცხე-ნა ფლანგს.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოვდა **ნე.სტანისლავის I** ხარ. (მახვილებით-1860) ორდენით.

დაკრძალულია ტფილისში, ვერის სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში.



გიორგი რაფიელის-ძე კუჩანვა

გენერალ-მაიორი (08.08.1798)

დაიბადა აზნაურ რაფიელ კუზანოვის ოჯახში, რომელმაც დატოვა საქართველო 1724 წელს, ქართლის მეფე ვახტანგ VI ამალას-თან ერთად.

დაიბადა რუსეთში. 1757 წლიდან მსახურობდა ჯარში, საინტენდანტო უწყებაში.

1790 წლიდან პოლკოვნიკი იყო. სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა 1799 წლის ნოემბრამდე.

**ალექსანდრე ივანეს-ძე ლაზარევი**  
(06.05.1858-29.01.1913)

**გენერალ-მაიორი (06.12.1910)**



გენერალ-ლეიტენანტ ივანე ლაზარევის (1820-1879) შვილია.

დაიბადა ტფილისში. დაამთავრა მოსკოვის I სამხედრო გიმნაზია 1876 წელს და ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელი 1878 წელს (1-ი თანრიგით). მამასთან ერთად მონაწილეობდა რუსეთის ჯარების შუა აზიის ლაშქრობაში (ახალ-თექეს ექსპედიციაში) 1879 წელს. მსახურობდა იმპერატორის სახელის ლაიბ-გვარდიის ულანთა პოლკში.

1881-1884 წ.წ. მსახურობდა ტფილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელში იუნკერთა აღმზრდელ-ოფიცრად.

1884-1886 წ.წ. მსახურობდა ტფილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელში მე-2 ასეულის აღმზრდელ-ოფიცრად.

1886 წელს მსახურობდა ოფიცრად ელიზავეტპოლის გუბერნიის მაზრის სამხედრო უფროსთან.

1886-1887 წ.წ. მსახურობდა ელიზავეტპოლის მაზრის სამხედრო უფროსად.

1887-1893 წ.წ. ირიცხებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში, საარმიო კავალერიაში.

1893-1906 წ.წ. ირიცხებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებთან.

1904 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1906-1910 წ.წ. მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვალთან სამხედრო-სახალხო მმართველობაში, დავალებათა გენერლად.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. **ნმ.ანას III ხარ., ნმ.სტანისლავის II ხარ.(1909), ნმ.ვლადიმერის III ხარ.(1912).**

XIX ს.-ს 80-იანი წლების შუა წლებიდან იყო ცნობილი, როგორც ცხენმრეწველი და სპორტსმენი. 25 წლის განმავლობაში იყო მოსკოვის საიმპერატორო საცხენოსნო საზოგადოების უხუცესი და ნამდვილი წევრი, ეკავა ამ საზოგადოებაში არჩევითი თანამდებობები. სიკვდილამდე ცოტა ადრე კენჭს იყრიდა ტფილისის საცხენოსნო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე. გარდაიცვალა ტფილისში პლევრიტისგან.

დაკრძალული იყო ტფილისში, სამხედრო პატივით, ვანქის ტაძრის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში, (ახლ. ათონელის ქ. ტაძარი და სასაფლაო გაანადგურეს საბჭოთა პერიოდში, 1934 წელს. ამჟამად ამ ადგილზე მდებარეობს ქ.თბილისის № 104 საჯარო სომხური სკოლა\* და გაზეთ „ვრასტანის“ რედაქცია, სკოლა და კულტურის სამინისტრო. ავტ. შენიშვნა).

---

\* დღესდღეობით საქართველოში არსებობს 119 სომხური სკოლა.

ივანე ეგორის-ძე (გიორგის-ძე)  
ლორის-მალიკოვი  
(1834-27.02.1878)

გენერალ-მაიორი (24.03.1873)



კავალერიის გენერლის გრაფ მიხეილ ლორის-მელიქოვის (1824-1888) ძმისშვილი. 1852 წელს დაამთავრა გვარდიელ პოდპრა-პორშჩიკთა და კავალერიის იუნკერთა სკოლა სანქტ-პეტერბურგში.

1852 წლიდან მსახურობდა ოფიცირად გროდნის ლაიბ-გვარ-დიის ჰუსართა პოლკში, საარმიო კავალერიაში, ყუბანის კაზაკთა ჯარში და ტვერის დრაგუნთა მე-15 პოლკში.

1867-1876 წ.წ. მსახურობდა დანიის მეფის ქრისტიან IX სახე-ლის სევერსკის დრაგუნთა მე-17 პოლკის მეთაურად.

1862 წლის 17 ოქტომბერს, 28 წლისას მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1876 წლის მაისამდე მსახურობდა კავკასიის კავალერიის დივი-ზიის I ბრიგადის მეთაურად.

1877 წლიდან მეთაურობდა კავალერიის კაზაკთა მე-2 შემკრებ დივი-ზიას. მონანილეობდა 1853-1856 წლების ყირიმის (აღმოსავლეთის) ომში.

გარდაიცვალა ტიფისგან ხიფს-ყალაში. დაკრძალული იყო აღექსანდროპოლის (ახლ.ქ.გიუმრი, სომხეთის რესპუბლიკა. ავტ. შენიშვნა), სამხედრო სასაფლაოზე.

საპრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინე-ბისათვის დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით (მამაცონისათ-ვის-1865), და რუსეთის ორდენებით წმ.ანას II ხარ.(1868), წმ.სტა-ნისლავის I ხარ.(1859). ორდენით.

მიღებული ჰქონდა უცხოეთის ჯილდოები - სპარსეთის „ლო-მისა და მზის“ II ხარ. (ვარსკვლავით-1862) და დანიის „დანებროგის“ ორდ. (1867).



მიხეილ ტარიბოლის-ძე ლორის-გელიძოვი, გრაფი  
(21.10.1824-12.12.1888)

გენერალ-ადიუტანტი (13.08.1865)  
კავალერიის გენერალი (17.04.1875)

მიხეილ ლორის-მელიქოვი. დაიბადა ტფილისში,\* ტარიელ ზურაბის-ძე ლორის-მელიქოვისა და ეკატერინე ახვერდოვას ოჯახში.

1836 წელს მიხეილ ლორის-მელიქოვმა ჩააბარა გამოცდები მოსკოვში, ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, მაგრამ 1841 წლიდან განაგრძო სწავლა გვარდიულ პოდპრაპორშიკთა და კავალერიის იუნკერთა სკოლაში სანქტ-პეტერბურგში. სწავლისას დაუახლოვდა პოეტ ნიკოლოზ ნეკრასოვს (1821-1877), მაშინ ჯერ ნაკლებად ცნობილს და რამოდენიმე თვე ცხოვრობდა მის ბინაში.

1843 წლის 2 აგვისტოს გამოშვებულ იქნა გროდნოს ლაიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკში, სადაც იმსახურა 1847 წლამდე. 1847 წელს პირადი პატაკის საფუძველზე გადმოყვანილ იქნა კავკასიაში და დაინიშნა კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალ, გრაფ მიხეილ ვორონცოვთან, საგანგებო დავალებათა ოფიცრად. იმავე წელს მიიღო მონაწილეობა ჩეჩენეთის ლაშქრობაში კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ.

1848 წელს ღებულობდა მონაწილეობას თავად მოსე არღუტინ-სკი-დოლგორუკოვის რაზმის შემადგენლობაში, რომელიც მოქმედებდა დალესტანში. იმყოფებოდა აულ გერგებილის აღებისას.

1851 წელს მონაწილეობდა ზამთრის დიდ ექსპედიციაში კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგზე (დიდ ჩეჩენეთში), ცნობილ ხაჯი-მურადის წინააღმდეგ, ხოლო იმავე წლის გაზაფხულიდან იმყოფებოდა ამავე ხაზის მარჯვენა ფლანგზე, მდინარე ბელაიაზე სიმაგრეების აღმართვისას და, მაგომედ ემინის ძალების უკუგდებისას. მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი ნაჩვენებია რუს მწერალ ლევ ტოლსტოის მიერ მოთხოვნაში - „ჰაჯი-მურადი„.

მაგრამ მალევე დაწყებულმა 1853-1856 წლების ყირიმის (აღმოსავლეთის) ომმა ოსმალეთთან გამოიწვია მთიელთა მხრიდან რუსეთისადმი მძლავრი სიძულვილი და, ისინი თავს ესხმოდნენ მთელ კავკასიის ხაზს. ამ შემოსევების წინააღმდეგ კურისკის გამაგრებას-თან იყო შეკრებილი განსაკუთრებული რაზმი თავად ბარიატინსკის მეთაურობით, რომელშიც იმყოფებოდა ლორის-მელიქოვიც. რაზმი

\*ტფილისი, 1936 წლამდე. (აქ და შემდეგ) 1936 წლიდან - თბილისი.

დაიძრა მდინარე მეჩიკისკენ და აულ ისტისუსკენ. ლორის-მელიქოვი არაერთხელ დაწინაურდა მთიელებთან შეტაკებაში, რომლებიც ძლიერ ავინროებდნენ რუსულ რაზმს.

1852 წელს, 28 ნლის ასაკში მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ამის შემდეგ ის გადავიდა იმ ჯარების შემადგენლობაში, რომლებიც მოქმედებდნენ თურქების წინააღმდეგ ოსმალეთთან, კავკასიის საზღვარზე და დაწინაურდა ორ ცნობილ ბრძოლაში - ბაიანდურთან და ბაშ-ყადიყლართან, რომლებშიც ოსმალეთის ჯარებს აბდი-ფაშას მეთაურობით, აგემეს სრული განადგურება.

1854 წელს მას დაევალა მონადირეთა, ცალკეული რაზმის ფორმირება, რომელიც შედგებოდა ქართველებისგან, სომხების-გან, ქურთებისგან და კავკასიის სხვა ხალხებისგან (აქ, როგორც ყოველთვის, ლორის-მელიქოვს ეხმარებოდა რამოდენიმე აღმოსავლური ენის ცოდნა). შემდეგ, ლორის-მელიქოვი უტევდა ოსმალეთის კავალერიას და 1855 წლის 13 აპრილს მიაყენა მას დიდი ზარალი. შემდეგ მონანილეობდა ბრძოლაში ქურუქ-დარასთან.

1855 წლის აგვისტოში მ. ლორის-მელიქოვი დაინიშნა ახალ მთავარსარდალ, გრაფ ნ. მურავიოვთან დავალებათა ოფიცრად. განაგრძობდა რა მონადირეთა, მეთაურობას, ლორის-მელიქოვი ამონმებდა გზებს, რომლებიც უკავშირდებოდა ყარსის ციხეს და უთვალთვალებდა მონინააღმდეგეს ამ უძლიერესი ციხის გარემოცვისას. ყარსის ციხის აღებისას, 1855 წლის ნოემბერში იგი დაინიშნა ყარსის ოლქის უფროსად და 9-თვიანი მმართველობის პერიოდში მოიხვეჭა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობა თავისი კეთილგონივრული მმართველობით. პარიზის ზავის შემდეგ ყარსის სიმაგრე დაუბრუნეს თურქებს.

1856 წელს 32 წლის ასაკში მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

1858 წელს დაინიშნა ჯარების უფროსად აფხაზეთში და ქუთაისის საგენერალგუბერნატოროს სახაზო ბატალიონების ინსპექტორად. ამავე პერიოდში მისი განკარგულებით ჩაეყარა საფუძველი წებელდას სიმაგრეს, მთიელთა შემოსევებისგან დასაცავად და

მთიელთა კონტრაბანდული ვაჭრობის აღმოფხვრისაგან, რომელთა მეშვეობით მთიელები ძირითადად იძნდნენ ცეცხლსასროლიარაღს, დენთს და სხვა საჭირო სამხედრო მარაგებს.

1859 წელს მიავლინეს ოსმალეთში, თერგის ოლქიდან ოსმალეთის აზიურ ნანილში მთიელთა გადასახლების საკითხების მოსაგვარებლად და ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკებების საწარმოებლად.

1860 წლის 18 აგვისტოდან ასრულებდა დერიბენდის გუბერნიის მმართველის და სამხედრო გუბერნატორის თანამდებობებს. დიდი რუდუნებით დაკავდა მთიელებში ახალი წესების დანერგვით.

1863 წლის მარტში დაინიშნა თერგის ოლქის უფროსად, თერგის კაზაკთა ჯარის ატამანად და თერგის ოლქში განლაგებული ჯარების სარდლად.

**1863 წლის 5 მაისს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება.**

1863 წლის 19 აგვისტოს დაინიშნა დერიბენდის მთვარმართებლად და ჩრდილოეთ დაღესტნის სამხედრო უფროსად.

1875 წლამდე ასრულებდა რა თერგის ოლქის უფროსის თანამდებობას, იღვწოდა ოლქის მთიელ მოსახლეობაში დაემყარებინა სათანადო წესრიგი. კავკასიის ომი მართალია დამთავრადა 1864 წელს, მაგრამ მთიელები დრო და დრო განაგრძობდნენ ხელისუფლებისადმი ღია წინააღმდეგობას.

1870 წელს დაინიშნა თერგის ოლქის გუბერნატორად.

1873 წლიდან იყო კავკასიის საპყრობილეთა მზრუნველთა კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე.

1875 წელს დაძაბულმა მუშაობამ შეარყია ლორის-მელიქოვის ჯანმრთელობა და მან ითხოვა შვებულება, რათა წასულიყო საზღვარგარეთ სამკურნალოდ. მეფის ნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ წიკოლოზის-ძემ დააკმაყოფილა მისი თხოვნა 1875 წლის 15 მაისს, კავკასიის სამხედრო ოლქისადმი გაცემული განსაკუთრებული ბრძანებით:

„დიდი წუხილით მოვისმინე ლორის-მელიქოვის თხოვნა და განსაკუთრებული საჭიროებისათვის ვაკმაყოფილებ მას“.

ამასთან ერთად ლორის-მელიქოვი იმავე წელს ჩაირიცხა თერგის კაზაკთა ჯარში და დაინიშნა მეფისნაცვალთან, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის-ძესთან.

თურქეთთან ომის მზადებამ განსაზღვრა მცირე აზიაში თურქების წინააღმდეგ მოქმედებისათვის ჯარების ცალკეული კორპუსის ფორმირება. ამ კორპუსის სარდლობა დაეკისრა მ. ლორის-მელიქოვს.

1877 წლის 12 აპრილს ის შევიდა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში 4 კოლონით და 5-6 მაისს შტურმით დაეუფლა არდაგანს. ამის შემდეგ ის მალევე მიადგა ყარსს, რომელიც უკეთ და ძლიერ იყო გამაგრებული, ვიდრე 1853-1856 წლების ომში და გააგზავნა გენერალი ატერ-გუკასოვი რაზმით არზრუმში.

ამ დროს ოსმალეთის ჯარები მუხთარ-ფაშას სარდლობით მიადგნენ სოლანლულის უღელტეხილს, სოფელ ზივინთან (გზად ყარსიდან არზრუმამდე). ბრძოლა რუსებისთვის კარგად დაიწყო, მაგრამ თურქებმა მალევე მიიღეს ძალების დიდი შევსება და, რუსებმა, რომლებსაც გზად შეხვდათ დიდი ხევი, მიიღეს საგრძნობი ზარალი და იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ ზივინიდან. მუხთარ-ფაშამ კი დააყენა თავისი ძალების ნაწილი ალაჯის მაღლობებზე და ყარადაღის მთებზე.

1877 წლის 28 ივნისს დამით, მ. ლორის-მელიქოვმა მიიღო დამხმარე ძალები, შემოუარა ყარსის ციხეს და 20-22 სექტემბერს შეუტია მონინააღმდეგეს ერთდროულად ფრონტიდან და ზურგიდან ალაჯას მაღლობებზე და მიაყენა მას სრული განადგურება. ჩაიგდო ტყვედ 7 ათასამდე მეტი თურქი ჯარისკაცი და ოფიცერი. შემდგომში მუხთარ-ფაშას და იზმაილ-ფაშას გაერთიანებული ძალები ისევ იქნა განადგურებული ლორის-მელიქოვის მიერ 2 და 3 ოქტომბერს ავლიარ-ალაჯას ბრძოლაში და 23 ოქტომბერს დევე-ბოინუს ბრძოლაში.

ზემოთ ხსენებული ბრძოლების შემდეგ მ. ლორის-მელიქოვი დაუბრუნდა ყარსის ციხესიმაგრეს, რომელიც ითვლებოდა აუღებელად. მიუახლოვდა რა ყარსის ციხეს, მან ელვის სისწრაფით 6 ნოემბრის ღამეს შეუტია და დაეუფლა ყარსს, ამასთან ერთად ტყვედ ჩაიგდო 17 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი და 303 ზარბაზანი. ამით მან ფაქტიურად დაამთავრა სამხედრო მოქმედებები კავკასიის სამხედრო მოქმედებათა თეატრზე.

დაეუფლა რა ყარსის ციხეს, იმავე წლის ზამთარში მ. ლორის-მელიქოვმა დაიწყო ერზრუმის ციხესიმაგრის ბლოკადა. ადგილობრივი მოსახლეობის და იარაღის მომწოდებლების მისდამი კეთილგანწყობის მადლით, ანარმოებდა საომარ მოქმედებებს მონინააღმდეგის ტერიტორიაზე საკრედიტო თანხებით და მათთან ფულის თვლას რუსულ რუბლებში, რითაც სახელმწიფო ხაზინას შეუქმნა დანაზოგი რამოდენიმე ათეული მილიონის სახით.

ყარსის ციხის ერთ-ერთ ფორტს - „ჩახმახეს“, ეწოდა მის საპატივ-საცემად - „ლორის-მელიქოვის ფორტი“.

ოსმალეთთან ზავის შემდეგ ლორის-მელიქოვს მთელი თავისი შთამომავლობითურთ ებოდა რუსეთის იმპერიის გრაფის ტიტული სათანდო სიგელით:

„განსაკუთრებული დამსახურებისათვის და პრეცინვალე მოქმედებისათვის მთელი ომის მანძილზე“ (1878 წლის 16 აპრილს), ამავდროულად ის დაინიშნა კავკასიის არმიის მთავარსარდლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის განკარგულებაში.

1879 წელს ლორის-მელიქოვი დაინიშნა ასტრახანის, სარატოვის და სამარის გენერალ-გუბერნატორად განუსაზღვრელი უფლებამოსილებებით. აქტიურად ატარებდა ზემო ხსენებულ გუბერნიებში შავი ჭირის გავრცელების აღმოფხვრისათვის წარმოებულ ღონისძიებებს.

მისი დაბრუნება სანქტ-პეტერბურგში დაემთხვა დროებითი განსაკუთრებული საგენერალ გუბერნატოროების შექმნას (ევროპული რუსეთი იქნა დაყოფილი 6 საგენერალ გუბერნატოროდ), ლამის განუსაზღვრელი უფლებამოსილებებით, რათა აღმოფხვრათ სახელმწიფო კრამოლა (ტერორიზმი), რომელიც იჩენდა თავს იმპერიაში, რიგ სისხლის სამართლის მოქმედებებით.

1879 წლის 7 აპრილს დაინიშნა ხარკოვის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორად, სადაც მანამდე იქნა მოკლული მისი წინამორბედი გუბერნატორი, თავადი კროპოტკინი. იმავე წლის 17 აპრილს დაინიშნა ხარკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. ასრულებდა რა ხარკოვის. გენერალ-გუბერნატორის თანამდებობას, ლორის-მელიქოვმა დაიმსახურა ხარკოველების პატივისცემა და სიყვარული ისე,

რომ არც კი მოუწია რეპრესიული მოქმედებების გატარება გუბერნიაში. მოსახლეობის მისდამი ასეთი მოპყრობის გათვალისწინებით, ხალხოსნებმა არ შეიტანეს მისი გვარი იმ გენერალ-გუბერნატორების სიაში, რომლებსაც გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი.

1880 წლის 5 თებერვალს, ზამთრის სასახლეში განხორციელებული აფეთქების შემდეგ, ლორის-მელიქოვი იქნა გამოძახებული სანქტ-პეტერბურგში რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლის წარმოების ღონისძიებების საკითხებზე.

1880 წლის 11 თებერვალს დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

1880 წლის 14 თებერვალს დაინიშნა მთავარი განმკარგველი კომისიის მთავარ უფროსად, რომელსაც მიეცა უდიდესი უფლებამოსილებები, ხოლო იმავე წლის 3 მარტს დაინიშნა იმპერატორ ალექსანდრე II კანცელარიის III განყოფილების დროებით უფროსად.

1880 წლის 20 თებერვალს მასზე განახორციელა თავდასხმა ვინმე მოლოდეცკიმ, მაგრამ მიუხედავად ამისა ლორის-მელიქოვი განაგრძობდა სასტიკ ბრძოლას რევოლუციურ მოძრაობასთან.

1880 წლის ზაფხულის ბოლოს მან ალძრა საკითხი უმაღლესი განმკარგველი კომისიის მიერ თავისი მოღვაწეობის შეწყვეტის შესახებ და იმავე წლის 6 აგვისტოს კომისიამ შეწყვიტა თავისი საქმიანობა.

1880 წლის 6 აგვისტოს ლორის-მელიქოვი დაინიშნა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრად.

1880 წლის 5 დეკემბერს არჩეულ იქნა სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

1881 წლის იანვარში წარუდგინა იმპერატორ ალექსანდრე II სახელმწიფო მოწყობაში შესატანი ცვლილებების პროგრამა, (ე.ნ. „ლორის-მელიქოვის კონსტიტუცია“), რომელიც იქნა დადებითად შეფასებული იმპერატორის მიერ და ჰპოვა მოწონება ლიბერალურ წრეებში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი 6-თვიანი ხელმძღვანელობისას ჩაატარა რუსეთში 32 პოლიტიკური სასამართლო პროცესი და გამოიტანა 18 სასიკვდილო განაჩენი. მისი მინისტრობის დროს, 1881 წლის 1 მარტს სანქტ-პეტერბურგში თავს დაესხნენ იმპერატორ ალექსანდრე II, რის შედეგადაც ის სასიკვდილო ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით, ლორის-მელიქოვმა

ითხოვა გადადგომა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან. მიზეზად იქნა დასახელებული მორყეული ჯანმრთელობა. მისი თხოვნა მიღებული იქნა 4 მაისს. ის დათხოვნილი იქნა წელიწადში 26 ათასი რუბლის პენსიის ოდენობით. ლორის-მელიქოვი გაემგზავრა საზღვარგარეთ და ძირითადად ცხოვრობდა ქ.ნიცაში (საფრანგეთი).

1882 წლის 1 ნოემბერს დაინიშნა თერგის კაზაკთა ჯარის სუნუა-ვლადიკავკაზის 1-ი პოლკის შეფად.

1882 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის ტრანზიტის შესახებ საკითხთა გადაწყვეტის განსაკუთრებული სათათბიროს წევრად.

1883 წლის 29 მაისს გაშვებულ იქნა უვადო შვებულებაში, სახელმწიფო საბჭოს წევრად დარჩენის უფლებით.

ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. ავტორია რამოდენიმე ისტორიული ნაშრომისა.

მ. ლორის-მელიქოვი იყო ბრწყინვალე მხედართმთავარი და ტაქტიკური ადგილობრივი ადმინისტრატორი. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო განათლების განვითარებას. სასწავლო დაწესებულებებმა მის დროს მიაღწია რამოდენიმე ათეულიდან 300-მდე.

მის ნეკროლოგში ნათქვამი იყო:

„არც დღევანდელი და არც მომავალი თაობები არ დაივიწყებენ იმ დამსახურებას, რომელიც მან დაიმსახურა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ასპარეზზე“,

გარდაიცვალა ქ.ნიცაში. მისი ცხედარი ჩამოასვენეს ტფილის-ში 1889 წლის 15 იანვარს, სადაც დაკრძალეს 8 თებერვალს, ვანქის სომხური ტაძრის საგვარეულო აკლდამაში (ახლ. ათონელის ქ. 1936 წელს ტაძრის დემონტაჟთან დაკავშირებით, მისი ცხედარი და საფლავის ქვა გადასვენეს სურბ გევორქის სომხური ეკლესიის ეზოში. მისი საფლავი დაცულია სახელმწიფოს მიერ. ავტ. შენიშვნა).

მ. ლორის-მელიქოვის საპატივსაცემოდ ტფილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი (დღევანდელი გუდიაშვილის ქუჩა), რუსეთის რამოდენიმე დასახლებულ ადგილს და ერთ-ერთ სოფელს ომსკის გუბერნიაში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინების-თვის დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით ( მამაცობისათვის -1847

და 1854 წ.); ნმ.გიორგის III (1877 წლის 14 მაისს) და II ხარ.(1877 წლის 3 ოქტომბერს) ორდენებით; და რუსეთის ორდენებით:

ნმ.ანდრია პირველწოდებულის ორდ.(1880);

ნმ.ალექსანდრე ნეველის ორდ.(1869); ალმას.ნიშნები (1871);

თეთრი არწივის ორდ.(1865);

ნმ.ანას IV (მამაცობითვის-1838), III (მახვილებით და ბაფ-თით-1839), II (მახვილებით-1841 ), II (იმპ.გვირგვ.-1852) და I ხარ. (1860);

ნმ.ვლადიმერის IV (ბაფთით-1854), III (მახვილებით და ბაფ-თით-1855), II (მახვილებით-1861) და I ხარ. (მახვილებით-1877);

ნმ. სტანისლავის I ხარ.(1859);

მიღებული ჰქონდა საზღვარგარეთის ორდენები:

„სამხედრო დამსახურებისათვის“ II ხარ. (მეკლენბურგ-შვერი-ნი-1878) და „დამსახურებისათვის“ (პრუსია-1878).

ცნობილია მხატვარი ი.აივაზოვსკის (1817-1900) მიერ 1888 წელს დახატული მისი პორტრეტი.



მ.ლორის-მელიქოვის საფლავი 1936 წლამდე



მ.ლორის-მელიქოვის საფლავის ქვა დღეს.



გრაფ მ.ლორის-მელიქოვის გერბი



კავლე დავითის-ძე მაცხაროვი  
(25.01.1858- 1916 ნ.შ.)

გენერალ-მაიორი (05. 07.1910)

დაიბადა ტფილისის გუბერნიაში. მისი მეუღლე - თამარი, იყო გენერალ-მაიორ თომა ჯომარჯვიძის (1838-1907) ქალიშვილი.

საერთო განათლება მიიღო ვლადიკავკაზის რეალურ სასწავლებელში.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1874 წელს. დაამთავრა ელისა-ვეტგრადის კაველერიის იუნკერთა სასწავლებელი. მსახურობდა სევერსკის დრაგუნთა მე-17 პოლკში.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1909 წლის 30 მაისს მიერჩა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1910 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და ტფილისის გუბერნიის ქვეით დრუჟინაში ჩარიცხვით.

1916 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, დააპრუნეს ჯარში.

საპრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. „ნმ.სტანი-სლავის“ III ხარ. (1886), „ნმ.ანას“ III ხარ.(1894) და „ნმ.ვლადიმერის“ IV ხარ.(1908).

**ალექსანდრე იაკობის-ძე გარდაცვი  
(25.10.1852 – 1919 ნ.შ.)**

**გენერალ-მაიორი (22.02. 1904)**



დაიბადა ქ.ტფილისში.

დაამთავრა კავკასიის სამხედრო გამმიჯვნელთა და სამხედრო ტოპოგრაფთა სკოლა 1874 წელს და გენერალური შტაბის აკადემია 1882 წელს.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1878-1882 წლებში მსახურობდა ასმეთაურად 161-ე ალექსანდ-როპოლის ქვეით პოლკში.

1882-1884 წლებში მსახურობდა მე-20 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად.

1884-1888 წლებში მსახურობდა კავკასიის II საარმიო კორპუსის შტაბში, დავალებათა ოფიცრად.

1888-1889 წლებში მსახურობდა 22-ე ადგილობრივი ბრიგადის უფროსის მმართველობაში, დავალებათა ოფიცრად.

1889-1890 წლებში მსახურობდა ქერჩის სიმაგრის შტაბის სამ-შენებლო განყოფილების უფროსად.

1892 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1890-1894 წლებში მსახურობდა კავკასიის სარეზერვო ბრიგა-დის მმართველობის შტაბ-ოფიცრად.

1894-1896 წ.წ. მსახურობდა მიხეილის სიმაგრის (ქ.ბათომი) შტაბის უფროსად.

1896-1898 წლებში მსახურობდა მე-2 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად.

1898-1900 წლებში მსახურობდა 36-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად.

1900-1904 წლებში მსახურობდა მოჟაისკის 141-ე ქვეითი პოლკის მეთაურად.

1904-1905 წლებში მსახურობდა აღმოსავლეთ-ციმბირის მე-3 მსროლელი დივიზიის 1-ი ბრიგადის მეთაურად.

1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს დაწინაურდა ბრძოლაში სოფელ ლიანდანსანთან (მანჯურიაში).

1905-1907 წლებში მსახურობდა ამურისპირა სამხედრო ოლქის გენერალ-კავარტირმაისტერად.

1906-1907 წლებში მსახურობდა გრენადერთა მე-3 დივიზიის I ბრიგადის მეთაურად.

1907 წლიდან მსახურობდა ციმბირის მე-3 სარეზერვო ქვეითი ბრიგადის მეთაურად.

იმავე წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით (მამაცობისათვის-1906), რუსეთის ორდენებით. **ნდ.ანას III** (1888) და II ხარ.(1901), **ნდ.სტანის-ლავის III** (1884), II (1895) და I (მახვილებით-1905), **ნდ.ვლადიმერის IV** (1900) და III ხარ. (მახვილებით).

დაკრძალულია ქ.ოდესაში, ახალი სასაფლაოს სამხედრო განყოფილებაზე.

ვლაძიმერ ლაზარეს-ძე მარდანოვი  
(26.11.1847- 1916 6. გემდ.)

გენერალ-მაიორი (06.12.1916)



დაიბადა ქ.-ტფილისში.

1869 წლიდან მსახურობდა ჯარში.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1879-1881 წლებში მსახურობდა ტფილისის სამხედრო გიმნაზიაში.

1883-1894 წლებში მსახურობდა ტფილისის კადეტთა კორპუსში.

1896 წლის 24 მარტს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დაინიშნა ტფილისის კადეტთა კორპუსის კლასების ინსპექტორად.

1916 წელს მსახურობდა კიევის კადეტთა კორპუსის დირექტორად.

დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. „ნშ.ანას“ III (1888) და II (1897), „ნშ.სტანისლავის“ III (1883), II (1893) ხარ.



გეორგი ივანეს-ძე მანსვეტოვი  
(26.08.1864- 1917 წ. შემდ.)

გეორგი-მაიორი (19.04.1913)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის აზნაურის ოჯახში. განათლება მიიღო ტფილისის I გიმნაზიაში, ტფილისის კადეტთა კორპუსში 1885 წელს, ტფილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელში 1888 წელს და ალექსანდრეს სამხედრო-იურიდიულ აკადემიაში 1898 წელს.

1888 წლიდან მსახურობდა კავკასიის მე-4 მსროლელ პოლკში.

1898-1902 წლებში მსახურობდა კანდიდატად სამხედრო მოსამართლის თანამდებობაზე.

1902-1904 წლებში მსახურობდა თურქესტანის სამხედრო ოლქის სამხედრო გამომძიებლად.

1904-1907 წ.წ. მსახურობდა თურქესტანის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის თანაშემწედ.

1907-1913 წლებში მსახურობდა თურქესტანის სამხედრო ოლქის სამხედრო გამომძიებლად.

1907 წლის 22 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1913-1917 წლებში მსახურობდა თურქესტანის სამხედრო-საოლქო სასამართლოს სამხედრო მოსამართლედ.

სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. **წმ.ანას II** ხარ.(1912) და **წმ.სტანისლავის II** ხარ.(1910) ორდენებით.

აპასალომ-აპალ ივანეს-ძე მღვაროვანი  
(20.12.1845-1916 ნ.შ.)

გენერალ-ლეიტენანტი (06.04.1914)



დაიბადა ქ.ტფილისში.

1866 წლიდან მსახურობდა ჯარში. 1868 წელს დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელი და სანქტ-პეტერბურგის ტექნიკური ინსტიტუტი.

1868 წლიდან მსახურობდა კავკასიის მესანგრეთა I ბატალიონში. მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში (იცავდა შავიზღვისპირეთს).

1887-1890 წლებში მსახურობდა იმიერკასპიის ტვირთების და ჯარების გადაზიდვების საქმისწარმოების განყოფილების უფროსის უფროს თანაშემწედ.

1890-1892 წლებში მსახურობდა მთავარ შტაბში, ახლად შექმნილ იმიერკასპიის რკინიგზის ექსპლოატაციის საქმის მნარმოებლად.

1895 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1903 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

1903-1914 წლებში მსახურობდა გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს სამხედრო მიმოსვლის განყოფილებაში-ქვეგანყოფილების უფროსად.

1914-1916 წლებში მსახურობდა მთავარ სამხედრო-ტექნიკურ სამმართველოში დავალებათა გენერლად.

1916 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან წლოვანებით. გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ.პეტროგრადში. საპრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული რუსეთის ორდენებით იყო:

„ნმ.ანას“ III (1883), II (1898) და I ხარ. (1914).

„ნმ.სტანისლავის“ III (1880), II (1894) და I ხარ. (მახვილე-ბით-1906).

„ნმ.ვლადიმერის“ IV (1896), III ხარ.(1900) და II ხარ. (1915) ორდენით.

„თეთრი არწივის“ ორდენით (1916).

ცნობილი გამომგონებელი და ფავშანტექნიკისა და იარაღის კონსტრუქტორი, ვლადიმერ მლებროვი (1886-1915)-მისი შვილია.

**ავტის გერასიმეს-ძე მალიქოვი  
(19.03.1838-1897 ნ.შ.)**

**გენერალ-მაიორი (30.07.1897)**



დაიბადა ტფილისის გუბერნიაში.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1857 წელს.

მონაწილეობდა რიგ სამხედრო კამპანიაში, 13 წლის მანძილზე მეთაურობდა ასეულს ერევნის ლაიბ-გრენადერთა პოლკში.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

განსაკუთრებული დამსახურებისთვის ომის დროს დაჯილ-დოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით (01.01.1878).

1887 წლის 26 მარტს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დაინიშნა იმიერკასპიის მსროლელი ბატალიონის მეთაურად.

1889 წელს დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის ადგილო-ბრივი ჯარების კავკასიის მე-4 სარეზერვო ქვეითი ბატალიონის მეთაურად.

1890 წელს დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის ადგილობრივი ჯარების გროზნოს სარეზერვო ქვეითი ბატალიონის მეთაურად.

1897 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან წლოვანებით და სრული პენსიონით.

საპროლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინების-თვის დაჯილდოებული იყო

ოქროს ხმლით („მამაცობისათვის,, -26.08.1880) და რუსეთის ორდენებით:

„წმ.ანას“ III (1871) და II ხარ.(მახვილებით -1878).

„წმ.სტანისლავის“ III (1865) და II ხარ.(მახვილებით-1877).

„წმ.ვლადიმერის“ IV (ბაფთით, XXV-წლიანი სამხედრო სამსახურისათვის-1882).



ისაკ იოსების-ძე მელიქ-ჰაიკაზოვი  
(18.12.1838 - 02.02.1899)

გენერალ-მაიორი (23.08.1895)

დაიბადა ტფილისში. დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი. ჯარში მსახურობდა 1857 წლიდან 1862 წლიდან ოფიცერი იყო.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1878-1895 წლებში მსახურობდა 38-ე საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეის მეთაურად.

1895-1898 წლებში მსახურობდა 38-ე საარტილერიო ბრიგადის მე-2 დივიზიონის მეთაურად.

1898-1899 წლებში მსახურობდა აღმოსავლეთ-ციმბირის მე-2 საარტილერიო ბრიგადის მეთაურად.

1882 წლის 30 აგვისტოს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. მშ.ანას III (1869) და II ხარ. (1874), მშ.სტანისლავის III (1866) და II ხარ. (1871) მშ.ვლადიმერის IV (მანვილებითა და ბაფთით-1877) და III ხარ. (1886) ორდენებით. მიღებული ჰქონდა სპარსეთის „ლომისა და მზის“. III ხარ. (1865). დაკრძალულია ტფილისში, ვერის სასაფლაოზე, სამხედრო პატივით.

გაზეთი „კავკაზი“ წერდა:

„Гроб с останками генерал-майора Мелик-Гайказова везли на лафете, шествие замыкали войска в составе 4-го стрелкового батальона со знаменем и хором музыки и полубатарея артиллерии. При опускании гроба в могилу, войска отдали установленные воинские почести троекратным залпом из ружей и орудий.,

Бригадный командиръ, генералъ-майоръ  
**Исаакъ Іосифовичъ Меликъ - Гайказовъ**

скончался сего 2-го февраля, о чмъ вдова Варвара Іосифовна  
съ дѣтьми и родственниками съ глубокимъ прискорбиемъ изъѣ-  
щають родныхъ, знакомыхъ и сослуживцевъ покойнаго. Пани-  
хида будетъ совершена въ пятницу, 5-го февраля, въ 7 часовъ  
вечера, въ домѣ Аиановыхъ, на Головинскомъ проспектѣ, а  
выносъ тѣла состоится въ субботу, 6-го февраля, въ 10  
час. утра, въ Банкскій соборѣ.

96 1.

ნეკрოლოგი გაზეთ. „კავკაზში“



სიმონ რომანის-ძე მელიქ-  
ახაცაკანოვი  
(გარდ. 23.02.1893)

გენერალ-მაიორი

დაიბადა ტფილისში.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1878-1879 წლებში მსახურობდა 41-ე ქვეითი დივიზიის, ახალციხის 162-ე ქვეითი პოლკის მეთაურად.

1879-1882 წლებში მსახურობდა მეფისწყაროს სამხედრო ჰოსპიტლის უფროსად. (ახლ. ქ.დედოფლისწყარო. ავტ. შენიშვნა).

1882-1893 წლებში მსახურობდა მოგილიოვის დივიზიის მეთაურად. გარდაიცვალა და იყო დაკრძალული ტფილისში, ხოჯევანქის სასაფლაოზე (განადგურდა საბჭოთა ხელისუფლების დროს 1934 წ. ავტ. შენიშვნა.)

**თომვაას ივანეს-ძი ნაზარეგოვაი  
(04.04.1855-19.02.1931)**

**გენერალ-მაიორი (06.12.1906)**



დაიბადა ტფილისში, აზნაურის ოჯახში. განათლება მიიღო ვორონეჟის სამხედრო გიმნაზიაში, მოსკოვის მე-2 სამხედრო გიმნაზიაში 1874 წელს და ალექსანდრეს მე-3 სამხედრო სასწავლებელში 1876 წელს.

მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომში. მსახურობდა ლაიბ-გვარდიის ერევნის მე-13 და ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკში.

1894-1902 წლებში მეთაურობდა ანდიუანის მე-4 სარეზერვო ბატალიონს. მონაწილეობდა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში. ომის დროს მეთაურობდა 286-ე კირსანოვოს ქვეით პოლკს.

1902 წლის 9 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1905-1906 წლებში მეთაურობდა ოლონეცის მე-14 ქვეით პოლკს. 1906 წელს გავიდა თადარიგში.

1914 წლის ნოემბერში, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კვლავ იქნა განვეული სამხედრო სამსახურში და დაინიშნა 66-ე ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1915 წლის აპრილში რუსული ჯარების ნაწილებმა მისი მეთაურობით სასტიკი დამარცხება მიაყენეს თურქულ ჯარებს დილმანის ბრძოლაში.

1915-1916 წლებში მეთაურობდა კავკასიის მე-2 მსროლელ ბრიგადას, რომელიც 1915 წლის 19 ნოემბერს იქნა გაშლილი დივიზიაში და, ამავდროულად, იქნა დანიშნული აზერბაიჯანის რაზმის უფროსადაც.

1914 წლის 9 ივლისს, თურქების შეტევის დაწყებისას, მოქმედებდა ძალზე ნელა, არ დაუჭირა მხარი კავკასიის IV საარმიო კორპუსს. შემდგომშიც, ევფრატის ოპერაციის მთელ განმავლობაში, ნაზარბეგოვმა ინიციატივა არ გამოიჩინა, რაც გახდა ერთ-ერთ წინაპირობად იმისა, რომ თურქეთის დაჯგუფება ბოლომდე არ იქნა განადგურებული. 1916 წელს მეთაურობდა ჯარების დაჯგუფებას, რომელიც მოქმედებდა ვან-კოპის მიმართულებით.

1917 წლის იანვარში დაინიშნა ახლად შექმნილი კავკასიის არმიის VII ცალკეული კორპუსის მეთაურად, რომელიც მოქმედებდა სპარსეთში.

1917 წლის 26 დეკემბრის კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის ბრძანების თანახმად დაიწყო ეროვნული ნაციონალური კორპუსების ფორმირება. სომხური კორპუსის მეთაურად დაინიშნა გენერალი ნაზარბეგოვი. კორპუსის შემადგენლობაში შევიდნენ გენერალ ანდრანიკ ოზანიანის I და მე-2 მოხალისეთა ქვეითი დივიზიები, კავალე-რიის 1 ბრიგადა, 4 ტერიტორიალური პოლკი, 5 ტერიტორიალური ბატალიონი და 1 სამარშუ ბრიგადა. სულ 17 000-მდე ადამიანი.

1918-1920 წლებში იყო სომხეთის რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი. არ იყო არც ერთი პარტიის წევრი, განაგრძობდა ჯარში სამსახურს და მთელს თავის ცოდნას და გამოცდილებას გადას-ცემდა სომხეთის რეგულარული არმიის შექმნის საქმეს. ხელმძღვანელობდა სომხეთის არმიას აზერბაიჯანთან ომში. შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის 1919 წლის 15 ივლისს მას მიენიჭა სომხეთის არმიის „გენერალ-ლეიტენანტის“ სამხედრო წოდება. მისი საერთო ხელმძღვანელობით სომხურმა ჯარმა და მოხალისებმა მიაყენეს სასტიკი დამარცხება თურქეთის ჯარებს ყარაყლისის და სარდარაბადის ბრძოლებში და შეაჩერეს მტრის წინ წაწევა. საბჭოთა ხელისუფლებას ექცეოდა ლოიალურად. საბჭოთა რუსეთის მიერ სომხეთის ანექსიის შემდეგ, 1921 წელს იქნა დაპატიმრებული და გადაყვანილი ერევანში შემდეგ ქ. ბაქოში და რიაზანის საკონცენტრაციო ბანაკში.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ტფილისში (დაკრძალვის ადგილი უცნობია. ავტ. შენიშვნა).

ავტორია მემუარებისა 1914-1918 წლების კავკასიის ფრონტზე წარმოებული სამხედრო მოქმედებების შესახებ. (არაა გამოქვეყნებული).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით („მამაცობისათვის“ - 1906 წლის 18 ივნისი), ნმ.გიორგის IV ხარ. (1916 წლის 7 იანვარი). და რუსეთის ორდენებით. ნმ.სტანისლავის III ხარ.(მახვილებით და ბაფთით-1877 - „წარჩინებისათვის არდაგანის ციხესიმაგრის შტურმით აღებისას“) და II ხარ.(1893), ნმ.ანას III (მახვილებით და ბაფთით - 1878 - „წარჩინებისათვის არზრუმთან“) და II ხარ. (1895), ნმ.ვლადიმერის IV ხარ. (ბაფთით „XXV-წლიანი უმწიკვლოსამსახურისათვის-1901), III (მახვილებით-1905) და II ხარ. (მახვილებით-1916).

საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ დაჯილდოებულ იქნა სამხედრო მედლით – **medal le militaire** - უმაღლესი სამსედრო ჯილდოთი, რომლითაც სტატუტის თანახმად, აჯილდოებდნენ მხოლოდ არმიების სარდლებს. (ქართველთა შორის ასეთი ჯილდოს კავალერი გახდა კაპიტანი ტარას ვაშაკიძე (1876-1937), რომელმაც ეს ჯილდო მიიღო 1915 წლის 31 ივლისს. ავტ. შენიშვნა)



ღიათური ანდრიას-ძე ოგანეზოვი  
(გარდ. 09.12.1898)

გენერალ-მაიორი

დაიბადა ტფილისში. მონაწილეობდა (1877-1878) რუსეთ-თურქეთის ომში. გარდაიცვალა სვეაბორგის ციხესიმაგრეში (ფინეთის დიდი სამთავრო), სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

დაკრძალულია ტფილისში, კუკის სასაფლაოზე.

Константинъ Цезаревичъ и Елена Дмитріевна Буткевичъ извѣщають родныхъ и знакомыхъ, что во вторникъ, 19-го января, въ сороковой день кончины тестя первого и отца второй, послѣдовавшей въ крѣпости Свеаборгъ, генераль-майора

**Дмитрия Андреевича Оганезова,**

во 2-й Миссионерской церкви, на углу Андреевской, и Молоканской улицъ, будетъ отслужена заупокойная литургія, а затѣмъ панихида. Начало литургіи въ 9½ час. утра. 48 1.

ნეკროლოგი გაზეთ. „კავკაზში“

**კონსტანტინე ანდრიას-ძე პირადოვი  
(29.11.1855- 19.10.1918)**

**გეორგალ-ლიტერატი (01.01.1913)**



დაიბადა ტფილისის გუბერნიის აზნაურის ოჯახში. სამხედრო განათლება მიიღო მოსკოვის მე-2 სამხედრო გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა ალექსანდრეს სახელის მე-3 სამხედრო სასწავლებელში.

მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის (1877-1878) და რუსეთ-იაპონიის (1904-1905) ნსლების ომებში.

1872 წლიდან მსახურობდა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძის სახელის კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში, ბატარეის მეთაურად.

1904-1910 წლებში-მეთაურობდა 34-ე საარტილერიო ბრიგადის მე-3 დივიზიონს. 1910-1911 წლებში-მეთაურობდა მორტირთა მე-7 საარტილერიო დივიზიონს.

1911-1913 წლებში-მეთაურობდა 44-საარტილერიო ბრიგადას.

დაიღუპა ქ.პიატიგორსკში, 1918 წლის 18-19 ოქტომბერს, „წითელი ტერორის“ დროს.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. **წმ.სტანის-ლავის III** (მახვილებით და ბაფთით), II ხარ.(მახვილებით-1878) და I ხარ.(1912), **წმ.ანას III** (მახვილებით და ბაფთით-1877) და II ხარ.(1889), **წმ.ვლადიმერის IV** (მახვილებით და ბაფთით-1879) და III ხარ.(1908).



გიორგი ათენიას-ძე პოზოვი  
(20.10.1858 – 1918 ნ.შ.)

გენერალ-მაიორი (08.05.1915)

გენერლებ ლ. და რ.პოზოვევების ძმა. დაიბადა ქ. ახალციხეში.  
დაამთავრა მოსკოვის მე-2 სამხედრო გიმნაზია 1876 წელს,  
ალექსანდრეს მე-3 სამხედრო სასწავლებელი 1878 წელს და არტი-  
ლერიის ოფიცერთა სკოლა.

მსახურობდა მე-3 სარეზერვო საარტილერიო ბრიგადაში.  
მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის და  
1914-1918 წლების პირველ მსოფლიო ომებში.

1901-1910 წლებში მეთაურობდა გრენადერთა მე-3 საარტილე-  
რიო ბრიგადის მე-2 დივიზიონის ბატარეას.

1910 წლის 1 აგვისტოს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.  
1910-1916 წლებში მეთაურობდა გრენადერთა მე-3 საარტილე-  
რიო ბრიგადის მე-2 დივიზიონს.

1917 წელს დაინიშნა 33-ე საარმიო კორპუსის არტილერიის  
ინსპექტორად.

1916-1917 წლებში მეთაურობდა 46-ე საარტილერიო ბრიგადას.  
1918 წლიდან ძმასთან ერთად მსახურობდა წითელ არმიაში.  
საბრძოლო დაშსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-  
სათვის დაჯილდოებული იყო ნებ.გიორგის IV ხარ. (1917 წლის 27  
იანვარი),

და რუსეთის ორდენებით. ნებ.სტანისლავის II ხარ.(1896),  
ნებ.ანას II ხარ.(1901), ნებ.ვლადიმერის III (1912) და III ხარ.(მახვილე-  
ბით-1914).

**ლეონ ავეტიკას-ძე პოზოვევი  
(06.01.1855- 1918 ნ.შ.)**  
**გენერალ-ლიტერატო (31.05.1913)**



გენერლებ გ. და რ.პოზოვევების ძმა. დაიბადა ქ. ახალციხეში. დაამთავრა მოსკოვის მე-2 სამხედრო გიმნაზია 1872 წელს და იმავე წელს განაგრძო სწავლა მიხეილის საარტილერიო სასწავლებელში, საიდანაც გამოშვებულ იქნა 30-ე საარტილერიო ბრიგადაში 1875 წელს.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის და (1904-1905) წლების რუსეთ-იაპონიის ომებში. 1882 წელს გადაყვანილ იქნა 38-ე საარტილერიო ბრიგადაში, ხოლო 1887 წელს, მიხეილის საარტილერიო აკადემიის დამთავრების შემდეგ, მსახურობდა კავკასიის გრენადერთა სააარტილერიო ბრიგადაში.

1893-1895 წლებში მეთაურობდა მორტირთა მე-2 საარტილერიო პოლკის მე-2 ბატარეას.

1895-1897 წლებში მეთაურობდა 27-ე საარტილერიო ბრიგადის მე-3 ბატარეას.

1897-1904 წლებში მსახურობდა თურქესტანის სამხედრო ოლქის სასწავლო საარტილერიო პოლიგონის უფროსად.

1904-1906 წლებში მეთაურობდა 41-ე საარტილერიო ბრიგადის 1-ლ დივიზიონს.

1910 წლის 1 აგვისტოს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1906-1907 წლებში მეთაურობდა მე-5 საარტილერიო სარეზერვო ბრიგადის I დივიზიონს.

1907-1910 წლებში მსახურობდა თურქესტანის I საარმიო კორპუსის არტილერიის უფროსად და მეთაურობდა თურქესტანის I სა-არტილერიო ბრიგადას.

1910-1916 წლებში მსახურობდა თურქესტანის I საარმიო კორპუსის არტილერიის ინსპექტორად.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

**1907 წლის 31 მაისს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.**

1914-1917 წლებში მსახურობდა თურქესტანის სამხედრო ოლქის არტილერიის ინსპექტორად. მოგვიანებით მსახურობდა წითელ არმიაში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო ოქროს იარაღით (**მამაცობისათვის-1905**),

და რუსეთის ორდენებით. **წმ.სტანისლავის III** (მახვილებით და ბაფთით-1879), II (1889) და I ხარ.(1915), **წმ.ანას II** ხარ.(1894), **წმ.ვლადიმერის III** (1901) და III ხარ.(მახვილებით-1905).

**რუბენ ავეტიკას-ძე პოზოვი**  
(16.11.1856- 1916 ნ. შ.)

**გენერალ-მაიორი (11.08.1915)**



გენერლებ გ. და ლ.პოზოვევების ძმა. დაიბადა ქ. ახალციხეში.  
დაამთავრა მოსკოვის მე-2 სამხედრო გიმნაზია 1875 წელს, მი-  
ხეილის საარტილერიო სასწავლებელი 1878 წელს და არტილერიის  
ოფიცერთა სკოლა.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.  
მსახურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადაში.

1898-1910 წლებში მეთაურობდა მე-20 საარტილერიო ბრიგა-  
დის I დივიზიონის ბატარეას.

1910-1916 წლებში მეთაურობდა მე-20 საარტილერიო ბრიგა-  
დის I დივიზიონს.

1916 წლიდან მეთაურობდა მე-6 საარტილერიო ბრიგადას.  
1910 წლის 1 აგვისტოს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.  
1917 წლის ნოემბრიდან მსახურობდა სომხური საარმიო კორ-  
პუსის არტილერიის უფროსად.

საპრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-  
სათვის დაჯილდოებული იყო ნებ.გიორგის IV ხარ.(1918 წლის 13 მა-  
ისი) ორდენით.

და რუსეთის ორდენებით. ნებ.სტანისლავის II 1898) და II ხარ.  
(მახვილებით-1917), ნებ.ანას II ხარ.(1902), ნებ.ვლადიმერის III ხარ.  
(1912).



ისრაელ აგაპარუნის-ძე საჩვალოვი  
(04.06.1835 -1920)

გენერალ-ლეიტენანტი (17.06.1899)

დაიბადა ტფილისის გუბერნიაში. 1853 წელს დაამთავრა მე-2 კადეტთა კორპუსი.

მონაწილეობდა (1853-1856) წლების ყირიმის (აღმოსავლეთის) და (1877-1878) რუსეთ-თურქეთის ომებში.

1858-1859 წლებში მსახურობდა კავკასიის ხაზის მარჯვენა ფრთის არტილერიის უფროსის უფროს ადიუტანტად.

1867-1874 წლებში მეთაურობდა კავკასიის 21-ე საარტილერიო ბრიგადის I ბატარეას.

1876 წლის 30 აგვისტოს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1874-1875 წლებში მეთაურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადის მე-6 ბატარეას.

1875-1888 წლებში მეთაურობდა კავკასიის გრენადერთა ბრიგადის მე-6 ბატარეას.

1888 წლის 30 აგვისტოს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

1888-1889 წლებში მეთაურობდა 21-საარტილერიო ბრიგადას (ქ.თემირ-ხან-შურაში), გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო და რუსეთის ორდენებით. **ნებატანისლავის III** (მახვილებით და ბაფთით-1858), II (მახვილებით) და I

ხარ.(1892), **ნმ.ანას III** (მახვილებით და ბაფთით-1861), II (მახვილე-ბით-1864) II (იმპერ.გვირგვ.-1870) და I ხარ., **ნმ.ვლადიმერის III** ხარ. (მახვილებით, XXV-წლიანი უმწიკვლო სამსახურისათვის-1879). დაჯილდოებული იყო ბუხარის „ოქროს ვარსკვლავის“ I ხარ. ორ-დენით (1896).

გარდაიცვალა და დაკრძალულია ტფილისში. დაკრძალვის ადგილი უცნობია. (ავტ.შენიშვნა)



ივანე იოსების-ძე სიმონი  
(სიმონიანი)  
(10.01.1849-1911 გ.ვ.)

გენერალ-მაიორი (04.07.1911)

დაიბადა ქ.ტფილისში.

დაამთავრა ტფილისის კლასიკური გიმნაზია, ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელი და ნიკოლოზის საინჟინრო აკადემია.

1869-1880 წლებში მსახურობდა ჯარში, კავკასიის მესანგრეთა ბატალიონში.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

1880 -1888 წლებში იმყოფებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის ინჟინერთა უფროსის განკარგულებაში;

1888-1890 წლებში იმყოფებოდა პეტერბურგის სამხედრო ოლქის ინჟინერთა უფროსის განკარგულებაში.

1890-1894 წლებში იმყოფებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის ინჟინერთა უფროსის განკარგულებაში.

1894-1899 წლებში მსახურობდა ვიბორგის საციხოვნო საინჟინრო სამმართველოში შტაბ-ოფიცრად.

1899-1911 წლებში იმყოფებოდა მთავარი საინჟინრო სამმართველოს განკარგულებაში.

1899 წლის 8 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1911 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო

და რუსეთის ორდენებით. „ნე.სტანისლავის“ III (მახვილებით და ბაფთით-1879) და II ხარ.(1892); „ნმ.ანას“ III (1885) და II ხარ. (1895).

„ნმ.ვლადიმერის“ IV ხარ.(ბაფთით, XXV-წლიანი უმწიკვლო სამსახურისათვის-1911).

**დიმიტრი გოგლანის-ქა  
ტერ-ასატუროვი  
(20.03.1836-1897)**

**გევარალ-ლეიტენანტი (30.08.1886)**



გენერალ ნ.ბ.ტერ-ასატუროვის უფროსი ძმაა. დაიბადა ტფი-ლისში, მღვდლის ოჯახში. დაამთავრა კერძო სასწავლო დაწესებულება. ჯარში მსახურობდა 1852 წლიდან.

მონაწილეობდა (1853-1856) წლების ყირიმის (აღმოსავლეთის) და (1877-1878) რუსეთ-თურქეთის ომებში.

1869-1870 წლებში მეთაურობდა ლაიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის მე-3 სარეზერვო ესკადრონს.

1870-1873 და 1877-1883 წლებში იმყოფებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდალთან.

1873-1877 წლებში მეთაურობდა დალესტნის ცხენოსან-ირე-გულარულ პოლკს.

1883-1884 წლებში მეთაურობდა კავკასიის კავალერიის მე-2 დივიზიის მე-2 ბრიგადას. 1884-1890 წლებში მსახურობდა კავალე-რიის მე-11 დივიზიის უფროსად.

1870 წლის 17 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

**1879 წლის 29 მაისს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.**

მთიელებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა, რის გამოც იმპერატორის სპეციალური ბრძანებით, მას ნება დაერთო მარჯვენა ხელის ტარება სამხედრო ტანსაცმელზე სპეციალური ჩამოსაკიდის გამოყენებით.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით (მამაცობისათვის-1873), და რუსეთის ორდენებით. ნესტანისლავის III -1862), II (1868), II (იმპერატ.გვირგვ.-1871) და I ხარ.(მახვილებით-1879), ნეანდეს III (მახვილებით-1863) და I ხარ.(1884), ნევლადიმერის III ხარ.(1873).

დაჯილდოებული იყო სპარსეთის „ლომისა და მზის“ ორდ. II ხარ. (ვარსკვლავით-1874).

გარდაიცვალა ქ.ვილნოში (ამჟ.ქ.ვილნიუსი.ავტ.შენიშვნა)

დაკრძალული იყო ვანქის ტაძრის ტერიტორიაზე 1897 წლის 12 ივლისს.

Жена съ дѣтьми, братья и сестра генераль-лейтенанта

**Дмитрия Богдановича Терь-Асатурова,**

скончавшагося въ гор. Вильнѣ, просятъ родныхъ и знакомыхъ  
пожаловать на погребеніе покойного въ оградѣ Ванскаго собо-  
ра въ субботу, 12-го июля. Тѣло прибудетъ на станц. Тифлисъ  
з. ж. д. въ 10 часовъ утра. 417 1.

ნეკროლოგი გაზეთ. „კავკაზში“

**ნიკოლოზ გოგლაძეს-ძე  
ტერ-ასატუროვი  
(10.09.1854-1910 ნ.შემდ.)**

**გენერალ-მაიორი (05.10.1910)**



გენერალ დ.ბ.ტერ-ასატუროვის უმცროსი ძმა. დაიბადა ტფილისში, მღვდლის ოჯახში. დაამთავრა ტფილისის კერძო გიმნაზია. ჯარში მსახურობდა 1873 წლიდან. მონაწილეობდა (1877-1878) რუსეთ-თურქეთის ომებში. მეთაურობდა ესკადრონს, ასეულს.

1905-1910 წლებში მეთაურობდა სმოლენსკის მე-8 დრაგუნთა პოლკს.

1905 წლის 5 ოქტომბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო და რუსეთის ორდენებით. **ნმ.სტანის-ლავის III –** (მახვილებით და ბაფთით-1878), II (1894) ხარ., **ნმ.ანას IV** (მამაცობისათვის-1877), II (მახვილებით და ბაფთით-1880) და II ხარ., **ნმ.ვლადიმერის IV** ხარ.(ბაფთით-1891).



არზას ართემის-ძე ტერ-ღუკასოვი  
(1819-08.01.1881)

გენერალ-ლეიტენანტი (06.12.1874)

დაიბადა ტფილისში, მღვდელთმსახურის ოჯახში. სწავლობდა გზათა მიმოსვლის კორპუსის ინჟინერთა ინსტიტუტში, რომელიც დამთავრა 1837 წელს.

1837-1839 წლებში იქნა დატოვებული ინსტიტუტში, შემდგომი განათლების გასაღრმავლებლად.

1839-1841 წლებში მსახურობდა სანქტ-პეტერბურგის შემოვლითი რკინიგზის I დირექციაში.

1841-1852 წლებში მსახურობდა კავკასიის მხარის სამხედრო მიმოსვლების დირექციაში.

1852 წელს ჩარიცხულ იქნა ჯარში მაიორად და დაინიშნა აფშერონის 81-ე ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურად.

მონაწილეობდა (1853-1856) წლების ყირიმის (აღმოსავლეთის) ომში.

1859-1865 წლებში მეთაურობდა აფშერონის 81-ე ქვეით პოლკს, პოლკოვნიკის წოდებით. მონაწილეობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიის დაპყრობაში, აულ ღუნიბის აღებასა და შამილის დატყვევებაში.

1865 წლის 5 აგვისტოს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო ნოდება და დაინიშნა მე-19 ქვეითი დივიზიის უფროსის თანაშემწედ. ამავდროულად ის ჩაირიცხა აფშერონის 81-ე ქვეითი პოლკის სიებში, რაც ითვლებოდა ძალზე უმაღლეს და საპატიო ჯილდოდ.

1868 წლის 25 აგვისტოს დაინიშნა თერგის ოლქის შუა განყოფილების უფროსად. იყო გროზნოს მთიელთა დაწყებითი სკოლის ორგანიზატორი და საპატიო მზრუნველი.

1869-1870 წლებში მეთაურობდა 38-ე ქვეით დივიზიას.

1870-1876 წლებში მეთაურობდა კავკასიის II საარმიო კორპუსს.

1876 წელს დაინიშნა რუსული ჯარების ერევნის რაზმის უფროსად. მონაწილეობდა (1877-1878) რუსეთ-თურქეთის ომში.

1877 წლის 18 აპრილს ბრძოლის გარეშე დაიკავა ბაიაზეთის ციხესიმაგრე და გაანთავისუფლა იგი თურქებისაგან. ბაიაზეთის აღების შემდეგ, დატოვა იქ პატარა გარნიზონი და დაიძრა ერზერუმისაკენ, 1877 წლის 28 მაისს დაიკავა ალაშქერთი, ხოლო 9 ივნისს -დაიარი.

18 ოქტომბერს დევე-ბოინუსთან ბრძოლაში თურქებს სასტიკი მარცხი აგერა.

1878 წელს დაინიშნა კავკასიის გრენადერთა დივიზიის უფროსად და ალექსანდროპოლ-ახალქალაქის მაზრებში განლაგებული ჯარების სარდლად.

1879 წელს მას დაუქვემდებარეს იმიერკასპიის მხარის ჯარები, მაგრამ ამ თანამდებობაზე მან უარი თქვა ავადმყოფობის გამო და დაინიშნა კავკასიის II საარმიო კორპუსის მეთაურად.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო ოქროს იარაღით (მამაცობისათვის-1859), ნე. გიორგის IV (1859 წლის 8 სექტემბერი - „აულ ღუნი-ბის აღებისათვის“) და III ხარ. (1878 წლის 22 ივლისი - „განსაკუთ-რბული მამაცობისა და თავგანწირვისათვის, რომელიც გამოიჩინა მან 1877 წლის ივნისში ბაიაზეთის აღებისას და ბაიაზეთის გარნიზონისათვის ბლოკადის მოხსნისას“).

და რუსეთის ორდენებით. თეთრი არწივის ორდ. (მახვილე-ბით-1878), ნე.სტანისლავის II (1842)და I ხარ., ნე.ანას III (1874), II (1879), I (მახვილებით-1870) და I ხარ. (იმპერატ.გვირგვ.) ნე.კლადი-მერის IV (1860), III (მახვილებით-1862) და II ხარ.(1877) ორდენებით.

მიღებული ჰქონდა უცხოეთის ჯილდოები, მათ შორის პრუსიის ორდენი „დამსახურებისათვის“ (1878), მეკლენბურგ-შვერინის „გრიფის“ II ხარ. (1878) და „სამხედრო დამსახურებისათვის“ II ხარ.

გარდაიცვალა ტფილისში. დაკრძალეს იქვე, 1881 წლის 11 იანვარს, ვანქის სომხური ტაძრის საგვარეულო აკლდამაში (ახლ. ათონელის ქ. 1936 წელს, ტაძრის დემონტაჟთან დაკავშირებით, მისი ცხედარი და საფლავის ქვა გადაასვენეს სურბ გევორქის სომხური ეკლესიის ეზოში. მისი საფლავი დაცულია სახელმწიფოს მიერ. ავტ. შენიშვნა.)

თანამედროვეთა მოგონებებით:

„ტერ-ლუკასოვი თავისი სახსრების დიდ ნაწილს ახმარდა გაჭირვებულ სომქებ ბავშვთა აღზრდას. მას არ უყვარდა ლაპარაკი თავის დამსახურებებზე, და თუ ვინმე მას ამაზე დაუწყებდა ლაპარაკს, ის ამბობდა, რომ როცა მეთაურობ ისეთ ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომლებითაც სავსეა რუსეთის არმია, არ არის როული დაიმსახურო კარგი მხედართმთავრის სახელი. მას არ ჰქონდა არა-ნაირი კავშირები, რომლებიც შეუქმნიდნენ სამსახურეობრივ კარიერას და , ყოველივე ამ კავშირების უქონლობის გამო, მან მიაღწია დიდ თანამდებობებს, მხოლოდ თავისი პირადი დამსახურებების მაღლით. ყურადღებით და მზრუნველობით ექცეოდა ის თავის ხელქვეითებს, იყო მომთხოვნი სამსახურისათვის, მაგრამ უფრო მომთხოვნი იყო თავისი თავისადმი, რადგან ჰქონდა უდიდესი რკინის ნებისყოფა. ის იყო განათლებული ადამიანი, ადამიანი, რომელმაც მოიპოვა ჯარებში სრული პატივისცემა. ის იყო კავკასიური სკოლის გმირთა ტიპიური წარმომადგენელი. მთელი თავისი სამსახური მან გაატარა კავკასიაში და, რადგანაც იყო ადგილობრივი მკვიდრი, ბრწყინვალედ იცოდა ადგილობრივი ზნე-ჩვეულებები.“

8-го января скончался командиръ 2-го армейского Кавказского корпуса, генераль-лейтенантъ **Арзасъ Артемьевичъ Тергукасовъ**. Погребеніе покойнаго имѣеть быть 11-го января, въ оградѣ Ванкскаго собора, послѣ заупокойной литургии, которая начнется въ 10 ч. утра.

ნეკროლოგი გაზეთ. „კავკაზში“



გენერალ ა. ტერ-ლუკასოვის აკლდამა  
ვანქის ტაძრის ტერიტორიაზე  
(1936 წლამდე და დღეს)



სტაციანე იორების-ძე ქიშმიშვილი  
(10.06.1833-12.08.1897)

გენერალ-ლეიტენანტი  
(30.08.1888)

დაიბადა ტფილისში, სომეხი აზნაურის ოჯახში.

დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი და 1860 წელს გენერალური შტაბის აკადემია. სამხედრო სამსახურში შევიდა 1850 წელს.

მონაწილეობდა (1853-1856) წლების ყირიმის (აღმოსავლეთის), 1877-1878 რუსეთ-თურქეთის წლების ომებში და რუსეთის არმიის ლაშქრობებში შუა აზიაში.

1872 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1870-1877 წლებში განაგებდა ამიერკავკასიის მხარის სარკინიგზო და საზღვაო მიმართულებებით ჯარების გადაადგილებას.

1877 წლის 8 ნოემბერს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.

1878-1879 წლებში მსახურობდა არზრუმის ოლქის უფროსად.

1879-1885 წლებში იმყოფებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებაში.

1885-1887 წლებში იმყოფებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებთან.

1887-1897 წლებში მეთაურობდა ტფილისის ადგილობრივ ბრიგადას.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო ოქროს იარაღით (მამაცობისათვის-1877), და რუსეთის ორდენებით. ნებსტანისლავის II (1868) და

I ხარ.(მახვილებით-1879), ნმ.ანას II (1870) და I ხარ.(1888), ნმ.ვლა-დიმერის IV (1864), (მახვილებით-1868), III (1874) და II ხარ.(1886).  
ავტორია რიგ სამეცნიერო შრომებისა.

გარდაიცვალა ტფილისში, დაკრძალული იყო ვანქის სომხური ტაძრის ტერიტორიაზე, (ახლ. ათონელის ქ., 1936 წელს, ტაძრის დე-მონტაჟთან დაკავშირებით, მისი ცხედარი და საფლავის ქვა დაიკარგა. ავტ. შენიშვნა.)

Послѣ непродолжительной, по тяжкой болѣзни 8-го августа, въ 8 часовъ вечера, скончался начальникъ 24 тифлисской мѣстной бригады генераль-лейтенантъ

### **Степанъ Іосифовичъ Кишмишевъ.**

Братья и сестры покойнаго съ глубокимъ прискорбiemъ извѣщая родныхъ, знакомыхъ и сослуживцевъ, покорнѣйше просить пожаловать на выносъ тѣла усопшаго изъ его дома, Ртищевская улица, № 10, во вторникъ, 12-го августа, въ 10 часовъ утра, въ Банкскій соборъ, въ оградѣ котораго будетъ предано землѣ тѣло усопшаго. Панихиды будутъ совершены въ воскресенье и понедѣльникъ, 10-го и 11-го августа, въ 7 часовъ вечера.

454 (3) 1.

ნეკрოლოგი გაზეთ „კავკაზში“



კონსტანტინე ნიკოლოზის-ქა  
შაგუპაშვილი

(11.01.1845-1920 ნ.ვ.)

გენერალ-მაიორი (1901)

დაიბადა ქ.ტფილისში.

ჯარში მსახურობდა 1863 წლიდან ოფიცრად.

მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

ომის დროს მსახურობდა პერიასლავის მე-18 დრაგუნთა პოლკში.

1879 წლიდან მსახურობდა კავკასიის 2 საარმიო კორპუსის კავკასიის კავალერიის მე-2 დივიზიაში.

1890-1892 წლებში მსახურობდა კავკასიის კავალერიის რეზერვის კადრის სარემონტო სამსახურის უფროსად.

1894-1895 წლებში მსახურობდა ასეთივე სამსახურის უფრო-სად კავალერიის რეზერვის ბრიგადების რემონტის ინსპექტორთა სამმართველოში.

1895 წლის 13 იანვარს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1901 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით..

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო:

ოქროს ხმლით („მამაცობისათვის“-1878),

და რუსეთის ორდენებით. „ნებ.სტანისლავის“ II ხარ.(1877).

„ნე.ანას“ II ხარ. (მახვილებით-1879).

„ნე.ვლადიმერის“ IV ხარ. (მახვილებითა და ბაფტით-1877); ორდენით.

**ნიკოლოზ შავშეიას-ძე გამშეიავი  
(24.01.1862-1933 ნ.გ.)**

**გენერალ-მაიორი (05.10.1913)**



დაიბადა ტფილისში.

განათლება მიიღო მოსკოვის მე-2 სამხედრო გიმნაზიაში.  
სამხედრო სამსახურში შევიდა 1880 წელს.

1882 წელს დაამთავრა ალექსანდრეს მე-3 სამხედრო  
სასწავლებელი და იმავე წლიდან მსახურობდა ლაიბ-გრენადერთა  
ერევნის მე-13 პოლკში. 9 წლის მანძილზე მეთაურობდა ასეულს.

1913 წლის 5 ოქტომბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო  
წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.  
თავისი პოლკის შემადგენლობაში მიიღო აქტიური მონაწილეობა  
კავკასიის გრენადერთა დივიზიასთან ერთად აღმოსავლეთ  
პრუსიაში წარმოებულ ბრძოლებში, 1914 წლის სექტემბერ-  
ოქტომბერში (კერძოდ მეთაურობდა თავისი პოლკის მოქმედებებს  
ბრძოლაში განჩთან, 1914 წლის 21 სექტემბერს), ვარშავის  
მიმართულებით (1914 წლის ნოემბერში) და პრასნიშთან (1915  
წლის მარტში).

1915 წლის 2 აპრილს დაინიშნა ლაიბ-გრენადერთა ერევნის  
მე-13 პოლკის მეთაურად.

1915-1917 წლებში მეთაურობდა ესტლიანდიის მე-8 ქვეით  
პოლკს.

1917 წლის 13 მარტს დაინიშნა 193-ე ქვეითი დივიზიის უფროსად.

1917 წლის ბოლოს იმყოფებოდა რუმინეთის ფრონტზე.

1917 წლის დეკემბერში ფრონტიდან პირდაპირ გაემგზავრა ტფილისში, სადაც ცხოვრობდა ოჯახთან ერთად 1918 წლის თებერვლამდე.

1919 წლის მაისიდან მსახურობდა „მოხალისეთა არმიის“ მთავარსარდლის შტაბში.

1920 წლის 30 ოქტომბერს დატოვა ყირიმი და წავიდა ემიგრაციაში.

1922-1924 წლებში ცხოვრობდა ქ.პაჩირში (სერბეთი) ძლიერ გაჭირვებაში და დაავადმყოფებული. მუშაობდა დარაჯად შაქრის ქარხანაში.

1933 წლის შემდგომი ბედი უცნობია. (ავტ.შენიშვნა).

საპრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო

და რუსეთის ორდენებით. „ნშ.სტანისლავის“ II ხარ. (1906).

„ნშ.ანას“ II (1907), (მახვილები-1916).

„ნშ.ვლადიმერის“ IV (1912), III (1915).

**არკაზი კარავათის-ძე ხანდამიროვი  
(გარდ. 28.12.1892)**

**გენერალ-მაიორი (08.11.1882)**



დაიბადა ტფილისში. მსახურობდა ლაიბ-გვარდიის ერევნის მე-  
13 პოლკში. მთელი ცხოვრება მსახურობდა კავკასიაში.

მონაწილეობდა (1853-1856) ყირიმის (აღმოსავლეთის) და  
(1877-1878) წლების რუსეთ-თურქეთის ომებში.

1882 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და  
სრული პენსიონით. დაკრძალულია ტფილისში, ვერის სასაფლაოზე.



თარხან აგამალის-ძე ხოჯაშინასოვი,  
თავადი  
(28.05.1825 – 1909)

იფეიცერ-გენერალი (24.02.1897)

დაიბადა ტფილისში. განათლება მიიღო მთავარ საინჟინრო სასწავლებელში 1843 წელს და მთავარი საინჟინრო სასწავლებლის ოფიცერთა კლასებში 1845 წელს.

1845 წელს ჩაირიცხა საინჟინრო კორპუსში, ტფილისში დანიშვნით. დიდხანს მსახურობდა კავკასიაში. იყო ცნობილი სამხედრო ინჟინერი.

მონაწილეობდა (1853-1856) წლების ყირიმის (აღმოსავლეთის) ომში. ჯარში მსახურობდა 1839 წლიდან, ხოლო 1849 წლიდან ოფიცირად.

1857-1865 წლებში მსახურობდა კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარი შტაბის საინჟინრო განყოფილების უფროსად.

1864 წლის 9 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1875 წლის 30 აგვისტოს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.

1865-1875 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინრო უნივერსიტეტორად.

1882 წლის 30 აგვისტოს მიენიჭა „გენერალ-ლეიტენატის“ სამხედრო წოდება.

1875-1897 წლებში ირიცხებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებთან და იყო მიწერილი საინჟინრო კორპუსთან.

1897 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან წლოვანების გამო, მუნდირით და პენსიონით.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო და რუსეთის ორდენებით. ცმ.სტანისლავის II (იმპერატ.გვირგვ.-1859) და I ხარ.(1879), ცმ.ანას III (1852), II (იმპერატ.გვირგვ.-1866) და I ხარ.(1884), ცმ.ვლადიმერის IV (მახვილებით და ბაფთით-XXV-წლიანი უმწიკვლო სამსახურისათვის-1869), III (1872) და II ხარ. (1890) და „თეთრი არწივის“ (1893) ორდენებით.

## ՀԱՅԱՀՈՅՈՒ 1

Ի՞նչու մասնաւու պահանջութիւն է կազմութիւնը,  
Կայուն պահանջութիւնը կազմութիւնը կամ պահանջութիւնը  
կամ պահանջութիւնը կամ պահանջութիւնը



ԲԹ.աճդրուա პորվելնոգեծուլուս որդենո




ԲԹ.ալեյսաճդրու նշանուս որդենո



ნებ.გიორგის ორდენის II-III-IV ხარისხების ჯვრები



ნებ.გიორგის ორდენის IV ხარისხი  
(«XXV-წლიანი უმნიკვლო სამსახურისათვის»)



ნებ.გიორგის ორდენის II (მარცხნივ), III (შუაში) და IV (მარჯვნივ)  
ხარისხის ნიშნების ტარების წესი



სამკერდე ნიშნები ჯარში XXV, XXX, XL և L წლის უმწიველო  
სამსახურისათვის წმ.გიორგის ორდენის ბაჟთაზე



რუსეთის იმპერიის უმაღლესი ორდენების ტარების წესი



ნებადიმერის ორდენი



თეთრი არწივის ორდენი




წმ.ანას ორდენი




გიორგის ოქროს იარაღი „მამაცობისათვის“ (მარცხნივ)  
წმ.სტანისლავის ორდენი (შუაში) და ანას იარაღი  
„მამაცობისათვის“ (მარჯვნივ)




წმ.გიორგის ორდენის ნიშანი „მამაცობისათვის“  
და გიორგის ოქროს იარაღზე ჩამოსაკიდი ბაფთა



ინფანტერიის გენერალთა სამხრეები



არტილერიის გენერალთა სამხრეები



საინჟინრო სამსახურის  
გენერალთა სამხრეები



გენერალური შტაბის გადამდგარი გენერლის (მარცხნივ)  
ნიკოლოზ I ამალის გენერალ-ადიუტანტის (შუაში) და  
ნიკოლოზ II ამალის გენერალ-მაიორის სამხრეები (მარჯვნივ)



გენერალ-მაიორის (მარცხნივ) და  
გენერალ-ლეიტენანტის  
ეპოლეტები (1911)



II

რუსეთის რესპუბლიკის  
დროებითი მთავრობა  
(1917)

**გიორგი დავითის-ძე არღუშინესკი-  
დოლგორუკოვი, თავადი  
(18.11.1873-07.02.1949)**

**გენერალ-მაიორი (26.08.1917)**



დაიბადა ტფილისში. გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტ დავით ლუარსაბის-ძე არღუშინესკი-დოლგორუკოვის (1853-1910) შვილია.

საერთო განათლება მიიღო ნეპლიუევის კადეტთა კორპუსში (1892).

1894 წელს დაამთავრა ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო კორნეტად 1893 წელს 25-ე დრა-გუნთა პოლკში, მოგვიანებით გადაყვანილ იქნა გროდნოს ლაიბ-გვარდიის პუსართა პოლკში გვარდიის კორნეტის წოდებით (1894). თანმიმდევრულად მიენიჭა პორუჩიკის (1898), შტაბს-როტმისტრის (1902) და როტმისტრის (1906) სამხედრო წოდებები.

1912 წლის 26 აგვისტოს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1916 წლის 15 აპრილს დაინიშნა ნოვოროსისკის 3 დრაგუნთა პოლკის მეთაურად.

1916 წლის 7 დეკემბერს ავადმყოფობის გამო განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან და დაინიშნა ოდესის სამხედრო ოლქის შტაბის პირთა რეზერვში.

1917 წელს დროებითი მთავრობის მიერ დათხოვნილ იქნა ჯარიდან ავადმყოფობის გამო.

1918 წლის დასაწყისში გაემგზავრა ტფილისში. 1921 წლიდან კი ემიგრაციაში იყო საფრანგეთში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო **გიორგის ოქროს იარაღით (25.08.1916)**;

და რუსეთის ორდენებით წმ.სტანისლავის III ხარ.(1907), მახვილებით და ბაფთით III ხარ.(1917); II ხარ.(მახვილებით-1914).

**წმ.ანას III** ხარ. (1911), II ხარ.(მახვილებით-1914); მახვილებით და ბაფთით III ხარ.(1915).

**წმ.ვლადიმერის IV** ხარ.(მახვილებით და ბაფთით-1915) და III ხარ. (მახვილებით-1915).

გარდაიცვალა ნიცაში. დაკრძალულია კოკადის სასაფლაოზე (თავაზ არღუტინსკი-დოლგორუკოვების № 6 და 8 აკლდამაში).

**პავლე დავითის-ძე არლუტინსკი-  
დოლგორუკოვი, თავადი  
(18.08.1872-1943)**

**გენერალ-მაიორი (27.07.1917)**



დაიბადა ტფილისში. გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტ დავით ლუარსაბის-ძე არლუტინსკი-დოლგორუკოვის (1853-1910) შვილია და გენერალ-მაიორ გ.დ.არგუტინსკი-დოლგორუკოვის უფროსი ძმაა.

განათლება მიიღო ნიკოლოზის კადეტთა კორპუსში (1892).

1894 წელს დაამთავრა ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელი. მსახურობდა ლაიბ-გვარდიის გროდნოს ჰუსართა პოლკში. მეთაურობდა მე-7 დრაგუნთა პოლკს.

1914 წლის 11 ნოემბრიდან ირკუცებოდა კიევის სამხედრო ოლქის შტაბის პირთა სიაში.

გარდაიცვალა ნიცაში. დაკრძალულია კოკადის სასაფლაოზე (თავად არლუტინსკი-დოლგორუკოვების № 6 და 8 აკლდამაში).





გიორგი ვასილის-ძე არაშვილი  
(05.09.1876 - 1919)

გენერალ-მაიორი (20.09.1917)

დაიბადა ტფილისში. განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსის 6 კლასის დამთავრების შემდეგ, 1894 წელს დაამთავრა ტფილისის იუნივერტა ქვეითი სასწავლებელი (მე-2 თანრიგით) და, ოფიცერთა მსროლელი სკოლა. სამხედრო სამსახურში შევიდა 1894 წელს. მსახურობდა პოდპორჩუჩიკად აზოვის 45-ე ქვეით პოლკში.

1900-1908 წლებში მსახურობდა ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკში.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომში.

1908-1913 წლებში მეთაურობდა 63-ე სარეზერვო ქვეითი ბრიგადის, მაიორის 249-ე სარეზერვო ბატალიონს.

1913-1916 წლებში მსახურობდა კავკასიის მე-3 მსროლელ პოლკში. მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში. მეთაურობდა იმავე პოლკის ბატალიონს.

1916-1917 წლებში მეთაურობდა კავკასიის მე-3 მსროლელ პოლკს.

1916 წლის 17 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1917 წელს, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დაინიშნა კავკასიის 1-ი მსროლელი დივიზიის ბრიგადის მეთაურად.

1917-1918 წლებში, მეთაურობდა სომეხ მოხალისეთა კორპუსის I დივიზიას, რომლის მეთაურობისას წინააღმდეგობას უწევდა თურქეთის ჯარების შეტევას ალექსანდროპოლზე 1918 წლის მაისში.

დამარცხების შემდეგ, 1918 წლის 15 მაისს გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. შემდგომში მსახურობდა სომხეთის ჯარში, მე-თაურობდა ყარაყლისის რაზმს.

1919 წელს გაიგზავნა პარიზში, სამშვიდობო კონფერენციაზე, სომხეთის დელეგაციის სამხედრო მრჩევლად. შემდგომი ბეჭი უცნობია.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო **ნმ.გიორგის IV ხარ.** (1915 წლის 31 მაისი), გიორგის იარაღით (1915 წლის 7 ნოემბერი), და რუსეთის ორდენებით. **ნმ.სტანისლავის II ხარ.**(1909), **ნმ.ანას IV ხარ.** (მამაცობისათვის-1905) და III (მახვილებით და ბაფთით-1905), **ნმ.ვლადიმერის IV ხარ.**(მახვილებით და ბაფთით-1905).



აკოც გერასიმეს-ძე ბაგრატიშვილი  
(25.08.1879-23.12.1943)

გენერალ-მაიორი (30.08.1917)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის ქახალციხეში, სომეხი აზნაურის ოჯახში.

1898 წელს დაამთავრა ოქროს მედალზე ტფილისის ვაჟთა გიმნაზია, 1900 წელს კიევის სამხედრო სასწავლებელი (მისი გვარი როგორც გამოშვებაში პირველისა იყო მოთავსებული მარმარილოს დაფაზე, როგორც წარჩინებული მოწაფისა) და ნიკოლოზის გენერალური შტაბის აკადემია 1907 წელს.

1900 წელს მსახურობდა პოდპორუჩიკიკად ავსტრიის იმპერატორის სახელის კეკსპოლმის პოლკში. ამავე პერიოდში მას დაევალა სპარსეთში განსაკუთრებული სამხედრო-პოლიტიკური დავალების შესრულება, რომელიც მან თავისი ბუნებრივი სამხედრო-პოლიტოლოგიური ნიჭისა და აღმოსავლური ენების ცოდნის წყალობით, ბრნებინვალედ შეასრულა.

1904 წლიდან უკვე პორუჩიკია და იმავე წლიდან სწავლობდა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში, მაგრამ იაპონიასთან ომის დაწყების გამო, შეწყვიტა სწავლა და გაემგზავრა ფრონტზე, სადაც მეთაურობდა აღმოსავლეთ ციმბირის მე-19 პოლკის ასეულს.

1905 წლის 25 თებერვალს, სოფელ პუხესთან გამართული ბრძოლის დროს დაიჭრა მარცხენა ხელში და მიიღო კონტუზია ბრიზანტული ჭურვის აფეთქების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ მიიღო მძიმე ჭრილობები და კონტუზია, პოზიციები არ დატოვა, ეხმარებოდა დაჭრილებს და აგრძელებდა ბრძოლის მართვას.

მისი პირადი თავდადება არაერთხელ იყო ასახული მანჯურიის არმიის ჯარების მთავარსარდლის ბრძანებებში.

1907 წელს მიენიჭა შტაბს-კაპიტნის სამხედრო წოდება და მე-თაურობდა ლაიბ-გვარდიის კეკსპოლმის პოლკის ასეულს.

1908 წლის 26 ნოემბერს მიენიჭა კაპიტნის სამხედრო წოდება და დაინიშნა თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადი-უტანტის თანაშემწედ.

შემდეგ ხელმძღვანელობდა ოლქის შტაბის მე-4 (სადაზვერ-ვო) განყოფილებას. ასრულებდა საიდუმლო სამხედრო-სამეცნიე-რო და პრაქტიკულ დავალებებს მონღლოლეთში, ტიბეტში, კორეაში, ავღანეთში, შუა აზიაში -ბუხარში, კაშგარში, კერმიშში, კუშკაში, მერვში. გახსნა პანთურქისტ ემისრების შეთქმულება ტაშკენტსა და თურქესტანის სხვა ქალაქებში. ამ დავალების ბრნყინვალედ შესრულებისათვის ვადაზე ადრე ებოძა პოდპოლკოვნიკის სამ-ხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში, ომის დროს მსახურობდა თურქესტანის I საარმიო კორპუსის შტაბ-ში, დავალებათა შტაბ-ოფიცრად.

1914 წლის ოქტომბერ-1915 წლის იანვარში- დროებით ასრუ-ლებდა თურქესტანის I საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის თა-ნამდებობას.

1915 წლის იანვარ-1916 წლის ნოემბერში, იყო 76-ე ქვეითი დი-ვიზიის შტაბის უფროსი, თურქესტანის მე-2 მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსი, თურქესტანის მე-2 მსროლელ-საარტილერიო ბრიგადის შტაბის უფროსი.

1915 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1916 წლის 22 ნოემბერს - დაინიშნა თურქესტანის მე-8 მსრო-ლელი პოლკის მეთაურად.

რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ემხ-რობოდა რა ჯარში დემოკრატიული რეფორმების გამტარებლებს, 1917 წლის მაისში, არჩეულ იქნა პეტროგრადში, სრულიად რუსე-თის ოფიცერთა ყრილობაზე დელეგატად.

1917 წლის ივნისიდან მსახურობდა რუსეთის სამხედრო მინისტრის, ა.კერენსკის (1881-1970) კაბინეტში. ცოლად ჰყავდა ა.კერენსკის უმცროსი და - ანა (1879-1946) (ავტ. შენიშვნა).

1917 წლის 12 ივლისს დაინიშნა პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად.

იყო რუსეთის არმიაში სომხური ნაწილების შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

1917 წლის იანვარში არჩეულ იქნა სომხურ სამხედრო კომისად და სომხურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ. აქტიურად იყო დაკავებული სომხური საარმიო კორპუსის ფორმირებით.

ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლამდე, ღებულობდა ღონისძიებებს დროებითი მთავრობისადმი ერთგული ნაწილების კონცენტრაციის მხრივ, გასცა ბრძანება ჩრდილოეთის ფრონტის შტაბს, გამოემგზავრათ პეტროგრადში სპეციალური სამხედრო რაზმი (ბრძანება ფრონტის სარდლობის მიერ არ იქნა შესრულებული). შედეგად ბაგრატუნიმ შეძლო მხოლოდ მწირი სამხედრო ძალების შეგროვება.

1917 წლის ოქტომბერში, დროებითი მთავრობის მინისტრმა ნ.კიშკინმა (1864-1930), რომელმაც მიიღო ქალაქში წესრიგის დამყარების რწმუნებულება, პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის თანამდებობიდან გაანთავისუფლა პოლკოვნიკი გ.პოლკოვნიკოვი და მის ადგილზე დანიშნა უფრო ენერგიული გენერალი ბაგრატუნი, მაგრამ ვერც მან ვერ შეძლო ნეგატიური სიტუაციის განვითარების გარდატეხა.

ბოლშევიკებისათვის ოლქის შტაბის გადაბარების შემდეგ იგი გადადგა სამხედრო სამსახურიდან და იქნა დაპატიმრებული ზამთრის სასახლესთან.

იმყოფებოდა პატიმრობაში პეტრეპავლეს ციხესიმაგრეში, მაგრამ 1917 წლის 15 დეკემბერს იქნა განთავისუფლებული და მეორევე დღეს განაგრძო მოლვანეობა სომხური სამხედრო კომისრის თანამდებობაზე.

1917 წლის ბოლოს და 1918 წლის დასაწყისში განაგრძობდა მუშაობას საარმიო კორპუსის ფორმირების დარგში და კავკასიაში სომეს სამხედრო მოსამსახურების გაგზავნაში.

1918 წლის მარტში ჩამოვიდა ქ.ბაქოში, სადაც 15 მარტს მასზე მოხდა თავდასხმა, რის შედეგადაც მას გაუკეთდა ფეხის ამპუტაცია.

მიუხედავად უმძიმესი ჭრილობისა, მონაწილეობდა ბაქოს სომხური რაიონების დაცვის ორგანიზებაში, აზერბაიჯანულ პარტია „მუსავატის“ მიერ მოწყობილ აჯანყების დროს, და 1918 წლის შემოდგომის დასაწყისში მონაწილეობდა ბაქოს დაცვაში თურქი და აზერბაიჯანელი გაერთიანებული ძალებისაგან.

1918 წლის აგვისტოდან იყო ბაქოში რუსული ჯარების სარდალი, მეთაურობდა ბაქოს დაცვას. თურქეთის ჯარების შეტევის პირობებში, 1918 წლის 16 სექტემბერს სომხურ შეიარაღებულ ფორმირებებთან და ლტოლვილებთან ერთად იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა ბაქო და წასულიყო ქ.ენზელიში (ჩრდილოეთი სპარსეთი).

მაგრამ ბაქოდან თურქთა ჯარების წასვლის შემდეგ და ქალაქში 1918 წლის ნოემბერში ინგლისის ჯარების შესვლასთან დაკავშირებით, 1918 წლის ნოემბერში კვლავ დაბრუნდა და იქნა არჩეული სომხეთის დელეგაციის შემადგენლობაში პარიზში, სამშვიდობო კონფერენციაზე – სამხედრო მრჩევლად.

1919 წლის აგვისტოდან, იმყოფებოდა აშშ-ში სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მისიის თავმჯდომარედ. მისია მიმართული იყო აშშ-სთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობაზე მოსალაპარაკებლად.

1919 წლის ნოემბერში მისია ჩავიდა ნიუ-იორკში. გენერალი ბაგრატუნი ხედებოდა ბევრ ამერიკელ პოლიტიკურ და საზოგადო მოლვანეს, გამოდიოდა მიტინგებზე, ითხოვდა სომხეთისათვის დამარებას და სომხეთის სახელმწიფოს ოფიციალურ აღიარებას. მიუხედავად იმისა, რომ 1919 წლის დეკემბერ-1920 წლის იანვარში ბაგრატუნი მიიღო აშშ-ს სამხედრო მინისტრმა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, ამერიკულმა ხელისუფლებამ უარი სთქვა დახმარებაზე იმ ქვეყნისადმი, რომელმაც არ მიიღო ოფიციალური აღიარება. მისიის მიერ მუშაობის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საფრანგეთში.

1920 წელს დაინიშნა სომხეთის რესპუბლიკის ელჩად ინგლისში, სადაც ცხოვრობდა სიკვდილამდე. გარდაიცვალა ლონდონში. დაკრძალულია იქვე, ბრომტონის სასაფლაოზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო გიორგის იარაღით (1915 წლის 21 მაისი), „ნე.გიორგის“ IV ხარ. ორდენით („პრასნიშის აღებისათვის“ - 1917 წლის 23 ივნისი); და რუსეთის ორდენებით. ნე.სტანისლავის III (მახვილებითა და ბაფთით-1907), II (1914) და II (მახვილებით - 1915); ხარ.

ნე.ანას IV (მამაცობისათვის-1905), III (1912) და II ხარ. (მახვილებით - 1916);

ნე.ვლადიმერის IV (მახვილებითა და ბაფთით-1914) და III ხარ. (მახვილებით -1915).



გენერალ-მაიორ აკოფ ბაგრატუნის საფლავი  
ლონდონის ბრომფონის სასაფლაოზე

**33. გრიგოლის-ქავეშთოვი, თავადი  
(15.12. 1864- 1939)**

**გენერალ-მაიორი (1917)**



დაიბადა ქ.ტფილისში. გენერალ დავით ბებუთოვის ძმაა.

დაამთავრა ბაქეოს რეალური სასწავლებელი და სანქტ-პეტერბურგის კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1885 წელს. მსახურობდა ვარშავის საციხოვნო არტილერიაში.

1908-1910 წლებში მსახურობდა კავკასიის I სამთო-საარტილერიო დივიზიონის მე-2 ბატარეის მეთაურად.

1910-1913 წლებში მსახურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადის მე-2 ბატარეის მეთაურად.

1913-1914 წლებში მსახურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადის საარტილერიო პარკის უფროსად.

1914 წლის 6 მაისს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1918 წლის დეკემბერში იდგა აღრიცხვაზე საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიაში.

სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით.:

**ნმ.სტანისლავის I ხარ.(1906) და ნმ.ანას II ხარ.(1913).**



გაპრიელ გრიგოლის-ძე კორგანვის  
(03.05.1880-08.01.1954)

გევარალ-მაიორი (21.11.1917)

დაიბადა ტფილისში, გენერალ გრიგოლ კორგანვის (1844-1914) შვილია. განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში 1897 წელს, მიხეილის საარტილერიო სასწავლებელში 1900 წელს და გენერალური შტაბის აკადემიაში 1905 წელს. სამხედრო სასწავლებლიდან გამოშვების შემდეგ, 1899 წელს მსახურობდა მე-6 ცხენო-სან-საარტილერიო ბატარეაში.

1908-1909 წლებში მსახურობდა კავკასიის I საარმიო კორპუსის შტაბის უფროს ადიუტანტად.

1909-1913 წლებში მსახურობდა კავალერიის კავკასიის დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში (კავკასიის სამხედრო მოქმედებათა თეატრზე).

34 წლისას, 1914 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1914-1915 წლებში ასრულებდა 39-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობას.

1915-1916 წლებში ასრულებდა კავალერიის კავკასიის დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობას.

1916-1917 წლებში მეთაურობდა პერეიასლავის დრაგუნთა მე-15 პოლკს.

1917 წლის 10 სექტემბერს დაინიშნა კავალერიის მე-15 დივიზიის შტაბის უფროსად.

1917 წლის 5 ოქტომბერს დაინიშნა კავკასიის ფრონტის ჯარე-

ձու մտաვարսարդունու թիգածու մոռուց ցեղարլագ. գրանքունու դաժունու մեմբերը ցագազութա սոմեյտու հետապնդու կարմու, ուր პարունակու սայրաժողովունու կանուց արևունու սոմեյտու գեղացունու սամեյդարու մրհեցունու.

1920 նուն ծոլութան մուգրացուամու ուր. 1929 նուն դաարսա, եռու 1930-1934 նուն միու ուր „1914-1921 նուն պոտու սոմեյտ ուրու-պեր-կամիագութան կազմուրունու, սապագու տապացա գոմարե դա սագրանցե-տուն գուգու ալմուսացլութուն մասոնտա լույսա „France-Armenie“-ս նուրու.

1947-1949 նուն ցագութան գամութութա մռեսենցեցունու դա գուստունու մասոնտա լույսա „լուգութա“-մու. ազգուրու նուն ուր „Участие армян в Мировой войне на Кавказском фронте (1914-1918)“, պարունակու, 1927, (պրանշ. ենաթե).

Հաջուլութան ուր սագրանցետունու „Սապագու լուցունունու“ ուր-դանուտ. ցարդաւուցա պարունակու, դա կամացունու պարունակու, կեր-լա-Շենուն սասացլառունու.

Տաճրմունու դամսակարեցունու սատունու դա սամսակարեցունու նարհունցու-սատունու դաջուլութան ուր Ֆ. Ա. Մատանու կամ (1911), դա Ֆ. Վ. Ա. Մատանու (1917). ուրգյունցունու.





იოსებ ართვამის-ძე ქიშმიშევის  
(06.08.1881 - 28.03.1962)

გენერალ-მაიორი (1917)

გენერალ სტეფანე ქიშმიშევის ძმისშვილი. დაიბადა ტფილის-ში, სომეხი აზნაურის ოჯახში. დაამთავრა ტფლისის კადეტთა კორპუსი, ალექსეევის სამხედრო სასწავლებელი და ალექსანდრეს სამხედრო-იურიდიული აკადემია.

1898 წელს სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ლაიბ-გვარდიის ლიტვის პოლკში საარმიო კავალერი-ასთან მიმაგრებით.

1908 დაინიშნა კანდიდატად სამხედრო მოსამართლის თანამდებობაზე.

1909 წლიდან იყო სანქტ-პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სა-სამართლოს სამხედრო მოსამართლეობის კანდიდატი.

1911 წელს ვარშავის სამხედრო საოლქო სასამართლოს სამხედრო პროკურორის თანაშემწის თანამდებობიდან დაინიშნა კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს სამხედრო პროკურორის თანაშემწის თანამდებობაზე.

1915 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1916-1917 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს სამხედრო პროკურორის თანაშემწედ.

1918-1920 წლებში მსახურობდა სომხეთის რესპუბლიკის ჯარში.

1919 წელს იყო საქართველოში სომხეთის დიპლომატიური მისის სამხედრო წარმომადგენელი (სამხედრო ატაშე. ავტ. შენიშვნა).

1920 წელს გადავიდა საცხოვრებლად პოლონეთში.

სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოვდა **მმ.სტანისლავის**

**III ხარ. ორდ.**(1910).

გარდაიცვალა და დაკრძალულია ვარშავაში.



გრიგოლ ართემის-ძე შელამვენიკოვა  
(მეტაკსიანი)  
(28.07.1867-1920 ნ.ვ.)

გენერალ-მაიორი (30.09.1917)

დაიბადა ქ.ტფილისში.

განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში. ჯარში მსახურობდა 1885 წლიდან.

დაამთავრა პავლოვსკის I სამხედრო სასწავლებელი.

1886 წლიდან მსახურობდა ტამანის 150-ე ქვეით პოლკში.

1912 წლის 6 დეკემბერს მიერიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1914 წლამდე მსახურობდა ყაბარდოს მე-80 ქვეით პოლკში.

1914 წლიდან მსახურობდა ერევნის ლაიბ-გვარდიის მე-13 პოლკში.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915 წელს დაინიშნა კავკასიის მე-9 მსროლელი პოლკის მეთაურად.

იმავე წლის 7 დეკემბერს დაინიშნა ვალუისკის 290-ე ქვეითი პოლკის მეთაურად.

1918-1920 წლებში მსახურობდა სომხეთის არმიაში.

სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის თებერვალში დააპატიმრეს. მომდევნო ბედი უცნობია.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო „წმ.გიორგის“ IV ხარ. ორდენით (1916 წლის 7 იანვარს); და რუსეთის ორდენებით.

„წმ.სტანისლავის“ II ხარ. (1910); „წმ.ანას“ III ხარ.(1905); „წმ. ვლადიმერის“ IV (1915) და III ხარ. (მახვილებით - 1916).



III

გენერალ პ. ვრაგველის „რუსული არმია“  
(1920)



იოგანეს სიმონის-ძე ოსიარვი  
(29.10.1872- 04.12.1953)

გენერალ-მაიორი (1918)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის დაბა დუშეთში.

დაამთავრა ტფილისის ქვეითთა იუნკერთა სასწავლებელი 1898 წელს. მსახურობდა აფშერონის 81-ე ქვეით პოლკში.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

პოდპოლკოვნიკად ყოფნისას, დაჯილდოვდა ნმ.გიორგის, IV ხარ. ორდენით (1915 წლის 1 იანვარს).

1918 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

ჩრდილოეთ კავკასიაში ბრძოლების შემდეგ, 1920 წლის გაზაფხულზე თეთრი არმიის ნაწილებთან დაიხია საქართველო-სკენ, ხოლო შემდგომ - ყირიმში, სადაც სხვა ნაწილებთან ერთად იმყოფებოდა 1920 წლის ნოემბრამდე.

1920 წლიდან ყირიმიდან წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში.

პარიზში დააარსა აფშერონის 81-ე ქვეითი პოლკის ვეტერანთა გაერთიანება და პოლკის დიდების მუზეუმ-ეკლესია, რომ-ლებიც დღესდღეობით იმყოფება ნიუ-იორკში.

გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას სასაფლაოზე.



#### IV

**სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკა  
(1918-1920)**



კავლე პატრის-ძე ჩავახაგოვანი  
(29.01.1869 -1962)

გენერალ-მაიორი (1918)

დაიბადა ტფილისში, საკოლეგიო მრჩევლის ოჯახში.

განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში, კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელში და ნიკოლოზის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში 1896 წელს (I თანრიგით). სამხედრო სამსახურში შევიდა 1887 წელს.

მსახურობდა კავკასიის მე-4 მსროლელ ბატალიონში, ტფილისის იუნკერთა ქვეით სასწავლებელში ოცმეთაურად და მასწავლებლად იმავე სასწავლებელში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომში.

1905-1908 წლებში მსახურობდა კავკასიის ცხენოსანი ბრიგადის მმართველობის უფროს ადიუტანტად.

1908-1910 წლებში მსახურობდა ყურინის 79-ე ქვეით პოლკში.

1912 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1913-1914 წლებში მსახურობდა კავკასიის I მსროლელ პოლკში.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში. ომის დროს მსახურობდა კავკასიის მე-4 მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსად და კავკასიის მოხალისეთა I ბრიგადის შტაბის უფროსად. 1916 წლიდან მეთაურობდა I მსროლელ სომხურ ბატალიონს და კავკასიის 22-ე მსროლელ პოლკს.

რუსეთში ოქტომბრის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მსახურობდა სომხეთის რესპუბლიკის ჯარში. მეთაურობდა სომხურ მსროლელ ბრიგადას.

1918 წლის მარტში მონაწილეობდა ბრძოლებში ერზრუმთან, სომხეთ-თურქეთის ომის დროს.

სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლიდან მსახურობდა სომხეთის წითელ ჯარში საკლუბო განყოფილების ინსტრუქტორად, სამხედრო ორკესტრის უფროსად, კავკასიის ცალკეული არმიის შტაბის ცხენოსანი შემადგენლობის აღრიცხვის განყოფილების უფროსად და შტაბის სამობილიზაციო განყოფილების უფროსის თანაშემწედ.

1922-1923 წ. მსახურობდა შტაბის საჯარისო სამსახურის განყოფილების უფროსთან, დავალებათა შემსრულებლად. მოგვიანებით ოჯახთან ერთად ცხოვრობდა შუა აზიაში, ფერგანაში, სადაც მოღვაწეობდა სასწავლო დაწესებულებებში. სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს გადმოვიდა საცხოვრებლად თბილისში, სადაც გარდაიცვალა. (დაკრძალვის ადგილი უკრობია. ავტ. შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო რუსეთის ორდენებით. **ნმ.ანას IV** (1906), **III** (მახვილებითა და ბაფთით-1904) და **II ხარ.**(მახვილებით-1905), **ნმ.სტანისლავის II** (მახვილებით-1905), **ნმ.ვლადიმერის IV ხარ.** (მახვილებითა და ბაფთით-1911).



კონსტანტინე მიხეილის-ძე ღაგაზოვი

(საარუნი)

(29.03.1866-19.06.1928)

გევარალ-ლეიტენანტი (28.05.1919)

დაიბადა ტფილისში.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი, მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი და ოფიცერთა საარტილერიო სკოლა.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1884 წელს 39-ე საარტილერიო ბრიგადაში.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომში.

1907 წლიდან მეთაურობდა 21-ე საარტილერიო ბრიგადის მე-3 ბატარეას.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1914 წლის 25 ოქტომბერს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1915 წელს დაინიშნა კავკასიის არმიის შტაბის საარტილერიო ნაწილის გამგედ.

1916 წელს დაინიშნა კავკასიის | მორტირთა საარტილერიო დივიზიონის მეთაურად.

1918-1920 წლებში მსახურობდა სომხეთის ეროვნულ კორპუსში, მეთაურობდა | მსროლელ პოლკს ყარაყლისის ბრძოლაში.

**1918 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.**

სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის თებერვალში დააპატიმრეს ერევანში და გაამგზავრეს ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში ქ. რიაზანში. მოგვიანებით გაანთავისუფლეს.

ცხოვრობდა ტფილისში, თავის სახლში. გარდაიცვალა იქვე. დაკრძალულია ძველი ვერის სასაფლაოზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო დარუსეთის ორდენებით.

**ნმ.ანას II ხარ.(1905), ნმ.სტანისლავის II (1900), ნმ.ვლადიმერის III ხარ. (1915) ორდენებით.**



კონსტანტინე გეგლარის-ქ  
ფოლუხანოვი  
(24.10.1871-02.11.1958)

გენერალ-მაიორი (25.05.1918)

დაიბადა ტფილისში.

საერთო განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში.  
სამხედრო სამსახურში შევიდა 1890 წელს.

დაამთავრა კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელი სანქტ-პეტერბურგში.

1891 წლიდან მსახურობდა ყარსის ციხის არტილერიაში.

1912 წელს დაინიშნა 31-ე საარტილერიო ბრიგადის | ბატარეის  
მეთაურად.

1912-1916 წლებში მსახურობდა 19-ე საარტილერიო ბრიგადის  
მე-6 ბატარეის მეთაურად.

მონაწილეობდა 1914-1918 წლების პირველ მსოფლიო ომში.

1916 წლის 1 იანვარს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო  
წოდება. მთელი ომის დროს მეთაურობდა 49-ე ცალკეულ მძიმე  
საარტილერიო დივიზიონს.

1919 წლიდან მონაწილეობდა „თეთრ მოძრაობაში“,  
მსახურობდა „მოხალისეთა არმიის“ შტაბში.

1920 წელს წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა და გარდაიცვალა  
იუგოსლავიაში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო  
„წმ. გიორგის“ IV ხარ. ორდენით (13.01.1915) და გიორგის ოქროს  
იარაღით (11.12.1916).

და რუსეთის ორდენებით. „წმ.სტანისლავის“ II ხარ.(1911); „წმ.ანას“ IV ხარ. („მამაცობისათვის“ - 1916), III (1907) და II ხარ. (მახვილებით-1915); „წმ.ვლადიმერის“ IV (მახვილებითა და ბაფთით-1915) და III ხარ. (მახვილებით - 1916).

გიორგი ესაიას-ძე ხაცეალამოვი  
(18.04.1867-1922 ნ.შ.)

გენერალ-გაიორი (1918)



დაიბადა ქ.ტფილისში, ვაჭრის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და ალექსანდრეს  
მე-3 სამხედრო სასწავლებელი.

1886 წლიდან მსახურობდა 155-ე ყუბანის ქვეით პოლკში,  
მე-16 მინგრელსკის გრენადერთა პოლკში (1891), 152-ე ვლად-  
იკავკაზის ქვეით პოლკში (1892-1893) და ტიფლისის გრენადერთა  
მე-15 პოლკში. ეკავა ბატალიონის ადიუტანტის და საპოლკო  
სასამართლოს საქმისმნარმოებლის თანამდებობები.

1901-1902 წლებში მსახურობდა კრასნოვოდსკის მე-8 სარე-  
ზერვი ბატალიონში.

1902-1905 წლებში მეთაურობდა ამავე ბატალიონის ასეულს.

1905 წელს დაინიშნა ყარა-კალინის მაზრის უფროსად (შუა  
აზიაში) და ადგილობრივი ლაზარეთის უფროსად.

1905-1910 წლებში მსახურობდა ფორტ ალექსანდროვსკის  
გარნიზონის უფროსად, სამხედრო უფროსად და ადგილობრივი  
ლაზარეთის უფროსად.

1911 წელს დაამთავრა ოფიცერთა შსროლელი სკოლა.

1912 წელს მიავლინეს სპარსეთში.

1914 წელს დაინიშნა თურქესტანის მე-19 მსროლელი პოლკის  
მე-2 ბატალიონის მეთაურად.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში, იბრძოდა კავკასიის სამხედრო მოქმედების თეატრზე.

1916 წლის 20 იანვარს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა

**ნე.გიორგის IV ხარ. ორდენით (07.01.1916) და გიორგის ოქროს იარაღით (08.08.1916).**

1916-1917 წლებში მეთაურობდა თურქესტანის მე-18 მსროლებლ პოლკს.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ აღმოჩნდა ერევანში. 1918 წლიდან იბრძოდა სომხეთის ნაციონალურ კორპუსში.

1920 წლის აგვისტოდან მეთაურობდა ყარსის მე-2 ბრიგადას.

დაჯილდოებული იყო და რუსეთის ორდენებით.

„ნე.სტანისლავის“ III (1906), II (1911), მახვილებით II ხარ. (1915), „ნე.ანას“ III (1909), II (1912), მახვილებით II ხარ.(1915),

„ნე.ვლადიმერის“ IV (მახვილებითა და პათით-1915) და III ხარ. (1916).

მიღებული ჰქონდა ბუხარის „ამომავალი მზის“ II ხარ. (1903).



V

საბჭოთა კავშირი

(1940 – 1991)



გაგრატ ნიკოლოზის-ძე არუთილოვი  
(31.10.1889 – 24.01.1953)

। რანგის გზათა მიმოსვლის ვიცე-გენერალ-დირექტორი - სარკინიგზო

სოციალისტური მუშაობის მინისტრი პერსონალური წოდება, რომელიც

არსებობდა საბჭოთა კავშირში 1943-1954 წ. უტოლდებოდა არმიის გენერლის სამხედრო წოდებას.

დაიბადა ტფილისში, ხელოსნის ოჯახში. დაამთავრა 2-წლიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, შემდეგ საქალაქო სასწავლებელი და 1907 წელს, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის საზეინლკო-მექანიკური განყოფილება. მუშაობა დაიწყო მექანიკური ქარხნის ზეინკლად.

1909 წელს გადავიდა სამუშაოდ სახელოსნო სასწავლებელში (სადაც თვითონ სწავლობდა), ხელოსნის თანაშემწედ.

1925 წლის მაისში დაინიშნა საფაპრიკო-საქართველოს სასწავლებლის უფროსად, რომელიც შემდგომში რეორგანიზებულ იქნა სახელოსნო სასწავლებელში.

1928-1931 წლებში იმყოფებოდა პროფესიონულ სამუშაოზე. მუშაობდა განათლების მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად, შემდეგ კი საქართველოს პროფესიონულების საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად.

1931 წელს, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით, არუთინოვი იქნა დამტკიცებული ტფილისის ორთლქმავალ-სარქმონტო ქარხნის უფროსად.

1933 წელს იქნა არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და დაინიშნა ჭიათურის მანგანტრესტის მმართველად. თანამდებობა იყო ძალზე საპასუხისმგებლო, რადგან ჭიათურა მაშინ ითვლებოდა ლამის ერთადერთ გამოკვლეულ საბადოდ საბჭოთა კავშირში. არუთინოვი ცდილობდა გაემართლებინა ის ნდობა, რომელიც მას ანდეს და ამიტომ, რადგან არ იყო თავისი საქმის სპეციალისტი, დაწვრილებით შეისწავლა მეტალურგიული წარმოება.

1937 წლის ოქტომბერში არუთინოვი დაინიშნა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსად. მთელი თავისი ენერგია და ადმინისტრაციული შესაძლებლობები არუთინოვმა გამოავლინა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის თანამდებობაზე.

მისი ინიციატივით რკინიგზაზე დაინერგა პეტრე კრივონოსოვის (1910-1980) მუშაობის მეთოდები. ამან გააუმჯობესა ორთქლმავალთა პარკის მუშაობა, მისცა შესაძლებლობა აემაღლებინა საბარგო ტვირთბრუნვა და გაეზარდა ორთლქმავალთა სადღელა-

მისო გარბენა. თბილისი-ხაშურის ურთულეს მონაკვეთზე გამოყენებული იქნენ ელექტრომავლები. არუთინოვი დიდ ყურადღებას უთმობდა ნოვატორთა მუშაობას. ზუსტად მაშინ გაითქვეს სახელი მემანქანებმა **გელაძემ, ნიკლაურმა, ხაჩათრიანმა, რომლებსაც 1943 წელს მიერიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.**

1939 წლის 1 აპრილს არუთინოვი დაინიშნა საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სახალხო კომისრის მოადგილედ, ხოლო იმავე წლის ბოლოს კი დამტკიცებულ იქნა სახალხო კომისრის I მოადგილედ. დაკავებული იყო რა საქმიანობით პოლიტბიუროს ხაზით, ის ერთდღოულად ასრულებდა ნავთობის, შემდეგ კი სათბობ მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობებს.

1941 წლის 22 ივნისს, სტალინთან საგანგებო თათბირის შემდეგ, არუთინოვი და სახალხო კომისრის სხვა მოადგილები სელექტორული კავშირით ადგენდნენ საზღვრისპირა გზებზე შექმნილ მდგომარეობას, ისახავდნენ სარკინიგზო ტრანსპორტის ომის პირობებში გადასვლის გადაუდებელ ზომებს.

1941 წლის ივლისში არუთინოვი გზათა მიმოსვლის სამინისტროს ხაზით იქნა შეყვანილი ახლად შექმნილ ევაკუაციის საბჭოში. ომის დროს გზათა მიმოსვლის ორთქლმავალ და სავაგონო სამმართველოების გარდა, არუთინოვი კურირებდა სარკინიგზო ტრანსპორტის ქარხნების მუშაობას და პასუხს აგებდა ამ ქარხნებზე საბრძოლო მასალების წარმოებაზე. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ის გახადეს პასუხისმგებელი ფრონტისათვის და თავდაცვის მრეწველობისათვის ნავთობპორდუქტების მიწოდების საკითხებში. სავარაუდოდ არუთინოვი იყენებდა იმ გამოცდილებას, რომელიც მან მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზაზე, რომელიც მთელი ომის მანძილზე ამარაგებდა მთელ საბჭოთა კავშირს საწვავით, ნავთით, მაზუთით და სხვა მასალებით.

1941 წლის ოქტომბერში არუთინოვს დაეკისრა გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის აპარატის ევაკუაციის ხელმძღვანელობა და, ოპერატიული კავშირი ყველა სახალხო კომისარიატებთან და სარკინიგზო გზებთან.

1942 წლის 14 თებერვალს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტ-თან შეიქმნა სატრანსპორტო კომიტეტი, სტალინის ხელმძღვანელობით. კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილი იქნა არუთინოვიც. არუთინოვის ავტორიტეტზე, როგორც თავისი საქმის სპეციალისტისა, ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ როცა გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარად ინიშნებოდა ხრულიოვი, პოლიტბიუროს ერთერთმა წევრმა გაუსვა ხაზი იმას, რომ ხრულიოვი „არაა რკინიგზელი, და როგორ შეიძლება ის დაინიშნოსო გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარადო?“ სტალინმა კი წამოიძახა ადგილიდან „**მერე რა, იქ ხომ არუთინოვი არისო**“.

თვითონ ხრულიოვი, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფო მოღვაწის დიდი გამოცდილება, სწავლობდა სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობის ყველა დეტალს, ეკითხებოდა არა მხოლოდ არუთინოვს, არამედ დარგის სხვა სპეციალისტებსა და ხელმძღვანელს. მაგრამ მისი უპირველესი თანაშემწეო იყო არუთინოვი და არა მხოლოდ თანამდებობრივადაც.

არუთინოვი იყო რა სახალხო კომისარის მოადგილე, მრავალჯერ იმყოფებოდა მივლინებებში სარკინიგზო ხაზის ყველაზე რთულ მონაკვეთებზე და წყვეტდა ადგილზე გადაუდებელ საკითხებს.

ასე იყო 1942 წლის ივლისში, სტალინგრადთან და ჩრდილოეთ კავკასიაში. კერძოდ, უნდა დაეჩქარებინათ სტალინგრადის ოლქიდან, საითაც მიიწვედა მოწინააღმდეგე, პურის მარაგის გატანა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასაწყვეტი იყო ფრონტისათვის და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისათვის ნავთობპროდუქტების გადაზიდვის საკითხები, დაეჩქარათ ყიზლარ-ასტრახანის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. ევაკოტვირთების, მარგანეცის და ნავთობის კრასნოვოდსკში და კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე გადაზიდვის სამუშაოთა უკეთესი ორგანიზაციისათვის არუთინოვი დაღესტნიდან ჩამოვიდა ბაქოში. ყოველდღიურად მისი ხელმოწერით, გზების უფროსებთან მიდიოდა მითითებები და ოპერატიული განკარგულებები. არუთინოვი ხელმძღვანელობდა სარკინიგზო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1943 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით „განსაკუთრებული დამსახურებისათვის ფრონ-

ტისათვის და სახალხო მეურნეობისათვის გადაზიდვების უზრუნველყოფის საქმეში და, მიღწევებისათვის სამხედრო დროის ურთულეს პირობებში სარკინიგზო მეურნეობის აღდგენის საქმეში ბაგრატ ნიკოლოზის-ძე არუთინოვს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ლენინის ორდენისა და ოქროს მედლის „ნამგალი და ჩაქუჩის“ გადაცემით.

ომის შემდეგ, 1946 წლის იანვარში, არუთინოვი დაინიშნა კავკასიის ოლქის (სადაც შედიოდა ჩრდილო-კავკასიის, ორჯონიგიძის და ამიერკავკასიის მაგისტრალები), სარკინიგზო გზების უფროსად.

1951 წელს დაინიშნა შავი მეტალურგიის მინისტრის მოადგილედ ტრანსპორტის დარგში.

განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რომელიც მან მიაღწია თავისი დარგის განვითარების საქმეში, მთავრობის და სამხედრო სარდლობის დავალებების შესრულებისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის (1939, 1942, 1943), კუტუზოვის I ხარ.(1945), სამამულო ომის I ხარ. (1945), ამიერკავკასიის ფედერაციის შრომის წითელი დროშის (1932) ორდენებით.

გარდაიცვალა მოსკოვში, დაქრძალულია იქვე, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე ( მე-2 ნაკვ., 38-ე რიგი, მე-13 საფლავი).



ბ.ნ.არუთინოვის საფლავი მოსკოვის ნოვოდევიჩის  
სასაფლაოზე



პ.ნ.არუჟენცევი საალლუმე მუნდირში



მიხეილ ნიკოლოზის-ძე არუთინოვი  
(19.09.1906-1995)

გენერალ-მაიორი (18.02.1958)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, დაბა სიღნალში, ლვინის სარ-დაფის მეპატრონის ოჯახში. 1923 წელს გადავიდა საცხოვრებლად სიღნალიდან ტფილისში, სადაც ერთდროულად დაიწყო მუშაობა წარმოებაზე და სწავლა ტფილისის მე-2 საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ, დაიწყო მუშაობა ფიზკულტურის და სპორტის ინსტრუქტორად საქართველოს კომიკავშირის სამაზრო კომიტეტში.

1927 წელს შევიდა ამიერკავკასიის ქვეით სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა კავკასიის მე-3 მსროლელი დივიზიის, ლორეს მე-7 წითელდროშოვან სამთო-მსროლელ პოლკში.

1935 წელს დაწინაურებულ იქნა საზენიტო-სატყვიამფრქვევო პოლკის ბატალიონის მეთაურად და გაგზავნილ იქნა მოსკოვში, წითელი არმიის საზენიტო-სატყვიამფრქვევო სამეთაურო შემადგენლობის დახელოვნების კურსებზე.

1939 წელს გადმოყვანილ იქნა ქ.სოხუმში (აფხაზეთის ასსრ), მსროლელ-მეტყვიამფრქვევთა სასწავლებელში, სასწავლო ნაწილის უფროსის თანამდებობაზე და კურსანგთა ბატალიონის მეთაურად.

საბჭოთა კავშირის (1941-1945) წლების დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე არუთინოვი აყალიბებს 834-ე მსროლელ პოლკს, რომელიც შევიდა მე-400 მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, მოწინააღმდეგის კონტრშეტევის უკუგდებისას მძიმედ დაიჭრა.

1942 წელს მაიორი არუთინოვი დაინიშნა ვორონეჟის ფრონტის, მე-60 არმიის, 107-ე მსროლელი დივიზიის, 516-ე მსროლელი პოლკის მეთაურად, რომელიც ანარმოებდა მძიმე ბრძოლებს ვორონეჟის ჩრდილო-აღმოსავლეთის მისადგომებთან. მძიმე ბრძოლისას არუთინოვი დაიჭრა ნაღმის ნამსხვრევით.

1943 წლის თებერვალში მას მიენიჭა პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება. კურსკის ბრძოლის მსვლელობისას მძიმედ დაიჭრა. ლამის მთელი წელინადი ექიმები იბრძოდნენ მისი სიცოცხლისათვის.

1944 დასაწყისში არუთინოვი დაბრუნდა მწყობრში და განაგრძობდა ბრძოლას მონინააგმდეგესთან. მალევე ის დაინიშნა 261-ე მსროლელი დივიზიის, 876-ე მსროლელი პოლკის მეთაურად. მთელმა მისმა ომისშემდგომმა სამხედრო სამსახურმა გაიარა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში. დიდხანს მეთაურობდა პოლკეს.

1952 წელს პოლკოვნიკება არუთინოვმა დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიასთან არსებული აკადემიური კურსები, რის შემდეგ დაინიშნა ჯერ მოტომსროლელი შენაერთის მეთაურის მოადგილედ, ხოლო შემდეგ მეთაურად.

1962 წელს ჯანმრთელობის გამო გენერალ-მაიორი არუთინოვი გავიდა თადარიგში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო 2 ლენინის, 2 ნითელი დროშის, ნითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I ხარ.(1985) ორდენებით.



**მიკილტიჩ აშოტის-ძე აგრაშიანი**  
(18.12.1939-11.01.2008)

**გენერალ-ლეიტენანტი (17.10.1997)**

დაიბადა ქ. ახალქალაქში (საქართველოს სსრ).

1958-1992 წლებში მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში, სადაც განვლო გზა ლეიტენანტიდან გენერალ-მაიორამდე.

1962 წელს დაამთავრა ჩერეპოვეცის კავშირგაბმულობის სამხედრო სასწავლებელი, ხოლო 1976 წელს კავშირგაბმულობის აკადემიის კურსები.

1985 წელს დაამთავრა ვოროშილოვის სახ. გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია.


#### **1991 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.**

1992 წლიდან მსახურობდა სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. იმავე წელს დაინიშნა სომხეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის I მოადგილედ, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

1995 წელს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული სამმართველოს ხელმძღვანელად - დავალებათა გენერლად.

2000 წელს დაინიშნა თავდაცვის მინისტრის მრჩევლად, შემდეგ კი მთავარი სამხედრო ინსპექტორის I მოადგილედ. 2002 წელს გავიდა თადარიგში.

დაჯილდოებული იყო საბჭოთა წითელი ვარსკვლავის ორდენით და სომხეთის რესპუბლიკის ორდენებით.



გენერალ მ.აბრამიანის საფლავი  
თოხმახის სასაფლაოზე



მიხეილ ივანეს-ძე აღაიანცი  
(21.12.1906-21.08.1959)

გენერალ-მაიორი (21.12.1954)

დაიბადა ქ.ტფილიშვილი, მასწავლებლის სადაც გაატარა ბავშვობის წლები, შემდეგ ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად ქ.ელიზავეტპოლში (დღ.ქ.განჯა).

1920-1923 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის დივიზიის მე-3 მსროლელ პოლკში (სადაც ირიცხებოდა პოლკის შვილობილად, რადგან იყო 14 წლის).

1923 წელს დაამთავრა საბჭოთა პარტიული სკოლის კურსი და 1923-1927 წლებში იმყოფებოდა პიონერულ და კომკავშირულ მუშაობაზე.

1927-1928 წლებში მუშაობდა სომხეთის სახელმწიფო პოლიტსამართველობიში, უფროს საქმისმნარმოებლად.

1928 წელს გაწვეულ იქნა ჯარში და 1929 წლამდე მსახურობდა აზერბაიჯანის მე-2 მსროლელ პოლკში - მწერლად და პოლკის სამსედრო კომისირის მდივნად.

1929-1930 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის საოლქო კომიტეტის განყოფილების მდივნად.

1930 წელს დაინიშნა განჯის კარაქსადნობი ქარხნის სპეცგანყოფილების უფროსად, არაერთხელ იმყოფებოდა სპეცმი-ვლინგებებში, შედიოდა ბანდდაჯგუფებათა ლიკვიდაციის სპეცჯგუფების შემადგენლობაში, მონაწილეობდა პურდამზადებაში.

1930 წლიდან მუშაობდა მოსკოვში, ქარხანა „კომეტა“ კადრების განყოფილების უფროსად, საქმეთა მმართველად.

1932-1959 წლებში მსახურობდა უშიშროების სისტემის ცენტრალურ აპარატში მოსკოვში, სადაც 1954 წლამდე ეკავა სახელმწიფო უშიშროების კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა.

1944 წლის 12 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1954-1959 წლებში მსახურობდა სომხეთის სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

1959 წელს ჯანმრთელობის გამო გავიდა თადარიგში და ცხოვრობდა ქ. მოსკოვში.

გარდაიცვალა იქვე. დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

მინიჭებული ჰქონდა „სომხეთის სსრ საპატიო მოქალაქის,, წოდება.

დაჯილდოებული იყო: „წითელი დროშის“ (1950), „წითელი ვარსკვლავის“ (1944), „სამამულო ომის“ II (1945, 1945) და । ხარ. და „საპატიო ნიშნის“ (1943) ორდენებით. მედლოთ „მამა-ცობისათვის“ (1940),

„საპატიო ჩეკისტის“ (1938) და „სახელმწიფო უშიშროების საპატიო თანამშრომლის“ (1957) სამკერდე ნიშნებით.



გენერალ მ.ალაიანცის საფლავი  
ნოვოდევიჩის სასაფლაოზე



ზარმაირ მამიკონის-ძე არვანოვი  
(15.04.1915-01.02.1997)

კონტრ-ადმირალი (07.05.1960)

დაიბადა ტფილისში, რკინიგზის მუშის ოჯახში.

ტფილისის 41-ე შრომითი სკოლის 7 კლასის დამთავრების შემდეგ, გააგრძელა სწავლა საქართველოს საფაბრიკო სასწავლებელში, სადაც მიიღო 9 კლასის განათლება და ზეინკალ-ინსტრუმენტალისტის ტიპის სპეციალობა.

1932-1933 წლებში მუშაობდა ტფილისის ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნის საინსტრუმენტალო სამქროში, სადაც იყო „ოსოავიაქტის“ სამხედრო ორგანიზატორი.

1933 წელს, კომკავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საგზურით, გაიგზავნა ფრუნზეს სახ. ლენინგრადის უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში.

1938 წელს დაამთავრა სასწავლებელი I თანრიგით და დაინიშნა კრონშტადტში, წყალქვეშა ნავების ბრიგადის ჯგუფის მეთაურად ნავ „C-1“-ზე.

1942 წლის 19 ივლისს, კაპიტან-ლეიტენანტი არვანოვი დაინიშნა სახელგანთქმულ ნავ -„K -21“-ზე, ნავის უფროსის თანაშემნედ. პირველსავე საბრძოლო ლაშქრობაში ნავმა გაანადგურა მონინაალმდეგის 3 სადარაჯო გემი. მის ანგარიშზე იყო 7 საბრძოლო ლაშქრობა, წითელდრომოვან წყალქვეშა ნავ -„K -21“ -ზე, ჯერ როგორც ნავის უფროსი თანაშემნის თანამდებობაზე, ხოლო 1943 წლიდან როგორც მეთაურისა.

1945 წელს III-ე რანგის კაპიტანი არვანოვი დაინიშნა სპეცრაზ-მში, რომელსაც უნდა მიეღო დიდი ბრიტანეთის სამხედრო საზღვაო ძალებისგან გერმანული ფლოტის წყალქვეშა გემები, რომლებიც ჩაბარდნენ ინგლისს.

1951 წელს დაინიშნა შენაერთის შტაბის უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ ბალტის ფლოტის შტაბის უფროსის თანაშემწედ.

1953 წელს I რანგის კაპიტანი არვანოვი სათავეში ჩაუდგა ფლოტის მსხვილ სასწავლო შენაერთს, რომელიც ამზადებდა კადრებს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის.

1960 წელს კონტრ-ადმირალი არვანოვი დაინიშნა ძერუინსკის სახ. ლენინგრადის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის უფროსის I მოადგილედ.

1963 წელს ჯანმრთელობის გამო კონტრ-ადმირალი არვანოვი გავიდა თადარიგში.

1963-1992 წლებში მუშაობდა გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტროს, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს საინჟინრო სამსახურის უფროსად.

1992 წლიდან ჯანმრთელობის გამო მუშაობდა იქვე, საზოგადოებრივ საწყისებზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო ნითელი დროშის (1943, 1944), 2 ნითელი ვარსკვლავის, ნახიმოვის, II ხარ. (1944), სამამულო ომის, I ხარ. (1985) ორდენებით.

დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, ბოგოსლოვსკის სასაფლაოზე.



მასროვ ააეტის-ძე არზუმანიანი  
(დ.1923-1981ნ.შ.)  
საინჟინორ-ტექნიკური სამსახურის  
გენერალ-მაიორი (23.02.1981)

დაიბადა ქ.ტფილისში, ხელოსნის ოჯახში.  
მონაწილეობდა 1941-1945 წწ. საბჭოთა კავშირის დიდ სამა-  
მულო ომში.

**ევგენი ზაქარიას-ძე ასაფშვილი**  
(29.12.1913 – 21.04.1985)

**საინ.-ტექ.სამს. გენერალ-მაიორი**  
(09.05.1961)



დაბადა ტფილისში. 1938 წელს დაამთავრა თბილისის ელექტროკაუჭირის ინჟინერთა ინსტიტუტი. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის (1941-1945) წლების დიდ სამამულო ომში, უკრაინის, მოლდავეთის, რუმინეთის და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში.

ომის შემდგომ პერიოდში ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, მოღვაწეობდა უმაღლეს საინჟინრო სამეთაურო სასწავლებელში. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო.

ნითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის I და II ხარ. ორდენებით და ჩეხოსლოვაკიის საბრძოლო ჯვრით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. მოსკოვში.



გრიგოლ აკიშის-ძე გვარანვი  
(1897-14.05.1965)

გენერალ-მაიორი (09.07.1945)

დაიბადა ტფილისში, მკერავის ოჯახში.

1917 წელს დაამთავრა ტფილისის I კომერციული სასწავლებელი და 1918 წელს შევიდა ტფილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

1929 წელს ექსტერნად ჩააბარა 4 კურსის გამოცდები (რკინიგზის ექსპლუატაციის ინჟინრის სპეციალობით) ტფილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

1918-1919 წლებში მუშაობდა ტფილისში, თამბაქოს ქარხანა „Дым“-ში - ექსპედიტორად.

1919-1920 წლებში მსახურობდა სომხეთის არმიის, მე-11 სამთო ბატარეაში, საქმისმნარმოებლად მობილიზაციის დარგში (ერევნის გუბერნიის, სოფ. კაմარლიში).

1920 წლიდან მსახურობდა სომხეთის წითელ არმიაში, ერევნის სამხედრო ჰოსპიტლის ზედამხედველად.

1923 წლიდან მსახურობდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში, საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის ოპერატიული პუნქტის უფროსად (ქ. ტფილისი).

1923-1924 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო დაცვის ინსპექტორად.

1924-1931 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამართველოს დირექტორის მოადგილედ და სამობილიზაციო განყოფილების უფროსად.

1931 წლიდან მსახურობდა შინსახკომის სისტემაში.

1931-1934 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის რკინიგზის შინსახკომის, სადგურ ლენინაკანის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსად.

1934-1935 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის რკინიგზის, შინსახკომის, სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს, საგზაო-სატრანსპორტო ქვეგანყოფილების უფროსად.

1935-1937 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის ფედერაციის შინსახკომის, სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს, სატრანსპორტო განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსად.

1937-1938 წლებში მსახურობდა აფხაზეთის ასსრ, შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს, მე-3 ქვეგანყოფილების უფროსად.

1938-1939 წლებში მსახურობდა აფხაზეთის ასსრ შინსახკომის მოადგილედ.

1939-1940 წლებში მსახურობდა ლენინგრადის ოლქის შინსახკომის სამმართველოს, ნების ტრანსპორტის განყოფილების უფროსის მოადგილედ და ამიერკავკასიის რკინიგზის შინსახკომის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსის მოადგილის დროებით შემსრულებლად.

1940-1941 წლებში მსახურობდა ლენინგრადის ოლქის შინსახკომის, სამმართველოს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების (ქალაქის) უფროსად და ლენინგრადის ოლქის შინსახკომის სამმართველოს წყლის ტრანსპორტის განყოფილების უფროსად.

1941-1942 წლებში მსახურობდა შინსახკომის ოქტომბრის რკინიგზის სატრანსპორტო განყოფილების უფროსად.

1942-1943 წლებში მსახურობდა ლენინგრადის ოლქის შინსახკომის სამმართველოს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსად.

1943 წლის 14 თებერვალს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკის წოდება.

1944 წლის 12 ივლისს მიენიჭა „სახელმწიფო უშიშროების კომისრის“ სპეციალური წოდება.

1943-1944 წლებში მსახურობდა სტავროპოლის მხარის შინსახუმის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1944-1947 წლებში მსახურობდა ყაბარდოს ასსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრად (მინისტრად), ხოლო 1945-1947 წლებში ტიურინგიის მიწის (გერმანია) შინსახუმის-შსს-ს ოპერა-ტიული სექტორის უფროსად.

1947 წლის 10 დეკემბერს იქნა დაპატიმრებული.

1951 წლის 17 ოქტომბერს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე წლის 30 ოქტომბერს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჩამოერთვა „გენერალ-მაიორის“ წოდება „სამსახურებრივივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის და სოციალური ქონების დატაცებისათვის“.

1953 წლის 20 ივლისს იქნა განთავისუფლებული. იმავე წლის 15 აგვისტოს ის აღადგინეს გენერალ-მაიორის წოდებაში, სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, საქმის შეწყვეტით და მისი სრული რეაბილიტაციით,, შსს ორგანოდან დათხოვნილია 1953 წლის 1 აგვისტოს, ავადმყოფობის გამო.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის, (1945), წითელი დროშის (1944,1944,1944), სამამულო ომის II ხარ.(1944), წითელი ვარსკვლავის (1942), საპატიო ნიშნის (1943) ორდენებით.

მიღებული ჰქონდა შინსახუმის დამსახურებული მუშაკის (1942) სამკერდე ნიშანი, და ოქროს საათი წარწერით „საბჭოთა მთავრობის დავალების ბრწყინვალე შესრულებისათვის,,(1932).

გარდაიცვალა და დაიკრძალა თბილისში.

**გურგან არუთინის-ძე დალიგალთაიანი  
(05.06.1926 - 01.09.2015)**

**გენერალ-პოლკოვინი (04.06.1996)  
სომხეთის ეროვნული გმირი  
(2021, სიკვდილის შემდეგ)**



დაიბადა ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის, სოფელ დიდ არაგიალში (ახლ. ნინოწმინდის რაიონი, ავტ. შენიშვნა), გლეხის ოჯახში.

1944 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, გაიწვიეს საბჭოთა არმიაში და გააგზავნეს მახაჩყალას ქვეით სასწავლებელში.

1947-1951 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, ტამანის წითელდოროშოვანი 89-ე მსროლელი დივიზიის, 526-ე ცალკეული პოლკის ოცმეთაურად (ქ. ერმიაძინი).

1951-1956 წლებში მსახურობდა იმავე პოლკის სასწავლო ასეულის მეთაურად.

1956-1957 წლებში მეთაურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, 73-ე მექანიზირებული დივიზიის, 34-ე მსროლელი პოლკის ასეულს (ქ. ერევანი).

1957-1958 წლებში მსახურობდა იქვე, ბატალიონის შტაბის უფროსად.

1961 წელს დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია.

1961-1963 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, 295-ე მოტომსროლელი დივიზიის, 135-ე პოლკის ბატალიონის მეთაურად. (ქ. პრიშიბი, აზერბაიჯანის სსრ).

1963-1965 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, მე-60 მსროლელი დივიზიის პოლკის მეთაურის მოადგილედ.

1965-1967 წლებში მსახურობდა იმავე პოლკის მეთაურად.

1967-1969 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, 23-ე მოტომსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილედ (ქ. კიროვობადი, აზერბაიჯანის სსრ).

1968 წლის 2 აგვისტოს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1969 წელს დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის, სამე-  
თაურო შემადგენლობის მომზადების უმაღლესი აკადემიური კურსები.

1969-1975 წლებში მსახურობდა ციმბირის სამხედრო ოლქის,  
242-ე მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად (ქ.აბაკანი).

**1971 წლის 22 დეკემბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.**

1975-1980 წლებში მსახურობდა სამხრეთის ჯარების ჯგუფის,  
შტაბის უფროსის | მოადგილედ (ქ.ბუდაპეშტი).

1978 წელს გახდა გენერალურ შტაბთან არსებული, უმაღლესი  
აკადემიური კურსების მსმენელი.

1980-1987 წლებში მსახურობდა ჩრდილი-კავკასიის სამხედრო  
ოლქის ჯარების სარდლის მოადგილედ საბრძოლო მომზადების  
დარგში (ქ.დონის როსტოკი).

1987-1991 წლებში იმყოფებოდა თადარიგში.

1991 წლიდან მსახურობდა სომხეთის რესპუბლიკის მინისტრ-  
თა საბჭოსთან არსებულ, თავდაცვის კომიტეტის მთავარი შტაბის  
უფროსად.

1991-1993 წლებში მსახურობდა სომხეთის შეიარაღებული ძა-  
ლების მთავარი შტაბის უფროსად – სომხეთის თავდაცვის მინისტ-  
რის I მოადგილედ.

**1992 წლის 29 მაისს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო  
წოდება.**

1993-2007 წლებში იყო სომხეთის პრეზიდენტის მრჩეველი –  
მთავარი სამხედრო ინსპექტორი.

2007 წლამდე მსახურობდა სომხეთის რესპუბლიკის თავდაც-  
ვის მინისტრის მთავარ მრჩევლად.

2007 წელს წლოვანების გამო გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო წითელი  
დროშის, წითელი ვარსკვლავის, სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამ-  
სახურისათვის III ხარ.

სომხეთის რესპებლიკის საბრძოლო ჯვრის I ხარ. (1998), ნერ-  
სეს შნორალის ორდენებით.

2001 წელს იქნა არჩეული ერევნის საპატიო მოქალაქედ.

დაკრძალულია ქ.ერევანში, ერაბლურის მემორიალურ სასაფლაოზე.

სოლომონ სტეფანეს-ძე ერამიანი  
(17.06.1909-12.10.1987)

გენერალ-მაიორი (1958)



დაიბადა ქ-ტფილისში.

1931 წლიდან მსახურობდა ჯარში, ჰაერსანინალო ჯარებში,  
საპარეო დაკვირვების და კავშირგაბმულობის ჯარებში. (BHOC)  
ჯარში მსახურობდა 1961 წლამდე.

1961 წელს გავიდა პენსიაში.

დაჯილდოებული იყო ლენინის (1956) წითელი დროშის, (1951)  
წითელი ვარსკვლავის (1946) და სამამულო ომის ხარ. ორდენით  
(1944, 1985), და მედლით „საბრძოლო დამსახურების“ (1944).

გარდაიცვალა ქ-კიევში. დაკრძალულია იქვე.



ობადეს მისაკის-ძე ვართამოვი  
(23.01.1923-22.09.2019)

იურიევ-გევრალ-ლეიტენანტი (1984)

დაიბადა ტფილისში. 1941 წელს დაამთავრა ბუინაქსკის ქვეითი სასწავლებელი და 1955 წელს სამხედრო-სატრანსპორტო აკადემია.

საბჭოთა ჯარში მსახურობდა 1939 წლიდან. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის (1941-1945) წლების დიდ სამამულო ომში.

ომი დაამთავრა მე-2 უკრაინის ფრონტის, 141-ე მსროლელი დივიზიის, საავტომობილო სამსახურის უფროსად.

1980-1984 წლებში მსახურობდა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (საბჭოთა ჯარების შეზღუდულ სამხედრო კონტინგენტში), თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული ჯგუფის შემადგენლობაში. დაკავებული იყო, როგორც მე-40 არმიის, ისე ავღანეთის არმიის საავტომობილო ტექნიკის რემონტის ორგანიზაციის საკითხებით.

1984-1986 წლებში მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს მთავარი საავტომობილო სამმართველოს უფროსის მოადგილედ – მთავარი ტექნიკური სამმართველოს მთავარ ინჟინრად.

1986 წლის სექტემბერში გავიდა თადარიგში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო 2 წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I ხარ.(1985), შრომის წითელი დროშის, 2 საპატიო ნიშნის, საპატიო ორდენით (რუსეთის ფედერაცია), ბულგარეთის ორდენით „9 სექტემბერი“ (მახვილებით).



სერგო ალექსანდრე-ქა ვართაძე  
(12.06.1932-07.06.1990)

სამედ.სამს.გენერალ-მაიორი  
(19.02.1982)

დაიბადა ტფილისში. დაამთავრა თბილისის 43-ე ვაჟთა საშუალო სკოლა 1951 წელს და იმავე წელს ჩააბარა ლენინგრადის კიროვის სახ. სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო ექიმად.

1966 წელს დაამთავრა ლენინგრადის კიროვის სახ. სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ექიმთა დახელოვნების ფაკულტეტი (საინფექციო დაავადებებში).

1966-1975 წლებში მსახურობდა 114-ე საოლქო სამხედრო პოს-პიტლის ინფექციური განყოფილების უფროსად.

1975-1979 წლებში მსახურობდა 114-ე საოლქო სამხედრო პოს-პიტლის უფროსად.

1979-1986 წლებში მსახურობდა მოსკოვის ჰაერსანინალო თავ-დაცვის, მოსკოვის ოლქის სამედიცინო სამსახურის უფროსად.

1986 წელს გავიდა თადარიგში.

მინიჭებული ჰქონდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დაკრძალულია მოსკოვში.

დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით.



ლევონ მიკირთიშვილის-ქა ვართანიანი  
(14.04.1924-2013)

გენერალ-მაიორი

დაიბადა ქ.ტფილისში.

1929 წლიდან ცხოვრობდა ოჯახთან ერთად ქ.ლენინაკანში.

1942 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა ორჯინიკიძის შინსახკომის თანამშრომელთა გადამზადების სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ლენინაკანში, გარეთვალთვალის მზვერავად, 1943-1944 წლებში სწავლობდა თბილისის შინსახკომის სპეცსკოლაში.

1944-1954 წლებში მსახურობდა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში, 1946 წლიდან (სამინისტროში)

1954-1957 წლებში სწავლობდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს სკოლაში.

1957 -1971 წლებში მსახურობდა ალტაის მხარის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამმართველოში რწმუნებულის მოადგილედ.

1971-1974 წლებში მსახურობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, საინსპექტორო სამმართველოს უფროს ინსპექტორად.

1974-1979 წლებში მსახურობდა იმავე სამმართველოს მე-3 განყოფილების უფროსად.

1979-1983 წწ. მსახურობდა იმავე სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1983 წელს გავიდა პენსიაზე.

დაკრძალულია მოსკოვში, ტროკუროვოს სასაფლაოზე.

დაჯილდოებულია 2 წითელი ვარსკვლავის ორდენით და სახელმწიფო უშიშროების საპატიო თანამშრომლის სამკერდე ნიშნით (1976).



**ივანე დავითის-ძე ვაჟალოვა  
(06.12.1894-16.06.1953)**

**არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი  
(15.07.1943)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, სოფ. ცარსკი კოლოდეცში (ახლ.ქ. დედოფლისწყარო, ავტ. შენიშვნა).

1912 წელს დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი.

1914 წელს დაამთავრა პეტროგრადის საარტილერიო სასწავლებელი.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში, ლებულობდა მონაწილეობას სარიყამიშის ბრძოლაში, კავკასიის სამხედრო მოქმედებათა თეატრზე.

1918 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში.

1925 წელს დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი საარტილერიო სასწავლებელი.

1925-1930 წლებში მსახურობდა სომხეთის სამთო-მსროლელი დივიზიის პოლკის მეთაურად.

1939-1940 წლებში მონაწილეობდა სსრკ-ფინეთის ომში.

მონაწილეობდა (1941-1945) წლების სსრკ დიდ სამამულო ომში.

1941 წელს მსახურობდა სამხრეთის ფრონტის არტილერიის შტაბის უფროსად.

1942 წლის 10 იანვარს მიენიჭა „არტილერიის გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა ოდესის დაცვაში, სტალინგრადის ბრძოლაში, ბელორუსის, კორსუნ-შევჩენკოვის, ვისლა-ოდერის და პომერანიის ოპერაციებში.

აგრეთვე მონაწილეობდა სევასტოპოლის, ბოჭრუისკის, ლუბ-ლინოს, უნგრეთის რიგი ქალაქების, ზემო სილეზიის ბრძოლებსა და ბერლინის აღებაში. მსახურობდა ფრონტის არტილერიის უფროსის მოადგილედ, წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილედ.

1943 წლის ივნისიდან მსახურობდა წითელი არმიის არტილერიის საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსად.

1946 წლიდან კითხულობდა ლექციებს გენერალური შტაბის აკადემიაში.

1952 წელს დაამთავრა ვოროშილოვის სახ. გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის, 3 წითელი დროშის, სუვოროვის III, კუტუზოვის III და ბოგდან ხმელნიცკის III ხარ. ორდენებით.

გარდაიცვალა მოსკოვში, დაკრძალულია იქვე.

**სურან სარქისის-ძე ვოსკანიანი  
(1920-1981 ნ.გ.)**

**შინაგანი სამსახურის  
გენერალ-მაიორი (1964)**



დაიბადა ქ.თელავში. 1939 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა ქ.თბილისში.

მონაწილეობდა 1939-1940 წწ. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში და 1941-1945 წლების საბჭოთა კავშირის დიდ საამულო ომში. 900 დღე იმყოფებოდა ბლოკადის ლენინგრადში.

1946 წლამდე მსახურობდა ჯარში.

1947-1960 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზე: მუშაობდა ერევნის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად, სომხეთის ცეკას პასუხისმგებელ თრგანიზატორად, ერევნის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგედ.

1949 წელს დაამთავრა საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტი.

1960-1969 წლებში მუშაობდა სომხეთის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის I მოადგილედ.

1971-1980 წლებში მუშაობდა სომხეთის სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილედ.

1981 წლიდან მუშაობდა სომხეთის სსრ ავტომოტომობურულთა მოხალისე საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

საბრძოლო დამსახურებისთვის დაჯილდოებული იყო 2 წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის I ხარ. ორდენებით.



პაიკ ლაზარეს-ძე თუმანიანი  
(12.05.1901 - 20.11.1971)

სატანკო ჯარაბის  
გენერალ-ლეიტენანტი (19.04.1945)

დაიბადა ტფილისში. 1917 წელს დაამთავრა ტფილისის ვაჟთა გიმნაზიის 5 კლასი.

1924 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში. ეკავა სხვადასხვა თანამდებობები, მათ შორის იყო სამხედრო კომისრის თანაშემწე, მთიელთა კავალერიის ეროვნული სკოლის სამხედრო კომისარი, 61-ე კავალერიის პოლკის მეთაურის თანაშემწე პოლიტნაწილში, წყნარი ოკეანის დივიზიის მე-3 პოლკის ბატალიონის მეთაური.

1920-ანი წლების დასაწყისში დაამთავრა სვერდლოვის სახ. კომუნისტური უნივერსიტეტი, ქ. მოსკოვში.

1929 წელს წარჩინებით დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში, ჩინეთის აღმოსავლეთ რეინიგზაზე.

1930-1935 წლებში იმყოფებოდა წითელი არმიის შტაბის, სადაზვერვო სამმართველოს განკარგულებაში.

1935-1936 წლებში მუშაობდა საბჭოთა საკონსულოში, ქ. ხარბინში (ჩინეთი). იყო საკონსულოს I მდივანი, 1935 წლიდან განსაკუთრებულ დავალებათა თანამშრომელი, ხოლო 1936 წლის თებერვლიდან წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოს სპეცგანყოფილება „A“-ს უფროსი.

1935 წლის 23 ნოემბერს მიენიჭა „ბრიგადის კომისრის“ სამხედრო წოდება. ესპანეთში ომის დროს იყო რესპუბლიკური არმიის სამხედრო მრჩეველი.

1940 წელს დაინიშნა სამხედრო-საინჟინრო აკადემიის კომისრად.

**1940 წლის 19 ივნისს მიენიჭა „დივიზიის კომისრის“ სამხედრო წოდება.**

მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში.

**1942 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.**

(1941-1945) წლების სსრკ დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, დაინიშნა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების წარმომადგენლის რანგში, მე-2 გვარდიული მსროლელი კორპუსის სამხედრო კომისრად, სადაც იმყოფებოდა 1942 წლის აპრილამდე.

1943 წლიდან იყო მე-2 სატანკო კორპუსის სამხედრო კომისარი (საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ ალიზიუკოვის სარდლობით). ა.ლიზიუკოვის, მე-5 არმიის სარდლად დანიშვნის შემდეგ, გენერლის თხოვნით, მასთან ერთად იქნა გადაყვანილი გენერალი თუმანიანიც. მე-5 სატანკო არმიისათან ერთად მონაწილეობდა სტალინგრადთან გენერალ პაულიუსის მეთაურობით გერმანული არმიის დამარცხებაში. სტალინგრადთან კონტრშეტევის დაწყებამდე, მოხდა არასასიამოვნო ეპიზოდი გენერალ თუმანიანის მონაწილეობით. წაკინკლავებისას, მან გაარტყა მეთაურს, რომელიც წელავდა ბრძანების შესრულებას. წითელი არმიის მთავარი პოლიტსამართველოს უფროსმა, შჩერბაკოვმა მოახსენა სტალინს და გამოთქვა მოსაზრება თუმანიანის საქმე გადაეცათ სამხედრო სასამართლოს. მაგრამ სტალინმა თქვა - „თუმანიანს ვიცნობ, დაანებეთ მას თავი“.

1944 წლის 24 იანვარს დაინიშნა მე-6 სატანკო არმიის სამხედრო საბჭოს წევრად. ომის შემდეგ, მე-6 სატანკო არმიისათან ერთად იქნა გადასროლილი შორეულ აღმოსავლეთში, სადაც მონაწილეობდა ბრძოლებში იაპონიის არმიასთან. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, მსახურობდა საბჭოთა არმიის, სტალინის სახ. ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემიის, პოლიტგანყოფილების უფროსად, შემდეგ კი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საპარტო დალების მთავარი სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსად.

1956 წელს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამცნიერო ხარისხი.

1969 წელს წლოვანების გამო გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

1969-1971 წლებში მოღვაწეობდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში.

საპრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო 2 ლენინის, 6 ნითელი დროშის, სუვოროვის II ხარ., კუტუზოვის I ხარ., ბოგდან ხმელნიცკის I ხარ., შრომის წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.



გენერალ-ლეიტენანტ ჰ.ლ.თუმანიანის საფლავი მოსკოვში,  
ნოვოდევიჩის სასაფლაოზე

**ივანე გრიგოლის-ძე იარაშიშვილი  
(11.01.1906-1979)**

**საინფ.-ტექნ.სამს.გენერალ-მაიორი  
(23.02.1952)**



დაიბადა ტფილისში. დაამთავრა დერბენდის საქალაქო რეა-ლური სასწავლებელი. 1920 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში.

1924-1926 წლებში სასწავლობდა ლენინგრადის სამხედრო-ტექნიკურ სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, განაწილებული იყო სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად ქ.ნიკოლა-ევში (უკრაინა). მაღვევე ის გადაჰყავთ ქ.სევასტოპოლში, შავი ზღვის ფლოტის ავიაციის მე-60 ესკადრილიის ბორტის ტექნიკოსად.

1928-1933 წლებში, თანამიმდევრულად მსახურობდა – უფროს ტექნიკოსად, რაზმის უმცროს ინჟინრად, ესკადრილიის უფროს ინჟინრად და ჯგუფის ინჟინრად.

1935 წელს, ლენინგრადის სამხედრო-საჰაერო ძალების ინჟინრთა კურსების დამთავრების შემდეგ, ბრუნდება სევასტოპოლში და, ინიშნება წითელდროშოვანი შავი ზღვის ფლოტის, ავიაესკადრილიის უფროს ინჟინრად.

(1941-1945) წლების სსრკ დიდი სამამულო ომის პირველ თვეებში, მის დაქვემდებარებაში მყოფი, შავი ზღვის ავიაციის სარემონტო სამსახურები, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა დროულად დაებრუნებინათ მწყობრში დაზიანებული მანქანები. განსაკუთრებულად დამძიმდა მუშაობა მაშინ, როცა გერმანელებმა წამოიწყეს შეტევა სევასტოპოლზე.

ფლოტის ავიაცია კეტავდა გასასვლელებს ქალაქთან და პორტთან. უმძიმეს პირობებში იქნა გარემონტებული და დაბრუნებული მწყობრში, ბრძოლებში დაზიანებული უამრავი თვითმფრინავი. ინჟინერ-პოლკოვნიკი იარამიშევი უკეთებდა რა ორგანიზებას მთელ ამ სამუშაოს, ეყრდნობოდა არა მხოლოდ თავის ცოდნას, ასევე სხვა ფლოტების გააზრებული პრაქტიკის ნოვატორობასაც. ომის შემდგომ პერიოდში ეკავა ფლოტის სამხედრო-საპარო ძალებში საპასუხისმგებლო თანამდებობები.

1949 წელს მან დაამთავრა უუკოგსკის სახ. სამხედრო-საინჟინრო აკადემიასთან არსებული, ინჟინერთა დახელოვნების კურსები.

1968 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან. იქნა არჩეული გმირ-ქალაქ სევასტოპოლის საპატიო მოქალაქედ.

საპრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო 3 ლენინის, 3 წითელი დროშის და 3 წითელი ვარსკვლავის ორდენებით.

**ქრისტეფორე ივანეს-ძა ივანიანი  
(20.12.1920-30.08.1999)**

**არტილერიის გენერალ-  
ლეიტენანტი (1993)**



დაიბადა ტფილისში. 1940 წელს დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი და დაიწყო სამხედრო სამსახური ოცმეთაურად, ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა (1941-1945) წლების, სსრკ დიდ სამამულო ომში. ომი დაამთავრა ჩეხოსლოვაკიაში.

1941-1942 წლებში მეთაურობდა 59-ე პოლკის მსუბუქ არტილერიას.

1942-1943 წლებში მეთაურობდა 36-ე არმიის, საზღვაო ქვეითების 76-ე ბრიგადას.

1943-1944 წლებში მეთაურობდა 195-ე სამთო-ნაღმმტყოსან პოლკს.

1944 წელს დაინიშნა 318-ე სამთო-მსროლელი დივიზიის პოლკის მეთაურად.

1944-1945 წლებში მეთაურობდა 128-ე მსროლელ დივიზიას.

1946-1949 წლებში სწავლობდა მ.ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში.

1949-1952 წლებში მსახურობდა საარტილერიო კორპუსის საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსად.

1952-1955 წლებში მეთაურობდა 280-ე გვარდიულ გამანადგურებელ ტანკსანააღმდეგო პოლკს (გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში).

1955-1956 წლებში სწავლობდა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში.

1956-1958 წლებში მეთაურობდა ცალკეულ გვარდიულ გამანადგურებელ-ტანსანინააღმდეგო ბრიგადას.

1958-1961 წლებში ხელმძღვანელობდა ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრას.

1962 წელს დაამთავრა ლენინგრადის საარტილერიო აკადემიასთან არსებული კურსები.

1962-1968 წლებში მეთაურობდა 52-ე მსროლელ ბრიგადას (ოდესის სამხედრო ოლქში).

**1968 წლის 23 თებერვალს მიენიჭა არტილერიის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.**

1968-1973 წლებში მსახურობდა მე-14 არმიის სარაკეტო ჯარების და არტილერიის უფროსად (ოდესის სამხედრო ოლქში).

1973-1978 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარაკეტო ჯარების და არტილერიის უფროსის მოადგილედ. 40-წლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ, იმიერბაიკალის სამხედრო ოლქის სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის საარდლის თანამდებოდიდან, 1978 წელს გავიდა თადარიგში.

1978-1992 წლებში იმყოფებოდა პენსიაში და ცხოვრობდა ლენინგრადში.

1992 წლის ივლისიდან მსახურობდა სომხეთის ჯარში.

1995-1996 წლებში მეთაურობდა ახლადშექმნილ სამთო-საარტილერიო ბრიგადას.

1997 წელს, ჯანმრთელობის გამო გაემგზავრა სანქტ-პეტერბურგში, სადაც გადიოდა მკურნალობის ინტენსიურ კურსს. გარდაიცავლა იქვე გენერალი ივანიანი პირადად აკონტროლებდა სამხედრო მშენებლობას და საკმაოდ მკაცრად სჯდიდა მათ, ვინც არ ასრულებდა მის დავალებებს.

გენერალი ივანიანი იყენებდა (1941-1945) წლების სსრკ დიდ სამამულო ომში მიღებულ გამოცდილებას, სამხედრო ეშმაკობებს, რომელთა დახმარებითაც მკვეთრად მცირდებოდა ბრძოლის ველზე დაღუპულთა რიცხვი. გენერალი ივანიანი პირადად მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში (რამოდენიმე ჯერ იყო სერიოზუ-

ლად დაჭრილი, როცა მისი მანქანა აფეთქდა ნაღმზე), შექმნა საარტილერიო სასწავლო ცენტრი, რომელიც გაიარა ათასობით ჯარისკაცმა და ოფიცერმა.

გენერალ-ლეიტენანტი ივანიანი კიდევ რამოდენიმე ხანს მეთაურობდა სომხეთის არმიის ერთ-ერთ ბრიგადას. იყო რა ყველაზე უხუცესი ოფიცერი სომხეთის არმიაში, 1997 წელს, 77 წლის ასაკში გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

2000 წელს მისი სახელი მიენიჭა სამხედრო-სპორტულ ლიცეუმს და სტეფანაქერთის სამხედრო სასწავლებელს.

2000 წლის 1 სექტემბერს განსაკუთრებული დამსახურები-სათვის და, ამავდროულად, გამოჩენილი მამაცობისა და პირადი თავდადებისათვის, სიკვდილის შემდეგ მიენიჭა „ოქროს არნივის“ ორდენი. გარდა ამისა დაჯილდოებული იყო „საბრძოლო ჯვრის“ I ხარისხით.

საბრძოლო დამსახურებისათვის (1941-1945) სსრკ დიდ სამამულო ომში დაჯილდოებული იყო ლენინის, ნითელი დროშის, სუვოროვის III ხარ., და 3 ნითელი ვარსკვლავის ორდენით.



გენერალ ქ.ი.ივანიანის საფლავი  
სანქტ-პეტერბურგის სმოლენსკის  
სომხურ სასაფლაოზე



**ამოთ ვაგარშავის-ქა ლაზარიანი**

(11.07.1921-18.10.1995)

**გენერალ-მაიორი (29.04.1970)**

**საპატიო კავშირის გმირი**

(24.03.1945)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის, სოფელ  
ჩიფთ-ქილისაში.

1935 წელს დაამთავრა სოფელ ხაჩუკის საშუალო სკოლის 7  
კლასი, ხოლო 1938 წელს ქ.თბილისის საშუალო სკოლის 10 კლასი.  
ქ.თბილისის სამხედრო კომისარიატის მიერ იქნა განვიული წითელ  
არმიაში.

ჯარში მსახურობდა 1939 წლიდან, ქვეით ნაწილებში (ლენინგ-  
რადის სამხედრო ოლქში).

მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის (1939-1940) წლე-  
ბის ომში.

1940 წლის იანვარ-მარტში მსახურობდა 286-ე მსროლელი  
პოლკის მეტყვიამფრქვევად.

1940 წელს დაამთავრა საპოლკო სკოლა. მეთაურობდა ქვეით  
ოცეულს (ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქში).

მონაწილეობდა (1941-1945) წლების სსრკ დიდ სამამულო ომში.

1941 წლის ივნის-აგვისტოში მონაწილეობდა თავდაცვით  
ბრძოლებში ბალტიისპირეთში და ლენინგრადის შორეულ მისად-  
გომებთან.

1941 წლის 12 აგვისტოს მძიმედ დაიჭრა მარცხენა ბეჭში და,  
1941 წლის დეკემბრამდე იმყოფებოდა ქ.ლენინგრადის და ქ.სოკო-  
ლის (ვოლოგდის ოლქი) სამხედრო ჰოსპიტლებში.

1942 წელს დაამთვრა უმცროსი ლეიტენანტების კურსები.

1941 წლის ივლის-1944 წლის იანვარში-მეთაურობდა 196-ე ცალკეულ სატანკო ბრიგადის, მსუბუქი ტანკების ოცეულს და ასე-ულს, იყო ტანკის მეთაური (კალინინის და დასავლეთის ფრონტები). მონაწილეობდა ბრძოლებში რუსების მიმართულებით, რუსევ-ვი-აზმას, ორიოლის და სმოლენსკის შეტევით ოპერაციებში.

1942 წლის 31 აგვისტოს და 1943 წლის 13 აგვისტოს იქნა დაჭრილი, მაგრამ დარჩა მწყობრში.

1944 წლის იანვარ-აგვისტოში მსახურობდა ზურგში მოქმედი სატანკო ბატალიონის მეთაურის მოადგილედ, 1944 წლის აგვისტო-დეკემბერში მსახურობდა, ხარკოვის სატანკო სასწავლებლის საკურსო ბატალიონის მეთაურის მოადგილედ.

1944 წლის დეკემბრიდან 1945 წლის აპრილამდე მეთაურობდა მე-3 ბელორუსის ფრონტის, 117-ე სატანკო ბრიგადის სატანკო ბატალიონს. მონაწილეობდა აღმოსავლეთ-პრუსიის ოპერაციაში.

1945 წლის 20 იანვარს დაიწრა, მაგრამ დარჩა მწყობრში.

1945 წლის 17-23 იანვარს ტანკისტებმა მისი მეთაურობით, ბრძოლებით გაიარეს 150 კმ, გაათავისუფლეს ათობით დასახლებული პუნქტი, გაანადგურეს მოწინააღმდეგის ტექნიკისა და, ცოცხალი ძალის დიდი რაოდენობა და, აიყვანეს ტყვედ 1000-მდე ჰიტლერელი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავდადებისათვისა და მამაცობისათვის რომელიც გამოიჩინა ბრძოლებში, გვარდიის კაპიტან აშოთ ვაღარშავის-ძე ლაზარიანს, 1945 წლის 24 მარტის ბრძანებულებით მიანიჭა „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება, ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემით.

1949 წელს დაამთავრა ჯავახანსატანკო და მექანიზირებული ჯარების სამხედრო აკადემია. მსახურობდა სატანკო პოლკის შტაბის უფროსად და სატანკო პოლკის მეთაურად (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში), სატანკო დივიზიის მეთაურის მოადგილედ და სატანკო დივიზიის მეთაურად (საბჭოთა ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფში და ურალის სამხედრო ოლქში).

1969-1987 წლებში მსახურობდა სომხეთის სსრ სამხედრო კო-მისრად.

1987 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან წლოვანების გამო. ცხოვრობდა ქ.ერევანში. დაკრძალულია ერევანში, თოხმანის სასაფლაოზე. საპრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის (1945), წითელი დროშის (1942,1943), სამამულო ომის I ხარ.(1985), შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის (1955), სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის III ხარ. ორდენებით.

მას მინიჭებული ჰქონდა სომხეთის სსრ სახელმწიფო პრემია (ლიტერატურის დარგში). ავტორია წიგნებისა „Четверть века на танках“ Ер., 1972, „Война, люди, судьбы“ Ер., 1975, „Присяга на всю жизнь“ М., 1988.



გენერალ-მაიორ ა.ვ.ლაზარიანის საფლავი ერევანში,  
თოხმანის სასაფლაოზე

**გამოიღელ სტაციონეს-ქა კამოვი  
(01.02.1910-18.03.1960)**

**არტილერიის გენერალ-ვიორი  
(23.02.1958)**



დაიბადა ქ. ბათომის ოლქში, მეფის არმიის კაპიტნის ოჯახში.

1922 წელს შევიდა წითელ არმიაში, სამუსიკო გუნდის ალსაზ-რდელად. მაღვევე ის გადაჰყავთ მომდევნო სამსახურის გასაგრძელებლად მიასწიანის სახ. გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში, ქ. ერევანში.

1926 წლის ოქტომბერში, ნამდვილი სამხედრო სამსახურის დამთავრებისთანავე, რჩება ჯარში ზემსახურად.

1927 წლის სექტემბერში ჩაირიცხა მოსკოვის სამხედრო-საარტილერიო სკოლის სამეთაურო სამუალო შემადგენლობაში.

1931 წელს ის ამთავრებს სკოლას I თანრიგით და, ინიშნება 74-ე საარტილერიო პოლკის ოცმეთაურად.

1934 წელს კამოვი ამთავრებს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის სამხედრო ფაკულტეტს და, ნიშნავენ ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის, ტამანის 74-ე მსროლელი დივიზიის ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორად.

1938 წელს ინიშნება საარტილერიო დივიზიონის მეთაურად. მალევე ის ინიშნება 182-ე საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსად.

აქტიურად მონაწილეობდა (1941-1945) წლების სსრკ დიდ სამულო ომში.

1941-1943 წლებში მაიორი კამოევი მეთაურობდა 22-ე მსროლელი დივიზიის 157-ე საარტილერიო პოლკს.

დივიზიის შემადგენლობაში, მისი პოლკი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვადასხვა მონაკვეთებზე ნარმოებულ ბრძოლებში. ომის უკანასკნელი დღეები მან გაატარა მსროლელი დივიზიის არტილერიის სარდლის თანამდებობაზე.

37 წლისას, 1947 წელს მას მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დაინიშნა შენაერთის არტილერიის სარდლად.

1950 წელს მან დაუსწრებლად დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის ფაკულტეტის სრული კურსი.

1955 წელს პოლკოვნიკმა კამოევმა ოქროს მედალზე დაამთავრა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის ძირითადი კურსი და დაინიშნა სამხედრო ოლქის არტილერიის შტაბის უფროსად.

1958-1960 წლებში გენერალი კამოევი მსახურობდა სამხედრო ოლქის სარაკეტო ჯარების და არტილერიის სარდლად.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო 3 ლენინის, 3 ნითელი დროშის, და ნითელი ვარსკვლავის ორდენებით.



ანდრია ხორავის-ძე კეჭოიანი  
(14.01.1922-21.12.1979)

მე-3 კლასის იუსტიციის სახელმიწოდო  
მჩხვალი (10.01.1977)

დაიბადა ქ.ბათომში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1940 წელს გაწვეულ  
იქნა ჯარში.

მსახურობდა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატში.

მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის (1941-1945) წლების  
დიდ სამამულო ომში. იბრძოდა 38-ე სათადარიგო მსროლელი  
ბრიგადის შტაბში, ამიერკავკასიის ფრონტის 296 მსროლელი  
დივიზიის შტაბში განყოფილების უფროსად.

1946 წელს, დემობილიზაციის შემდეგ სწავლობდა სარატოვის  
იურიდიულ ინსტიტუტში.

1950-1952 წლებში მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში:  
კრასნოდარის ოლქის სტალინის და კიროვის რაიონების პრო-  
კურატურის გამომძიებლად და სამხარეო პროკურატურის უფ-  
როს გამომძიებლად.

1952-1979 მუშაობდა საკავშირო პროკურატურის ცენტრალურ  
აპარატში: საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლად, განსა-  
კუთრებულ საქმეთა გამომძიებლად სსრკ გენერალურ პროკუ-  
რორთან.

მინიჭებული ჰქონდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხი (1971) და რუსეთის ფედერაციის „დამსა-  
ხურებული იურისტის,, წოდება.

დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით.



სტაციანე ილიას-ძე კინოსიანი  
(09.11.1900-29.09.1965)

გენერალ-ლეიტენანტი (19.04.1945)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის, სოფ. სათხაში, გლეხის ოჯახში. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, მოწყობი ახალქლაქის დაწყებით სასწავლებელში.

1918 წელს მშობლებთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად ტფილისის მაზრის, დაბა წალკაში.

1920 წელს, კინოსიანი შედის წითელ არმიაში. 1923 წელს მე-თაურობა აგზავნის მას სასწავლებლად მოსკოვში, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახ. წითელი არმიის 1-ლ საბჭოთა გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში, რომელსაც ის წარმატებით ამთავრებს ორ წელიწადში და, მას ტოვებენ სკოლაში სასწავლო ოცეულის მეთაურად. ბევრ შრომას სდებდა ის სამე-თაურო კადრების სწავლის და აღზრდის საქმეში.

1926 წლის გაზაფხულზე იგი გადაიყვანეს ერევანში, სომხურ სამხედრო სკოლაში, ხოლო ეროვნული ნაციონალური სკოლების გაერთიანების შემდეგ, მას აგზავნიან ტფილისში, ამიერკავკასიის სამხედრო სკოლაში. აქ მან დაპყო ექვსი წელი. მსახურობდა ასეულის მეთაურის თანაშემწედ, კურსანტთა ასეულის მეთაურად, სკოლის სასწავლო განყოფილების უფროსის თანაშემწედ.

1933 წელს კინოსიანი გახდა მ.ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის ძირითადი ფაკულტეტის მსმენელი.

1936 წლის ნოემბერში მან დაამთავრა სწავლა აკადემიაში I ხა-რისხის დიპლომით და დაინიშნა 48-ე მსროლელი დივიზიის შტაბის I ნაწილის უფროსად.

ერთ წელზე მეტი უხდებოდა მას შეთავსებით, დივიზიის შტა-ბის უფროსის თანამდებობის შესრულება. კინოსაიანმა ღირსეუ-ლად შეძლო მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება. ამა-ვე პერიოდში ის იმსახურებს ნიჭიერი ორგანიზატორის რეპუტაცი-ას, რომელმაც ბრნენინვალედ იცის საშტაბო სამუშაო.

1939 წლის ზაფხულში კინოსიანი ინიშნება კიევის განსაკუთრე-ბული სამხედრო ოლქის შტაბის განყოფილების უფროსის თანაშემ-წედ. ამ თანამდებობაზე ის უფრო აფართოვებს და აღრმავებს თავის ოპერატიულ-ტაქტიკურ თვალთახედვას, ძირიფესვიანად ითვისებს მუშაობას საარმიო აპარატში, აგრეთვე ოპერაციების დაგეგმარე-ბას. ის ხშირად არის ჯარებში, ოსტატურად ითვისებს თავის თავში მაღალ სამეთაურო მომთხოვნილობას, ყოველდღიურ ზრუნვას და იჩენდა ხალხისადმი ყურადღებას. დაქვემდებარებულ ხელქვეითებ-თან და უფროს მეთაურებში იმსახურებს გამოცდილი და ყოველმხ-რივ მომზადებული ოფიცრის სამართლიან ავტორიტეტს.

1939 წელს კინოსიანი, კორპუსის ცხენოსან-მექანიზირებული ჯგუფის შემადგენლობაში და შტაბის განყოფილების უფროსის თა-ნამდებობაზე მყოფი, მონაწილეობს დასავლეთ ბელორუსიის გან-თავისუფლებაში.

1939-1940 წლებში პოლკოვნიკი კინოსიანი მონაწილეობს სსრკ-ფინეთის ომში. მკაცრი ზამთრის პირობებში და მოწინააღმდეგის ძლიერი გამაგრებების პირობებში, სამხედრო მოქმედებები იქცა საბრძოლო დახელოვნების კარგ სკოლად. აქ ღრმად გაიხსნა მისი სამეთაურო ნიჭი და პირადი საბრძოლო თვისებები.

1940 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი კინოსიანი დაინიშნა ბალ-ტიისპირეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის, შტაბის ოპერა-ტიული განყოფილების I ქვეგანყოფილების უფროსად.


(1941-1945) წლების სსრკ დიდი სამამულო ომის დაწყებისთანა-ვე, პოლკოვნიკი კონოსიანი დაინიშნა 33-ე არმიის (რომელიც შეიქმ-ნა მოსკოვის სამხედრო ოლქში 1941 წლის ივლისში), შტაბის ოპერა-ტიული განყოფილების უფროსად.

1942 წლის 17 ნოემბერს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება. მომდევნო სამხედრო სამსახური განავრდო 49-ე არმიაში. მონაწილეობდა ბელორუსის აპერაციაში, პოლონეთის და გერმანიის განთავისუფლებაში. ჰქონდა უმაღლესი მთავარსარდლის, სტალინის 12 მადლობა. ომის შემდგომ პერიოდში მსახურობდა რიგი სამხედრო ოლქების შტაბის უფროსად.

1950 წელს კ.ვოროშილოვის სახ. გენერალური შტაბის დამთავრების შემდეგ, დარჩა აკადემიაში სამეცნიერო სამუშაოზე. გენერალ-ლეიტენატმა კინოსიანმა, დიდი სამამულო ომის დროს, მსახურობდა რა არმიის შტაბის უფროსად და, ომის შემდგომ პერიოდში -სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად, დააგროვა მდიდარი პრაქტუკული გამოცდილება აპერაციებში ჯარების მართვის ორგანიზაციის საქმეში. სისტემატურად მუშაობდა თავის თავზე, 1956 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1964 წელს გენერალი კინოსიანი ავადმყოფობის გამო გადადგა სამხედრო სამსახურიდან. დაკრძალულია მოსკოვში, ვაგანკოვოს სასაფლაოზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის (1945), წითელი დროშის (1940, 1942, 1944, 1945, 1950), სუვოროვის II (1943), კუტუზოვის I და II (1943), ბოგდან ხმელიცკის I ხარ. (1944), ორდენებით. მიღებული ჰქონდა პოლონეთის ჯილდოები-ვირტუტი მილიტარის ორდენი (1945) და გრიუნვალდის ჯვარი II ხარ. (1945)



გენერალ-ლეიტენანტ  
ს.ი.კინოსიანის საფლავი  
ვაგანკოვოს სასაფლაზე

**კონსტანტინე არკადის-ძე ლაზარევი  
(20.03.1903-29.01.1979)**

**გენერალ-მაიორი(1949)**



დაიბადა ტფილისში.

1920 წელს შევიდა წითელ არმიაში. იპრძოდა ჩრდილო კავკასიაში (დაღესტანში). მსახურობდა სარკინიგზო ჯარებში-ოცმეთაურად, ასმეთაურად, სარკინიგზო სასწავლო პოლკის მეთაურის თანაშემწედ.

1926 წელს დაამთავრა ლენინგრადის კავშირგაბმულობის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, 1941 წელს ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია და 1950 წელს უმაღლესი აკადემიური კურსები.

(1941-1945) წლების სსრკ დიდი სამამულო ომის დროს, მსახურობდა იმიერბაიკალის ფრონტის, არმიის შტაბის უფროსად, შემდეგ საარტილერიო ბრიგადის მეთაურად. 1942 წლის თებერვალიდან, მეთაურობდა კურსანტთა ცალკეულ მსროლელ ბრიგადას, ხოლო 1943 წლის ივნისიდან 1945 წლის ნოემბრამდე მეთაურობდა მსროლელ დივიზიას.

მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში შორეულ აღმოსავლეთში.

1950 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია.

1954-1956 წლებში მსახურობდა ნოვოსიბირსკის უმაღლეს სასწავლებლის უფროსად.

1956-1960 წლებში მსახურობდა სუორეველთა სამხედრო სასწავლებლის უფროსად.

1960 წელს გავიდა თადარიგში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის, 3 წითელი დროშის და 2 წითელი ვარსკვლავის ორდენებით.



30ქთონ პოგლანის-ძე ლისინოვი  
(ლისინიანი)  
(23.11.1896-09.10.1971)

გენერალ-მაიორი (1943)

დაიბადა ქ.ტფილისში.

1915-1917 წლებში მსახურობდა მეფის არმიაში, ტფილისში 218-ე სათადარიგო ბატალიონში. 1915 წელს დაამთავრა გორის პრაპორშჩიკითა სკოლა. სკოლის დამთავრებისთანავე მიენიჭა პრაპორშჩიკის წოდება და დაინიშნა ოცმეთაურად 156-ე სათადარიგო ქვეით ბატალიონში ქ.ასტრახანში.

1915 წლის ბოლოს გადაყვანილ იქნა მოქმედ არმიაში, კავკასიის მე-3 მსროლელი დივიზიის კავკასიის მე-10 მსროლელ პოლკში - ოცმეთაურად. იბრძოდა დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტებზე.

1917 წლის ოქტომბრის შემდეგ დაპრუნდა ტფილისში.

1918-1919 წლებში მობილიზებული იქნა ქართულ ჯარში, სადაც მსახურობდა ოცმეთაურად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წლიდან, მსახურობდა წითელ არმიაში, ბათომში და დაინიშნა | ქართული პოლკის ასეულის მეთაურის თანაშემწედ.

1922 წელს დაამთავრა ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის, სამეთაურო შემადგენლობის განმეორებითი კურსები და დატოვებულ იქნა სასწავლებელში, სადაც მსახურობდა ოცმეთაურად, ასმეთაურად და ბატალიონის მეთაურად.

სკოლების შერწყმის შემდეგ, 1927 წელს დაინიშნა ბატალიონის მეთაურად აჭარის ცაკ-ის სახ. კავკასიის | მსროლელ დივიზიაში,

ხოლო 1929 წლიდან ასრულებდა კავკასიის მე-4 მსროლელი პოლკის შტაბის უფროსის თანამდებობას (ქ.განჯა).

1930 წელს აზერბაიჯანის ტერიტორიის ქედაბეკის რაიონში იაგუბლინის ბანდის წინააღმდეგ წარმოებულ ოპერაციის დროს, როგორც რაზმის უფროსმა გადააჭარბა თავის უფლება-მოვალეობას და გადაეცა კავკასიის არმიის სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს.

1931 წლის იანვარში სამთავრობო კომისიის მიერ ვადაზე ადრე განთავისუფლდა და დაინიშნა „ოსოავიაქიმ“-ის ამიერკავკასიის საბჭოში საბრძოლო მომზადების ინსპექტორად და მსროლელი კომიტეტის მდივნად.

1931-1934 წლებში იმყოფებოდა თადარიგში.

1934 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის მილიციის სამმართველოს უფროს ინსპექტორად.

1935 წელს დაინიშნა შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის ამიერკავკასიის (ტფილისის) სკოლის სასწავლო განყოფილების უფროსად.

1941 წლის ოქტომბერში მისივე თხოვნით გადავიდა მილიციიდან წითელ არმიაში და დაინიშნა ამიერკავკასიის ფრონტის 44-ე არმიის, მე-400 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსის თანაშემწედ ზურგის დარგში და მე-5 განყოფილების უფროსად.

1942 წლის თებერვალში დაინიშნა 217-ე საარმიონ სათადარიგო მსროლელი პოლკის შტაბის უფროსად და მონაწილეობდა ქერჩის ნახევარკუნძულზე წარმოებულ ბრძოლებში, მოგვიანებით მეთაურობდა ამავე პოლკს.

1943 წლის თებერვლიდან მეთაურობდა ჩრდილო-კავკასიის ფრონტის 103-ე კურსანტთა ცალკეულ მსროლელ ბრიგადას. იმავე წელს მიიღო 56-ე არმიის 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის მეთაურობა.

დივიზიამ მიიღო მონაწილეობა ნოვოროსიას-ტამანის შეტევით ოპერაციაში.

1943 წლის 9 ოქტომბერს დივიზიამ მიიღო სახელწოდება - „ტამანის,, და შევიდა ზღვისპირა ცალკეულ არმიაში. 1944 წლის

იანვარში გადალახა ქერჩის სრუტე და ძალთა ნაწილთან ერთად იცავდა ქერჩის პლაცდარმს, და სხვა ძალებთან ერთად იცავდა აზოვის ზღვისპირეთს.

მონაწილეობდა პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის განთავი-სუფლებაში.

ომის შემდეგ მეთაურობდა დივიზიას კარპატისპირეთის სამხედრო ოლქში.

1946-1951 წლებში მსახურობდა 38-ე არმიის საბრძოლო და ფიზიკური მომზადების განყოფილების უფროსად.

1951 წელს, ჯანმრთელობის გამო გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

დაჯილდოებული იყო:

**ლენინის** (1951), **ნითელიდროშის** (1943, 1944, 1946); **სუვოროვის** ॥ ხარ. (1945), **ნითელი ვარსკვლავის** (1942), მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ (1944).

მიღებული ჰქონდა ჩეხოსლოვაკეთის ჯილდოები:

**თეთრი ლომის ორდენი** და **სამხედრო ჯვარი.**

დაკრძალულია ქ. თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.



რუსეთის გრიგოლის-ძე გაღალოვი  
(07.01.1935-04.12.2016)

გენერალ-ლეიტენანტი (09.05.1984)

დაიბადა ტფილისში.

1952 წელს სამუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შევიდა თბილისის ქვეით სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1955 წელს.

მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში, ოცმეთაურად, ასმეთაურის მოადგილედ, ასმეთაურად.

დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია.

მეთაურობდა ბატალიონს, პოლკს, დივიზიას.

**1979 წლის 8 მაისს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.**

როცა 1986 წლის 26 აპრილს მოხდა აფეთქება ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მე-4 ბლოკში, 10 დღეში გენერალი მაღალოვი თავისი სამხედრო ნაწილებით მონაწილეობდა ავარიის ლიკვიდაციაში.

1988 წლის დეკემბერში ანალოგიური დავალებით იმყოფებოდა სპიტაკში მიწისძვრის ლიკვიდაციისას.

1991 წლამდე მსახურობდა შუა აზიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილედ, უმაღლეს სამხედრო დაწესებულებების გარეშე სამხედრო მომზადების დარგში.

1991-1995 წლებში მსახურობდა რუსეთის სამაშველო სამსახურში.

1995 წელს გავიდა თადარიგში წლოვანებით.

დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის, III ხარ. ორდენებით და სამაშველო სამსახურის საუნიებო ჯილდოებით.

ცხოვრობდა ქ.დონის როსტოკში. გარდაიცვალა იქვე. ანდერძის თანახმად დაკრძალულია თბილისში, დამპალოს სასაფლაოზე.



სთეფანე სოლომონის-ძე მამულვი  
(1902-26.09.1976)

გენერალ-ლეიტენანტი (09.07.1945)

დაიბადა ტფილისში, ვაჭრის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის ვაჟთა № 4 სკოლა 1920 წელს და, საკავ-  
შირო საგეგმო აკადემია 1931 წელს.

1917-1919 წლებში მუშაობდა ტფილისის კერძო საწარმოში მე-  
თუნუქედ.

1921-1922 წლებში მუშაობდა ტფილისის მე-10 რაიონის მილი-  
ციის კომისარიატში.

1922 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში რიგითად, შემდეგ  
მე-3 ქართული მსროლელი დივიზიის, პარტიული ბიუროს მდივნად  
და, სამხედრო კომისარად.

1922-1923 წლებში მსახურობდა I ქართული მსროლელი დივი-  
ზიის, პოლიტგანყოფილების საორგანიზაციო ქვეგანყოფილების  
უფროსად.

1923-1924 წლებში მუშაობდა საქართველოს ცეკას, აფხაზეთის  
საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად.

1924 წელს მუშაობდა გაზეთ „ტრუდოვაია აბხაზიას“ რედკო-  
ლეგიის წევრად და ამავე გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორის  
მოადგილედ.

1924-1925 წლებში მუშაობდა განათლების მუშაკთა, აფხაზე-  
თის კაგშირის თავმჯდომარედ.

1925-1926 წლებში მუშაობდა საქართველოს ცეკას ქ. სოხუმის  
ქალაქკომის პასუხისმგებელ მდივნად.

1926 წელს დაინიშნა საქართველოს ცეკას, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

1926-1927 წლებში მუშაობდა სოხუმის მაზრის პასუხისმგებელ მდივნად.

1927-1928 წლებში მუშაობდა საქართველოს ცეკას ინსტრუქტორად.

1928 წელს დაინიშნა საქართველოს ცეკას საინფორმაციო ქვე-განყოფილების გამგედ.

1928-1929 წლებში მუშაობდა საქართველოს ცეკას ინფორმატორად.

1929-1930 წლებში მუშაობდა საქართველოს ცეკას პასუხისმგებელი მდივნის თანაშემწედ.

1930-1931 წლებში მუშაობდა საქართველოს ცეკას საორგანიზაციო განყოფილების, პარტიული მშენებლობის სექტორის გამგედ და, საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილედ.

1931-1932 წლებში მუშაობდა ყაზახეთის სსრ სამხარეო კომიტეტის 1-ი მდივნის თანაშემწედ.

1932-1933 წლებში მუშაობდა გაზეტ „კაზახსტანსკაია პრავდას“ პასუხისმგებელი მდივნის მოადგილედ და, ქ. პრიბალხაშის (ყაზახეთის სსრ) რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად.

1933-1934 წლებში მუშაობდა უკრაინის სსრ-ში ქ.დნეპროპეტროვსკის პეტროვსკის სახ. მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის, სააგიტაციო-სამასო განყოფილების გამგედ და, პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ.

1934-1936 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საბჭოთა ვაჭრობის განყოფილების გამგის მოადგილედ.

1936 წელს დაინიშნა საქართველოს ცეკას, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების განყოფილების გამგის მოადგილედ.

1936-1937 წლებში მუშაობდა საქართველოს ცეკას, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების განყოფილების გამგედ.

1937-1938 წლებში მუშაობდა საქართველოს ცეკას, თბილისის საქალაქო კომიტეტის მე-3 მდივნად.

1938 წელს დაინიშნა საქართველოს ცეკას, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1939 წლიდან მსახურობდა შინსახკომის სისტემაში.

1939 წელს დაინიშნა სსრკ შინსახკომის - სამდივნოს უფროსის

1-ლ მოადგილედ.

1946 წლამდე მსახურობდა შსს-ს სამდივნოს უფროსად.

1943 წლის 14 თებერვალს მიენიჭა „სახელმწიფო უშიშროების

III რანგის კომისრის წოდება“.

1946-1953 წლებში მუშაობდა სსრკ შსს მინისტრის მოადგილედ, იყო შსს კოლეგიის წევრი.

1953 წლის 30 ივნისს დაპატიმრეს „ბერიას საქმესთან“ დაკავ-შირებით, და 1954 წლის 28 სექტემბერს მიუსაჯეს 14 წლით თავი-სუფლების აღკვეთა.

1968 წლის 28 ივნისს გაათავისუფლეს საპატიმროდან. პატიმ-რობას იხდიდა ვლადიმერის ციხეში. არ იქნა რეაბილიტირებული.

დაჯილდოებული იყო ლენინის (1949, 1952), წითელი დროშის (1940, 1943), წითელი ვარსკვლავის (1944, 1951), სამამულო ომის I ხარ.(1945) ორდენებით.

მიღებული ჰქონდა შინსახკომის დამსახურებული მუშაკის (1942) სამკერდე ნიშანი.

**აეთრე ივანეს-ძე მანსვეტოვი  
(1910-1967 წ.ვ.)  
შინ.სამს. გენერალ-ლეიტენანტი**



დაიბადა იაროსლავის ოლქში.

1940 წლიდან მსახურობდა ჯარში.

მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის (1941-1945) წლების დიდ სამამულო ომში. მსახურობდა დონის ფრონტის 164-ე სატანკო ბრიგადაში.

1955-1959 წწ. მსახურობდა სტავროპოლის მხარის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად.

1964 წლის დეკემბერ-1967 წლის თებერვალში მუშაობდა ლენინგრადის ოლქის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო **3 ნითელი დროშის (1943, 1944, 1945), შრომის ნითელი დროშის, 2 სამამულო ომის I ხარ. (1944,45), და 2 ნითელი ვარსკვლავის (1942, 1954) ორდენებით.**



გიორგი იოსების-ძე მართიროსოვი  
(01.05.1906-21.02.1977)

გენერალ-მაიორი (09.07.1945)

დაიბადა ტფილისში, თუნუქის ვაჭრის ოჯახში.

1919 წელს დაამთავრა სკოლა ტფილისში.

1922 წლიდან მსახურობდა უშიშროების ორგანოებში.

1922-1923 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის საგანგებო კომისიის, განსაკუთრებული განყოფილების კურიერად.

1923-1926 წლებში მუშაობდა განსაკუთრებული კომისიის მე-2 დივიზიის, განსაკუთრებული განყოფილების საქმის მნარმოებლად (ქ.ბაქო).

1926-1929 წლებში მსახურობდა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, მე-3 დივიზიის განსაკუთრებული განყოფილების რწმუნებულის თანაშემწედ (ქ.ლენინაკანი).

1929 წელს დაინიშნა მე-3 კავალერიის დივიზიის, პოლკის განსაკუთრებული განყოფილების რწმუნებულად (დ.მანგლისი, საქართველოს სსრ).

1929-1930 წლებში სწავლობდა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მესაზღვრეთა უმაღლეს სკოლაში.

1930-1932 წლებში მსახურობდა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, მე-3 დივიზიის განსაკუთრებული განყოფილების რწმუნებულად (ქ.ლენინაკანი).

1932-1935 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის შინსახეომის-გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, გან-

საკუთრებული განყოფილების სრულუფლებიანი წარმომადგენლის, უფროს ოპერ-რწმუნებულად.

1935-1937 წლებში მსახურობდა შინსახკომის ქ.გაგრის სასაზღვრო კომენდანტად.

1937-1939 წლებში მსახურობდა შინსახკომის, გაგრის განყოფილების, მე-3 ქვეგანყოფილების უფროსად.

1939 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ბაქოს შინსახკომის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსად.

1939-1940 წლებში მსახურობდა ბელორუსის რკინიგზის შინსახკომის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსად.

1940-1941 წლებში მსახურობდა ლატვიის რკინიგზის შინსახკომის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსად. პოლიტპიუროს გადაწყვეტილებით, შინსახკომის მიერ იქნა დამტკიცებული სომხეთის სსრ-ში აეროდრომების მშენებლომის რწმუნებულად.

1941-1943 წლებში იყო სომხეთის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

1943 წლის 14 თებერვალს მიენიჭა „სახელმწიფო უშიშროების კომისრის“ წოდება.

1943-1945 წლებში მსახურობდა სომხეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრად.

1945-1947 წლებში მსახურობდა შინსახკომის-შსს-სახელმწიფო უშიშროების ოპერატიული სექტორის უფროსად გერმანიაში (საქ-სონიისა და ჰალლეს პროვინციებში), ამავდროულად, 1947-1951 წლებში მუშაობდა გორკის ოლქის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1951-1952 წლებში მუშაობდა გორკის ოლქის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამმართველოს უფროსად.

1952-1953 წლებში მუშაობდა სომხეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად.

1953-1954 წლებში მუშაობდა სომხეთის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

1954-1955 წლებში მუშაობდა არხანგელსკის ოლქის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სამმართველოს უფროსად.

1955 წლიდან იმყოფებოდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, კადრების სამმართველოს განკარგულებაში.

1955 წლის 23 მაისს დათხოვნილ იქნა სამსახურეობრივი შეუფერებლობის გამო. უშიშროების ორგანოების თანამშრომელთა შორის სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, ხასიათით იყო ცოტა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, გვერდში ედგა თავის თამანამშრომლებს. პირადად კურირებდა სადაზვერვო სამსახურს, ერკვეოდა დაზვერვის ტექნილოგიურ პროცესში, შეეძლო ყურადღებით მოესმინა ადამიანებისათვის, ვერ იტანდა მლიქვნელებს და აფერისტებს.

დაჯილდოებული იყო **ლენინის** (1950), **ნითელი დროშის** (1943, 1944) და **ნითელი ვარსკვლავის** (1941) ორდენებით. მიღებული ჰქონდა „შინსახუმის დამსახურებული მუშაკის“ (1942) სამკერდე ნიშანი.

დაკრძალულია არხანგელსკის სოლომბალას სასაფლაოზე.

**სერგო არტალის-ძე მიანსაროვი  
(1916-1966)**

**გენერალ-მაიორი (03.08.1953)**



დაიბადა ტფილისში. დედამისი იყო აზნაურ იოსელიანის ქა-  
ლიშვილი.

დაამთავრა თბილისის სამშენებლო ტექნიკუმი. მუშაობდა თბი-  
ლისის სამშენებლო ობიექტებზე, თბილისის საბჭოს საპროექტო  
სახელოსნოში და დაუსწრებლად სწავლობდა ამიერკავკასიის ინ-  
დუსტრიულ ინსტიტუტში.

1936 წელს გახდა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის  
კურსანტი.

1940 წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა  
სოხუმის ქვეით სასწავლებელში, სადაც თანმიმდევრულად მსახუ-  
რობდა ოცმეთაურად, ასმეთურად და სასწავლო ბატალიონის მე-  
თაურის მოადგილედ. აქტიურად მონაწილეობდა 1941-1945 წლების  
სსრკ დიდ სამამულო ომში.

1943 წელს დაინიშნა I უკრაინის ფრონტის მე-13 არმიის დაზ-  
ვერვის უფროსის უფროს თანაშემწედ.

1944 წელს დანიშნეს მე-13 არმიის საინფორმაციო-სადაზვერ-  
ვო განყოფილების უფროსად, მოგვიანებით კი მე-13 არმიის 24-ე  
მსროლელი კორპუსის დაზვერვის უფროსად. ომის შემდეგ მსახუ-  
რობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში.

1949-1951 წლებში მსახურობდა შენაერთის შტაბის უფროსად.

1951-1956 წლებში მსახურობდა სომხური მსროლელი დივიზი-  
ის მეთაურად.

1951 წლის 23 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1958 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემიის უმაღლესი აკადემიური კურსები **ოქროს მედალზე**.

1962 წელს ავადმყოფობის გამო გადადგა სამხედრო სამსახური-დან. გარდაიცვალა ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.

არჩეული იყო სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დაჯილდოებული იყო წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის I ხარ. ორდენებით.

**არტემ ივანეს-ძე მიკოიანი**  
(23.07.1905-09.12.1970)

**საინ.-ტექნ.სამს.გენერალ-**  
**პოლკოვნიკი (27.10.1967)**

**სოციალისტური შრომის გმირი**  
(1956,1957)



დაიბადა ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფ.სა-ნაინში (ახლ. სომხეთის რესპუბლიკის, ქ.ალავერდის ფარგლებში).  
ავტ.შენიშვნა)

1918 წელს ოჯახი გადმოვიდა საცხოვრებლად ტფილისში.

1923 წელს ოჯახს კვლავ მოუწია საცხოვრებელი ადგილის  
შეცვლა და დასახლდა ქ.დონის როსტოკში, სადაც არტემ მიქოია-  
ნი სწავლობდა ქარხანა „კრასნი აკადემია“ საქართვო სასწავლებელში,  
მუშაობდა ზეინკლის მოწაფედ.

1924 წელს გადავიდა სამუშაოდ სადგურ „დონის როსტოკის“  
დეპოს რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში.

1925 წლის ნოემბერში გადავიდა საცხოვრებლად მოსკოვში,  
სადაც მუშაობდა ზეინკლად ქარხანა „დინამოზე“.

1927 წელს იგი გააგზავნეს სამუშაოდ მოსკოვის, ოქტომბრის  
რაიონის ტრამვაის პარკში.

1928 წლის დეკემბრიდან მსახურობდა წითელ არმიაში.

1929 წლის აგვისტოდან მოსკოვის სამხედრო ოლქის პოლიტ-  
სამმართველოს მიერ იგი გააგზავნეს ქ.ივანოვო-ვოზნესენსკში,  
მ.ფრუნზეს სახ. სამხედრო სკოლაში.

1930 წლის დეკემბერში გავიდა თადარიგში და დაიწყო მუშაობა  
მოსკოვში, ქარხანა „კომპრესორზე“ 1931 წელს დაბრუნდა წითელ  
არმიაში და, გაიგზავნა სასწავლებლად ნ.ჟუკოვსკის სახ. სამხედ-

რო-საპატიო აკადემიაში. აქ, თანაკურსელების ჯგუფთან ერთად, აკადემიის მსმენელმა, არტემ მიქოიანმა შექმნა თავისი პირველი თვითმფრინავი - „ოქტიაბრიონოკი“.

1937 წლის 22 ოქტომბერს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების მიერ ა.მიქოიანს მიენიჭა „სამხედრო-საპატიო ძალების ინჟინერ-მექანიკოსის“ წოდება და დანიშნა სამხედრო წარმომადგენლად, მოსკოვის „ოსოავოაქიმის“ სახ. I საავიაციო ქარხანაში, ხოლო 1938 წლიდან - ნ.პოლიკარპოვის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად, სერიული გამანადგურებლების დარგში.

1939 წლის მარტიდან მიქოიანი მუშაობს „ოსოავიაქიმის“ სახ. №1 ქარხნის, საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილედ, ხოლო იმავე წლის დეკემბრიდან მ.გურევიჩთან ერთად, ჩაუდგა სათავეში კონსტრუქტორთა ჯგუფს, რომელსაც ეწოდებოდა „ოსოავიაქიმის“ სახ. №1 ქარხნის, საცდელ-საკონსტრუქტორო განყოფილება.

1940 წელს მიქოიანის ხელმძღვანელობით (მ.გურევიჩთან ერთად) იყო შექმნილი თვითმფრინავი-გამანადგურებელი „მიგ-1“ იმ დროის ყველაზე სწრაფი სერიული გამანადგურებელი, რომლის დანიშნულებაც იყო დიდ სიმაღლებზე მოქმედება და, მისი მოდიფიკაცია - „მიგ-3“ ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა ის ფაქტი, რომ „მიგ-1“ გამოცადეს პირველად სარკ-ში ცენტრალური აეროდინამიკური ინსტიტუტის - „ტ-101“ დანადგარზე.

1940 წლის 5 აპრილს იქნა განხორციელებული თვითმფრინავ „მიგ-1“, პირველი გაფრენა.

1940 წლის ზაფხულში იქნა განხორციელებული „მიგ-1“ მოდიფიკაცია და მისი გარდაქმნა „მიგ-3“ -ში. ხოლო იმავე წელს დაიწყო მიქოიანის და გურევიჩის შვილობილის - თვითფრინავ-გამანადგურებელ „მიგ-3“ სერიული წარმოება.

1940 წელს მიქოიანი დაინიშნა „ოსოავიაქიმის“ №1 ქარხნის მთავარ კონსტრუქტორთან 1941 წლის დასაწყისში საბჭოთა საავიაციო კონსტრუქტორთა ჯგუფთან ერთად, მიქოიანი იგზავნება გერმანიაში, რათა ადგილზე გაცნობოდა გერმანელთა საავიაციო ტექნიკას და საავიაციო მრეწველობას.

1940-1941 წლებში თვითმფრინავ „მიგ-3“ უკვე უშვებდნენ დიდი სერიით და წარმატებულად იყენებდნენ (1941-1945) წლების სსრკ დიდი სამამულო ომის საწყისი პერიოდის საბრძოლო მოქმედებებში. კარგი სახელი მოიხვეჭა მან ქვეყნის პაერსანინააღმდეგო თავდაცვის სისტემაშიც.

(1941-1945) წლების სსრკ დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ, 1941 წლის აგვისტოში, მიქოიანის და გურევიჩის საკონსტრუქტორო ბიურო ევაკუირებული იქნა მოსკოვიდან.

1942 წლის მარტში, მიქოიანი დაინიშნა საცდელი ქარხნის დირექტორად და მთავარ კონსტრუქტორად. იმავე წლის აპრილში კი, მოვიდა სასიხარულო ცნობა – საკონსტრუქტორო ბიურო ბრუნდებოდა ევაკუაციიდან მოსკოვში.

1942-1944 წლებში მიმდინარეობდა მთელი შრომითი კოლექტი-ვის თავდაუზოგავი მუშაობა ახალ საცდელ გამანადგურებლებზე „ი-211“, „ი-220“, „ი-222“, „ი-224“ 1945 წლის მარტში დაიწყეს თვითმფრინავ-გამანადგურებელ „ი-250“ გამოცდა, მიქოიანის კონსტრუქციით და კომპინირებული ძალოსნური დანადგარით, რომელიც შედგებოდა საპარო-რეაქტიული ძრავებისაგან, ხოლო 1945 წლის მაისში შედგა ამ ფრთიანი მანქანის პირველი გაფრენა. არტემ მიქოიანი არის საბჭოთა კავშირის რეაქტიული ავიაციის ერთ-ერთი პიონერი.

1946 წელს მას მიერიქა „საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორის,, სამხედრო წოდება. მოის შემდგომ პერიოდში, მზადდებოდა ჩქაროსნული და ზეჩქაროსნული საფრონტო რექტიული თვითმფრინავები, (ბევრი მათგანი მზადდებოდა დიდი სერიებით და, დიდხანს იმყოფებოდა საბჭოთა სამხედრო-საპარო ძალების შეიარაღებაში). მათ შორის იყო „მიგ-9“, „მიგ-15“, „მიგ-17“) რომლებმაც მიაღწიეს ბერის სიჩქარეს, „მიგ-19“ (პირველი სერიული სამამულო ზებგერითი გამანადგურებელი), „მიგ-21“ (ორჯერ აჭარბებდა ბერის სიჩქარეს).

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1956 წლის 20 აპრილს განსაკუთრებული დამსახურებისათვის, შეტანილი ახალი საავიაციო ტექნიკის შექმნის საქმეში, მიანიჭა არტემ ივანეს-ძე მიკოიანს

„სოციალისტური შრომის გმირის“ წოდება ლენინის თრდენისა და ოქროს მედალ „ნამგალი და ჩაქუჩის“ გადაცემით.

იმავე 1956 წელს დამთავრდა თვითმფრინავ-გამანადგურებელ „მიგ-19“ შექმნა.

1956 წლის 20 დეკემბერს მიქოიანი დაინიშნა „მიგების“ საკონსტრუქტორო ბიუროს გენერალურ კონსტრუქტორად.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1957 წლის 12 ივლისს განსაკუთრებული დამსახურებისათვის, შეტანილი ახალი რეაქტორული საავიაციო ტექნიკის შექმნის საქმეში, მიანიჭა არტემ ივანეს-ძე მიკოიანს „სოციალისტური შრომის გმირის“ წოდება ლენინის ორდენისა და მეორე ჯერ ოქროს მედალ „ნამგალი და ჩაქუჩის გადაცემით“.

1957 წელს მას მიენიჭა „საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის“ გენერალ-ლეიტენანტის, სამხედრო წოდება.

1968 წლის 26 ნოემბერს იგი აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ბოლო თვითმფრინავები, რომელიც შეიქმნა მიქოიანის ხელმძღვანელობით, იყო გამანადგურებლები „მიგ-21“ (პირველი სსრკ-ში თვითმფრინავი, რომელსაც ჰაერში ფრენისას ეცვლებოდა მთელი ფრთა) და „მიგ-25“, რომლის სისწრაფე სამჯერ აღწევდა ბერის სისწრაფეს. მიქოიანის ხელმძღვანელობით შექმნილ თვითმფრინავებზე დამყარდა 60 მეტი მსოფლიო რეკორდი. მან შექმნა თვითმფრინავმშენებლობის თავისი სკოლა, აღზარდა ბევრი მაღალკვალი-ფიციური კონსტრუქტორი.

1950-1970 წლებში არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ცხოვრობდა მოსკოვში, გარდაიცვალა იქვე და დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე (ნაკვეთი №1).

დაჯილდოებული იყო ლენინის (1940, 1955, 1956, 1965), ოქტომბრის რევოლუციის, წითელი დროშის, სამამულო ომის I ხარ., 2 წითელი ვარსკვლავის ორდენებით. მინიჭებული ჰქონდა ლენინური პრემია (1962), და სტალინური პრემია (1941, 1947, 1948, 1949, 1952, 1953).



Ցեղակալ-Ցոլցոցնոց Ա.Օ. Թուղթունիս Սագլազո  
դա Սանսկիլլեր Հայոց 100 դրամո (2005 թ.)



სტაციონური არასტასის-ქა მიკოლაი  
(12.07.1922-24.03.2017)

ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი (1980)  
საპატიო კავშირის გმირი (03.04.1975)

დაიბადა ტფილისში, ცნობილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის, ანასტას ივანეს-ძე მიქონის (1895-1978) ოჯახში.

1926 წლამდე ოჯახი ცხოვრობდა ქ.დონის-როსტოკში, ხოლო 1926 წელს გადავიდა საცხოვრებლად მოსკოვში, სადაც დაამთავრა 10 კლასი.

1940 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში. 1941 წელს დაამთავრა ქ.კარის მფრინავთა სამხედრო საავიაციო სკოლა. მსახურობდა სამხედრო საპატიო ძალების სამწყობრო ნაწილებში.

1941 წლის დეკემბრიდან მონაწილეობდა (1941-1945) წლების სსრკ დიდ სამამულო ომში, მფრინავ-გამანადგურებლად. იბრძოდა მე-11 საავიაციო გამანადგურებელი პოლკის შემადგენლობაში, რომელიც იცავდა მოსკოვს. მისი თვითმფრინავი, მე-13 საბრძოლო გაფრენისას შეცდომით იქნა ჩამოგდებული სხვა საბჭოთა გამანადგურებლის მიერ, და ვარდნისას მოიტეხა ფეხი. ჰოსპიტლიდან დაბრუნებისას იბრძოდა 32-ე გვარდიული საავიაციო პოლკის შემადგენლობაში, სტალინგრადთან და ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე, შემდეგ მოსკოვის ჰაერსანინაალმდეგო თავდაცვის, მე-12 გვარდიულ საავიაციო პოლკში.

1951 წელს დაამთავრა ნ. შუკოვსკის სახ. სამხედრო-საპატიო საინჟინრო აკადემია და, გადავიდა საფრენოსნო-გამომცდელ სამუშაოზე.

1951 წლიდან მუშაობდა ვ.ჩეკალოვის სახ. სამხედრო-საპაერო ძალების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მფრინავ-გამომცდელად.

1959 წლიდან მუშაობდა ვ.ჩეკალოვის სახ. სამხედრო-საპაერო ძალების, ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საგამომცდელო სამმართველოს უფროსად.

1965 წლიდან მუშაობდა ვ.ჩეკალოვის სახ. სამხედრო-საპაერო ძალების, ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსის პირველ მოადგილედ.

1972 წელს მიენიჭა „ავიაციის გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.


სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 3 აპრილს ახალი საავიაციო ტექნიკის ათვისების საქმეში შეტანილი წვლილი-სათვის და, გამოჩენილი მამაცობისათვის მიანიჭა ავიაციის გენერალ-მაიორ სტეფანე ანასტასის-ძე მიკოიანს „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება, ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემით.

ფრენდა 1978 წლამდე. 1978 წელს გავიდა თადარიგში.

1978 წლიდან მუშაობდა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მოლნიაში“ გენერალური დირექტორის მოადგილედ საფრენოსნო გამოცდებში, მონანილეობდა ცნობილი კოსმოსური ხომალდის „ბურანის“, შექმნასა და გამოცდაში, ხელმძღვანელობდა საორბიტო საფრენი მოდელის „ბორ-4“ მუშაობებში.

1992 წლიდან იყო პენსიაში. ცხოვრობდა მოსკოვში. იყო სსრკ დამსახურებული მფრინავ-გამომცდელი (1963) და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1980).

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ლენინის (1975), წითელი დროშის (1942), სამამულო ომის I ხარ. (1985), წითელი ვარსკვლავის (1944, 1956, 1957, 1966) ორდენებით.



**გიორგი სტეფანეს-ძე ნარიშანოვი  
(ნარიშანიანი)**

**(13.02.1922-10.10.1983)  
საიც.-ტექნ.სამს.გენერალ-მაიორი (1968)**

დაიბადა ტფილისში, სომხურ ოჯახში.

1948 წელს დაამთავრა შუკოვსკის სახ. სამხედრო-საპატიო საინჟინრო აკადემია.

1950 წელს დაუსწრებლად დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1948 წლიდან გადიოდა სამსახურს თავდაცვის სამინისტროს მე-4 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, წამყვანი ინჟინრის თანაშემწედ, წამყვან ინჟინრად, ლაბორატორიის უფროსად, განყოფილების უფროსად, ინსტიტუტის უფროსის მოადგილედ მიმართულების დარგში და, 1962-1965 წლებში, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

1965 წელს გადავიდა სამუშაოდ საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროში, სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1971 წლიდან მუშაობდა კოსმოსური გამოკვლევების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

1983 წლიდან მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის, მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. იყო მსხვილი სპეციალისტი დეფორმირებული საგნების დინამიკის და კოსმოსური ფრენების მექანიკის დარგში.

მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები დაკავშირებულია, დინამიკის თეორიულ გამოკვლევებთან სისტემათა მოძრაობის მდგრადობასთან თხევად და მკრივ ელემენტებთან, კოსმოსური აპარატების და რაკეტების, ასევე კოსმოსური სივრცის გამოკვლევების საერთო პრობლემებთან. გამოკვლევების პროცესში, რომელიც მან ჩაატარა 50-იან წლებში, მიიღო რიგი ორიგინალური სამეცნიერო შედეგებისა, მკვრივი საგნების და შემადგენელი სითხეების ერთობლივი მერყეობის დარგში, რომლებსაც ჰქონდათ ძალზე დიდი მნიშვნელობა, დიდი სიშორის რაკეტების ავტომატური სტაბილიზაციის და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას.

ის მონაწილეობდა საპოლიგონო და სამეთაურო-საზომი კომპლექსების შექმნასა და მათ ბალისტიკურ დასაბუთებაში. შემდგომში სათავეში ედგა, რიგ მსხვილ სამამულო კოსმოსურ პროექტებს და, მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროგრამა „ინტერკოსმოსის“ სარკ-საფრანგეთის გამოკვლევებს, ინდოეთის და საფრანგეთის თანამგზავრების გაშვებას (საბჭოთა რაკეტ-მზიდავებით), სარკ-აშშ-ს პროექტს „სოიუზ-აპოლონს“ მისი მონაწილეობით იყო განხორციელებული „კოსმოსის“ და „პროგნოზის“ სერიათა ავტომატური უნივერსალური საორბიტო სადგურების და, საკვლევ რაკეტა „ვერტიკალის“ წარმატებული გაშვება კოსმოსში. შეიტანა საგრძნობი ღვანლი პროგრამით გათვალისწინებულ, სადგურ „ლუნა-16“ მიერ, მთვარის გრუნტის დედამინაზე ჩამოტანის საქმეში და, კოსმონავტიკის ისტორიაში, პირველი ორბიტალური სამეცნიერო სადგურ „სალუტის“ ავტომატურ და, პილოტირებულ ხანგრძლივ და საცდელ რეჟიმში ფრენას. მუშაობდა საერთაშორისო ასტრონავტიკული ფედერაციის მკვლევართა ჯგუფში (საფრანგეთში), გეოსტაციონარული ორბიტების გამოყენების პრობლემებზე. საბჭოთა დელეგაციების შემადგენლობაში, მონაწილეობდა საერთაშორისო ასტრონავტიკული ფედერაციის XXIV-ე და XXX-ე კონგრესერბში იუგოსლავი-

ასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მრავალი წელი იყო უურნალ „ზემლია და ვსელენაიას“ რედკოლეგიის წევრი და გამომცემლობა „მაშინოსტრონიეს“ სარედაქციო საბჭოს, კოს-მონავტიკის სექციის თავმჯდომარე.

მინიჭებული ჰქონდა ფიზიკა-მათემატიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (1959) და პროფესორის წოდება (1962). იყო ლენინური პრემიის ლაურეატი (1957)

დაჯილდოებული იყო „ლენინისა“ (1961) და „შრომის წითელი დროშის“ (1976) ორდენებით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ.მოსკოვში.



გენერალ გ.ნარიმანოვის საფლავი კუნცევოს  
სასაფლაოზე (მე-10 ნაკვეთზე)



არაქელ კარაპეტის-ძე ოგანიზოვი  
(03.03.1907 – 23.05.1971)

გენერალ-მაიორი (1953)

დაიბადა ტფილისში, მეწალის ოჯახში.

შრომითი სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა სამშენებლო ტექნიკუმში. სამი წელი მუჟაშაობდა მებეტონეთ ახალ ბაქოს მშენებლობებზე.

1928 -1931 წლებში სწავლობდა ამიერკავკასიის ქვეით სამხედრო სკოლაში.

1931 წლიდან, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მსახურობდა 22-ე მსროლელი დივიზიის, 65-ე მსროლელი პოლკის ოცმეთაურად, ასეულის მეთაურის თანაშემწედ.

1938-1939 წლებში, მონაწილეობდა ხასანის ტბასთან და მდინარე ხალხინ-გოლთან (მონდოლეთი), წარმოებულ ბრძოლებში.

მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის (1941-1945) წლების დიდ სამამულო ომში.

1945 წლის აგვისტოში, დივიზიამ მისი მეთაურობით, გაათავისუფლა მანჯურიის მთელი რიგი ქალაქები და დასახლებული პუნქტები.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო 2 წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.



გენერალ-მაიორ ა.კ.ოგანეზოვის საფლავი  
ქ.სოჭში, ძველ სასაფლაოზე

**ოვანეს სედრაკის-ძე ოვანოლებიანი  
(1901-28.06.1958)**

**არტილერიის გენერალ-მაიორი  
(03.08.1953)**



დაიბადა ტფილისის გუბერნიის, სოფელ ახალქალაქში, ღვინის მაღაზიის მფლობელის ოჯახში.

1919 წელს წარმატებით დაამთავრა ტფილისის ნერსესიანის სომხური სასულიერო სასწავლებელი და გადავიდა საცხოვრებლად ქ.ალექსანდროპოლში (ერევნის გუბ., ახლ.ქ.გიუმრი), სადაც დაიწყო მუშაობა საკუნიგზო ტელეგრაფზე.

1920-1921 წლებში სწავლობდა სამეთაურო კურსებზე ქ.ბაქოში. სამხედრო სამსახური დაიწყო ოცმეთაურად.

1922-1924 წლებში მსახურობდა შავიზლვის სანაპირო დაცვის საარტილერიო ნაწილებში.

1924-1926 წლებში მსახურობდა ბალტიის ზღვის სანაპირო დაცვის პოლკის, ცალკეული საარტილერიო ბატარეის მეთაურად.

1927 -1931 წლებში სწავლობდა ძერუჟინსკის სახ. საარტილერიო აკადემიაში, ლენინგრადში.

1932-1934 წლებში მსახურობდა სომხური საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსად.

1934-1935 წლებში მსახურობდა საარტილერიო პოლკის მეთაურად.

1935-1939 წლებში მსახურობდა ჰაერსანინაალმდევო თავდაცვის ბრიგადის შტაბის უფროსად და პოლკოვნიკის წოდებით.

1939 წელს გადმოყვანილ იქნა მოსკოვში, ნითელი არმიის მსროლელ-ტექნიკური კომიტეტის უფროსად.

ამ თანამდებობაზე მან გამოავლინა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი, ჰაერსანინააღმდეგო თავდაცვის ჯარების საბრძოლო მომზადების, მოწინავე გამოცდილების ხედვის და შეფასების ცოდნა. იგი ავტორია რიგი შრომებისა, საზენიტო ცეცხლის თეორიის და პრაქტიკის დარგში. ოვანოლლიანის წინადადებები და დამუშავებები, წარმატებით იყო გამოყენებული საბრძოლო მოქმედების დროს, სსრკ დიდ სამამულო ომში. ომის შემდგომ პერიოდში, 1948 წლიდან მუშაობდა საკანდიდატო დისერტაციაზე, რომელიც ეხებოდა საზენიტო არტილერიის ხარისხობრივი განახლების საკითხებს.

1950-იანი წლების დასაწყისში საზენიტო არტილერიამ დაიწყო შეიარაღება, ახალ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით, მართვის თანამედროვე ხელსაწყოებით და, საიარალო დარტყმის სადგურებით.

1951 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და, მიენიჭა სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მისი პირადი და უშუალო მონაწილეობით იყო დამუშავებული რიგი სამეცნიერო-კვლევითი შრომებისა საზენიტო არტილერიის სროლის თეორიის და პრაქტიკის საკითხებში, რომლებმაც ჰპოვეს ეფექტური პრაქტიკული გამოყენება (1941-1945) წლების სსრკ დიდ სამამულო ომში.

1956 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფობის გამო.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი დროშის და 2 წითელი ვარსკვლავის ორდენებით.



პორის ართემის-ძე აააინიანი  
(19.07.1913- 1993)

საინფერდანტო სამს.  
გენერალ-მაიორი (22.02.1963)

დაიბადა ქ.ახალციხეში, ხელოსნის ოჯახში.

1928 წელს დაამთავრა სააშუალო სკოლა. 1931 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ჰიდროტექნიკური ტექნიკუმი.

1931-1934 წლებში მუშაობდა ახალციხის სასაზღვრო რაზმში, სასაზღვრო საგუშავოების მშენებლობის მნარმოებლად.

1934 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში. მსახურობდა 1-ლ ქართულ მსროლელ პოლკში (ტფილისში).

1935 წლიდან მსახურობდა ახალციხის სამხედრო კომისარი-ატში, შემდეგ საქართველოს სამობილიზაციო ოლქში (ტფილისში), რომელსაც 1938 წელს ეწოდა საქართველოს სსრ სამხედრო კომო-სარიატი.

1940 წელს გადაიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში.

(1941-1945) წლების სსრკ დიდი სამამულო ომის დაწყებისთანა-ვე, მონაწილეობას იღებდა 89-ე სომხური, 414-ე და 276-ე ქართული მსროლელი დივიზიების ფორმირებაში.

1954 წლამდე მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში.

1954-1964 წლებში მსახურობდა გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში.

1964-1967 წლებში მსახურობდა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოადგილედ.

გენერალ-მაიორი პაპინიანი წლების განმავლობაში ითვლებოდა საინტენდანტო სამსახურის მსხვილ მუშაკად, სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით და მოწონებით რიგ სამხედრო ოლქების ჯარებში. მას არ ჰქონდა სპეციალური სამხედრო მომზადება გავლილი, მაგრამ მან დამოუკიდებლად მოიპოვა ფართო პროფესიული თვისებები, და ღრმად ერკვეოდა საინტენდანტო სამსახურის ყველა წვრილმანში.

1967 წელს გავიდა თადარიგში.

დაჯილდოებული იყო ნითელი დროშის, 2 ნითელი ვარსვლავის, სამამულო ომის II ხარ.(1985) ორდენებით და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

**ართავაზდ არამის-ქე საგოიანი  
(16.01.1904-17.10.1971)**

**კონტრ-ადმირალი**



დაიბადა ქ.ახალციხეში.

1922 წლიდან მსახურობდა სამხედრო-საზღვაო ძალებში.

1924 წელს დაამთავრა ბათონის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, ხოლო 1927 წელს მ.ფრუნზეს სახ. უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, 1931 წელს კი წითელი არმიის სამხედრო-საზღვაო ძალების სამეთაურო შემადგენლობის სპეციალური კლასის საარტილერიო ფაკულტეტი.

მსახურობდა ვოლგის და დნეპრის სამხედრო ფლოტილიების სხვადასხვა გემებზე.

1941 წელს დაამთავრა კ.ვოროშილოვის სახ. სამხედრო-საზღვაო აკადემიის საარტილერიო ფაკულტეტი, რომლის შემდეგ მსახურობდა ბალტიის ფლოტზე მსუბუქი ძალების რაზმის ფლა-გმანის არტილერისტად.

მონაწილეობდა 1941-1945 წლების საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში.

ტალინის თავდაცვის დროს ხელმძღვანელობდა მთელი ტალი-ნის რეიდის გემების საარტილერიო მზადყოფნას. მისმა რაზმმა მოახერხა 1941 წლის 28 აგვისტოს გერმანული ნაწილების მიერ მდინარე ნაროვას ფორსირების შეკავება, სადაც მძიმედ დაიჭრა.

ლენინგრადის მთელი ბლოკადის დროს იყო ბალტიის ფლოტის ესკადრის შტაბის უფროსი საბრძოლო და ოპერატიულ მუშაობაში.

პირადად ხელმძღვანელობდა ფლოტის ხომალდების არტილერიის საბრძოლო გამოყენებას. მონაწილეობას დებულობდა ბალტიკაზე მრავალ საბრძოლო ოპერაციაში.

ლენინგრადის ბლოკადის საბოლოო მოხსნისას მეთაურობდა მე-2 ჯგუფის ხომალდების არტილერიას, წარმატებულად დაა-მუშავა ოპერაციის გეგმა და პირადად ხელმძღვანელობდა საარ-ტილერიო შეტევას.

ომის შემდგომ პერიოდში მსახურობდა სამხედრო-საზღვაო ფლოტზე.

1947-1951 წლებში მსახურობდა სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარ არტილერისტად.

1951-1953 წლებში მსახურობდა სამხედრო-საზღვაო ძალების №2 ინსტიტუტის უფროსის მოადგილედ.

1953-1956 წლებში მსახურობდა ა. კრილოვის სახ. გემთმ-შენებლობისა და ფლოტის სახეობათა შეიარაღების კათედრის უფროს მასწავლებლად.

1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სამხედრო-საზღვაო მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

იყო სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

1959 წელს გავიდა თადარიგში.

გარდაიცვალა მოსკოვში. დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

დაჯილდოებული იყო ლენინის (1947), 4 ნითელი დროშის (1942, 1944, 1944, 1956), ნახიმოვის II ხარ. (1944) და სამამულო ომის I ხარ. (1946) ორდენებით.



**პორის კონსტანტინეს-ძე სალამბეგოვი  
(12.12.1907 – 01.07.1978)**

**I რანგის გზათა მიმოსვლის  
გენერალ-დირექტორი\* (1949)**

**სოციალისტური შრომის გმირი  
(05.11.1943)**



დაიბადა ტფილისში. დაამთავრა მუშაური ფაკულტეტი (მუშფაკი).

1926 წლიდან მუშაობდა სარკინიგზო ტრანსპორტში, ტფილისის ორთქლმავალ დეპოს მემანქანის პრაქტიკანტად და მემანქანედ.

1930 წელს ჩააბარა გამოცდები ლენინგრადის სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1935 წელს სპეციალობით - „ორთქლმავალი ტრანსპორტის ინჟინერ-მექანიკოსი“. იმავე წელს იქნა განაწილებული ოქტომბრის რეინიგზის, ლენინგრად-მოსკოვის-სამგზავროს ხაზზე, სადაც მუშაობდა ტექნიკური ბიუროს ინჟინრად, ოსტატად, დეპოს უფროსის მოადგილედ.

უკვე 1937 წელს ის დაინიშნა ოქტომბრის რკინიგზის ლენინგრად-მოსკოვის-სამგზავროს სადგურის დეპოს უფროსად (მისი წინამორბედის მაგივრად, რომელიც რეპრესირებულ იქნა). იქ გამოავლინა მან თავისი თავი, როგორც ტრანსპორტის ინიციატივიანმა ხელმძღვანელმა. მისი მონაწილეობით დეპოში დამუშავდა და დაინერგა ორთქლმავლების რემონტის ახალი რაციონალური ტექნო-

---

**მოძრაობის I რანგის გენერალ-დირექტორი** - სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაკთა სპეციალური პერსონალური წოდება, რომელიც არსებობდა საბჭოთა კავშირში 1943-1954 წწ. უტოლდებოდა გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას.

ლოგიური პროცესი, რის შედეგადაც ლოკომოტივების დგომა შემცირდა ოთხჯერ.

1939 წელს, სალამპეგოვი დანიშნეს ოქტომბრის რკინიგზის უფროსის მოადგილედ. ამ თანამდებობაში შეხვდა ის დიდ სამამულო ომს.

დაწინაურდა 1941 წლის მონინაალმდეგის შეტევის ურთულეს პირობებში, როცა უზრუნველყოფდა სარკინიგზო შემადგენლობებით სანარმოთა და მოსახლეობის ევაკუაციას, ჯარების და მოქმედი არმიისათვის მატერიალური რესურსების გადაზიდვებს.

1942 წლის თებერვალში დაინიშნა ოქტომბროს რკინიგზის უფროსად. ამ თანამდებობაზე იგი დაწინაურდა 1942 წელს, ლადოგის პორტთან, „დიდ მიწაზე“ ლადოგის ნაპირიდან ბლოკადაში მყოფ ლენინგრადთან, სარკინიგზო ხაზების მშენებლობისას. უმოკლეს ხანში აშენებული და, პრაქტიკულად სამშენებლო მასალების მოუწოდებლად, ადგილობრივი რესურსების ხარჯზე, ეს ხაზები საგრძნობლად ამაღლებდნენ ტვირთბრუნვას ბლოკადაში მყოფი ქალაქისა.

როცა 1944 წლის იანვარში იყო გარღვეული ლენინგრადის ბლოკადა, ლადოგის ტბის ვიწრო დერეფნით, იყო სასწრაფოდ დაგებული ახალი სარკინიგზო ხაზი და, ბორის სალამპეგოვმა პირადად გაუკეთა ორგანიზება მატარებლების მოძრაობას.

ამ გზას არა აქვს ანალოგი მსოფლიოს ისტორიაში - ლამის 20 კმ სარკინიგზო მაგისტრალი გადიოდა ფრონტის ხაზის პარალელურად, ჭაობების გავლით, მონინაალმდეგის საველე არტილერიის თვალთახედვის არეალში, აქ არაა ლაპარაკი მონინაალმდეგის შორსმისროლელ იარაღზე და ავიაციაზე. ხაზის დაზიანებები ხდებოდა ყოველდღიურად, მათ გასწრივ აყუდებული იყო მონინაალმდეგის განადგურებული მატარებლები და ვაგონები. მაგრამ ოქტომბრის მაგისტრალის რკინიგზელებმა, ერთობლივად, სარკინიგზო ჯარების მებრძოლებთან ერთად მოახდინეს ყველა დაზიანებების ლიკვიდაცია უმოკლეს ვადებში.

სალამპეგოვმა შესთავაზა სარკინიგზო ხაზზე მოძრაობის ახალი ორგანიზაცია – ერთ ლამეში შემადგენლობები მოძრაობადნენ ლენინგრადის მიმართულებით ერთი მეორისგან, 100-200 მეტრის

დაშორებით და ასევე ბრუნდებოდნენ უკან. ჩვეულებრივ პირობებში ასეთ ხაზზე შეეძლოთ გავლა 3-4 მატარებელს, ჩრდილოეთის მოკლე ზაფხულის ღამეში, რეალურად კი გადიოდა 30-დან 35-ე მატარებელი. გზის გასწვრივ იდგნენ ცოცხალი სემაფორები – რკინიგზელები ხელში ფარნებითა და რაციებით, რომლებიც აძლევდნენ სიგნალებს მატარებლების ყოველ ბრიგადას, მდგომარეობიდან გამომდინარე. ბევრი მათგანი დაიღუპა თავის პოსტზე.

იმ დროს ეს მოკლე ხაზი იყო მთავარი გზა ოქტომბრის მაგისტრალისა და სალამბეგოვი ცხოვრობდა მასზე კვირეებით, დაბომბვებისა და სროლების ქვეშ, მარტო ხელჭევითებს კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ აჩვენებდა მათ პირადი მამაცობის მაგალითებს. არც ერთმა მისმა თანამშრომელმა არ იცოდა გზის უფროსის პირად ტრაგედიაზე - ბლოკადით მოცულ ლენინგრადში მას დაეღუპა მეულლე. ადვილად არ იყო საქმეები დანარჩენ მაგისტრალზეც – პრაქტიკულად მთლიანად ის იყო მოწინააღმდეგის ავიაციის მოქმედების ზონაში.

ჰიტლერელებმა ბრწყინვალედ იცოდნენ მისი სტრატეგიული მნიშვნელობა. ოქტომბრის რკინიგზა უზრუნველყოფდა 5 ფრონტს (ლენინგრადის, კარელის, ვოლხოვის, ჩრდილო-დასავლეთის, კალინინის და დასავლეთის ნაწილის) და სამხედრო ტვირთების მიწოდებას, რომელიც „ლენდ-ლიზით“ მოდიოდა მურმანსკიდან და არხანგელსკიდან, ცენტრალურ და სამხრეთის სტრატეგიულ მიმართულებებზე. სადგურების, შემადგენლობების და რკინიგზის საფარის ბომბარდირება მიმდინარეობდა შეუწყვეტლივ. მაგრამ მატარებლები მოძრაობდნენ შეუფერხებლად. სალამბეგოვის ოსტატური ხელმძღვანელობისა და რკინიგზის მუშაკთა მამაცობის მადლით, მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო გზის მწყობრიდან გამოყვანა.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1943 წლის 5 ნოემბერს „განსაკუთრებული დამსახურებისათვის, შეტანილი ფრონტისათვის და სახალხო მეურნეობისათვის გადაზიდვების უზრუნველყოფის საქმეში და სამხედრო დროის უმძიმეს პირობებში სარკინიგზო მეურნეობის აღდგენისას“ მიანიჭა ბორის კონსტანტინეს-ძე

სალამბეგოვს „სპეციალისტური შრომის გმირის“ წოდება ლენინის ორდენისა და ოქროს მედალ „ნამგალი და ჩაქუჩის გადაცემით“.

1943 წელს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მას მიენიჭა „მოძრაობის გენერალ-დირექტორის II რანგის“ სპეციალური პერსონალური წოდება (რომელიც უდრიდა „გენერალ-ლეიტენანტის,, სამხედრო წოდებას).

ლენინგრადის განთავისუფლების შემდეგ გამოცდილი ხელმძღვანელი წავიდა დაწინაურებაზე.

1946-1947 წლებში ხელმძღვანელობდა რკინიგზის ჩრდილო-დასავლეთის ოლქს.

1947-1950 წლებში-ხელმძღვანელობდა ვოლგისპირა რკინიგზის ოლქს.

მაგრამ, 1950 წელს სალამბეგოვი მოხსნეს თანამდებობიდან. მიზეზი კი ის იყო, რომ ის გადიოდა ე.ნ. „ლენინგრადის საქმეზე“ სხვა ბრალდებულებთან ერთად და, მისი გვარი ასევე იყო მოხსენებული დაკითხვების უამრავ პროტოკოლში. სალამბეგოვი დააქვევეითეს რამოდენიმე საფეხურით - იგი გადაიყვანეს მოსკოვ-კიევის რკინიგზაზე, ერთ-ერთი განყოფილების მთავარ ინჟინრად.

მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს ის კვლავ დააწინაურეს.

1954-1957 წლებში მუშაობდა ომსკის რკინიგზის უფროსის I მოადგილედ, ხოლო 1957 წლიდან ომსკის რკინიგზის უფროსად.

1959-1961 წლებში მუშაობდა კრასნიორსკის რკინიგზის უფროსად, ხოლო მისი გამსხვილების შემდეგ, 1961 წლიდან მუშაობდა აღმოსავლეთ-ციმბირის რკინიგზის უფროსად (გზის სამმართველო განლაგებული იყო ქ.ი.რკუტსკში) სწორედ მაშინ მიმდინარეობდა ტრანსციმბირული მაგისტრალის ფართომასშტაბიანი ტექნიკური გადაიარაღება და ელექტროფიკაცია, რადგან სალამბეგოვს ჰქონდა „ორთქელმავლური“ განათლება, რათა ყოველმხრივ დაეუფლოდა ახალ პრობლემებს, მან დაუსწრებლად დაამთავრა რკინიგზის ტრანსპორტის საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტი „საგზაო მეურნეობის ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის“ სპეციალობით. სალამბეგოვის ხელმძღვანელობისას, აღმოსავლეთ-ციმბირის რკინიგზა

სტაბილურად ინარჩუნებდა პირველობას სსრკ სხვა რკინიგზებში, მუშაობის მაჩვენებელთა შორის და ითვლებოდა სსრკ საუკეთესო რკინიგზად. შეიძლება ითქვას, რომ 40 წლის შემდეგაც, ბორის სა-ლამბეგოვის სახელს იცნობს აღმოსავლეთ-ციმბირის მაგისტრა-ლის ყოველი რკინიგზელი.

1964-1968 წლებში მუშაობდა სსრკ გზათა მიმოსვლის სამინის-ტროს, სავაგონო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსად.

1968 წელს გავიდა პენსიაში. 1978 წლამდე მუშაობდა რკინიგ-ზის ტრანსპორტის, საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ-ში, მეცნიერ თანამშრომლად. ცხოვრობდა მოსკოვში. გარდაიცვა-ლა იქვე. დაკრძალულია კუნცევოს სასაფლაოზე (ნაკვეთი 10). და-ჯილდოებული იყო 3 ლენინის, სამამულო ომის I ხარ., 2 შრომის წი-თელი დროშის და საპატიო ნიშნის, ორდენებით. მიღებული ჰქონდა 3 საპატიო რკინიგზელის სამკერდე ნიშანი.

1946-1950 წლებში არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დე-პუტატად.

მემორიალური დაფები ამშვენებს აღმოსავლეთ-ციმბირის რკინიგზის სამმართველოს შენობას (ქ.ირკუტსკი),

ჩქაროსნული ელმავლების ახალი სერია, რომლებსაც უშვებს კოლომენსკის ქარხანა, 2004 წლიდან ატარებს ბორის სალამბეგო-ვის სახელს – ТЭП70 БС.

1999 წელს იქნა გამოშვებული სპეციალური ბანკოტების სე-რია მიძღვნილი კრასნოიარსკის რკინიგზის 100-წლისთავისადმი. 100-მანეთიან კუპიურას ამშვენებს ბორის სალამბეგოვის გამოსა-ხულება.

2007 წელს რუსეთში საზეიმოდ აღინიშნა ბორის სალამბეგოვის 100 წლისთავი.



ბ.კ.სალამბეგოვის ძეგლი მოსკოვში, კუნცევოს სასაფლაოზე

ბ.ს.სალამბეგოვის ძეგლი, რომელიც გაიხსნა 2013 წლის 25 დეკემბერს, სანქტ-პეტერბურგ-მოსკოვის სამგზავრო სადგურის საექსპლუატაციო- სალოკომოტივო დეპოს სადგურის ადმინისტრაციულ კორპუსთან (დნეპროპეტროვსკის ქუჩაზე), (სკულპტორი სალავატ შჩერბაკოვი, ბრინჯაო, გრანიტი)

ბ.კ. სალამბეგოვის მემორიალური დაფა ომსკის რკინიგზის ყოფილი სამმართველოს შენობაზე



Нұжаровасындағы үлгімәзлігіндең ақсауда үеңкіндер, өзмәлдіктердең үшінші орындастырылған 2004 жылдың 20 ақтүркесіндең өткізуіндең негізгі мүшкіндердің бірі – ТЭП70 БС.



100-мәндеу таңбасының үшінші орындастырылған  
д.з. 100-мәндеу таңбасының үшінші орындастырылған.



რაიონი გევორქის-ძე სიმონიანი  
(01.01.1919-29.06.2000)

გენერალ-მაიორი (1970)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის სოფ-კუშ-ჩიში, გლეხის ოჯახში. დაამთავრა მოსკოვის ქვეითი სასწავლებელი.

1939 წლიდან მსახურობდა მსროლელი ოცეულის მეთაურად (ქ.უმანი, უკრაინის სსრ).

1940 წლის ივნისში ჩაირიცხა მ.ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადე-მიის მსმენელად (დაამთავრა 1952 წელს).

(1941-1945) წლების სსრკ დიდი სამამულო ომის დაწყებისთა-ნავე დაინიშნა ბატალიონის შტაბის უფროსად.

1942-1943 წლებში მოღვაწეობდა მ.ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში.

1943 წელს მონაწილეობდა კურსკის ბრძოლაში. 1944 წელს იყო რა შტაბის ოფიცერი, მონაწილეობდა ბელორუსიის ფრონტის შე-ტევითი ოპერაციების განხორციელებაში.

1945 წელს მას ვადაზე ადრე 26 წლის ასაკში მიენიჭა პოდპოლ-კოვნიკის სამხედრო წოდება, ხოლო 1950 წელს, 31 წლის ასაკში პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1956 წელს გახდა კ.ვოროშილოვის სახ. გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის მსმენელი. აკადემიის დამთავრების შემდეგ, მსახურობდა ერთ-ერთი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოად-გილედ.

1960-1968 წლებში მსახურობდა მ.ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის ერთ-ერთი კათედრის გამგედ. მინიჭებული ჰქონდა „სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის“ ხარისხი (1968) და პროფესორის (1970) წოდება.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინები-სათვის დაჯილდოებული იყო 2 წითელი დროშის, სამამულო ომის I და II ხარ., 2 წითელი ვარსკვლავის, სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის III ხარ. ორდენებით. მიღებული ჰქონდა პოლონეთის მამაცოა ჯვარი.



რუბენ ტიგრანის-ძე ტერ-სააკოვი  
(1906- 1996 წ.პ.)

კავშირგაბმულობის ჯარების  
გენერალ-მაიორი (18.02.1958)

დაიბადა ქ. ტფილისში.

1921 წელს დაიწყო მუშაობა მდებავის მოწაფედ, ტფილისის ორთქლმავლების მთავარ სახელოსნოებში. ამავდროულად სწავლობდა მუშავაკზე და, მუშაობდა გაზეთ „იზვესტიების“ ტფილისის განყოფილებაში გაზეთის დამტარებლად.

1925 წელს ჩააბარა ტფილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმში, მაგრამ 1926 წელს ტექნიკუმის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, იგი გადაჰყავთ სასწავლებლად მოსკოვის კავშირგაბმულობის ტექნიკუმში.

1928 წლიდან, ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, გაანაწილეს ქ.ხარკოვში, მოგვიანებით მუშაობდა ტფილისის კავშირგაბმულობის კვანძში.

1930 წელს განათლების მისაღებად გააგზავნეს მოსკოვის კავშირგაბმულობის ინსტიტუტში.

1932 წელს მოსკოვის კავშირგაბმულობის ინსტიტუტის ბაზაზე, შეიქმნა კავშირგაბმულობის საინჟინრო-ტექნიკური აკადემია.

1935 წელს ტერ-სააკოვმა დაამთავრა ამ აკადემიის სამხედრო ფაკულტეტი.

III რანგის სამხედრო ინჟინრის წოდებით, ის ჯერ იქნა დანიშნული საავიაციო რაზმის კავშირგაბმულობის უფროსად, შემდეგ საავიაციო პოლკის კავშირგაბმულობის ავტომატური კავშირების

ხელსაწყოების, სიგნალიზაციის, საჰაერო დაკვირვების და კავშირ-გაბმულობის ინჟინრად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში.

(1941-1945) წლების სსრკ დიდი სამამულო ომის დაწყებისთა-ნავე, ტერ-სააკოვის ყურადღების ცენტრში მოექცა კავშირგაბმუ-ლობის ტექნიკის მზადყოფნა და სათანადო სპეციალისტების მომ-ზადება.

1943 წლის მარტში იგი დაინიშნა ჰაერსანინაალმდეგო თავდაც-ვის ჯარების, კავშირგაბმულობის რემონტის და უზრუნველყოფის განყოფილების უფროსად. ომის შემდეგ გაიარა გზა წამყვანი სპე-ციალისტიდან, ჰაერსანინაალმდეგო თავდაცვის ჯარების ოლქის კავშირგაბმულობის ჯარების უფროსამდე. მან პირადად დაამუშა-ვა რამოდენიმე პროექტი ჰაერსანინაალმდეგო თავდაცვის ჯარების რაიონის, კავშირგაბმულობის კვანძების მოწყობასა და ორგანიზა-ციისათვის. ერთ-ერთი მისი პროექტი მოწონებული იქნა და დანერ-გილი ჰაერსანინაალმდეგო თავდაცვის ჯარების, საკომანდო პუნქ-ტის მოწყობისას.

1949 წლის მაისში მას მიენიჭა ინჟინერ-პოლკოვნიკის სამხედ-რო წოდება.

1953 წლის ოქტომბერში დაინიშნა ოლქის კავშირგაბმულობის ჯარების უფროსად.

1960 წელს ჯანმრთელობის გამო გავიდა თადარიგში. დაჯილ-დოებული იყო წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდე-ნებით.



გარიუს არამის-ძე იუზგაშიანი  
(03.04.1924-21.06.1993)

გენერალ-ლეიტენანტი (1985)

დაიბადა ქ.ბათომში (აჭარის ასსრ).

1941 წელს ოჯახი გადმოვიდა საცხოვრებლად თბილისში.

1943 წლიდან მსახურობდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში.

1943-1944 წლებში სწავლობდა თბილისის შინსახკომის სკოლაში.

სსრკ (1941-1945) წლების დიდი სამამულო ომის დროს, 1943-1944 წლებში იყო მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედ, რიგი პარტიზანული რაზმების მეთაურის მოადგილე.

1945-1988 წლებში მსახურობდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. დაიწყო სამსახური იმიერკარპატიის ოლქის, შინსახკომის სამმართველოს ოპერრწმუნებულის თანაშემწის თანამდებობაზე.

1960-1967 წლებში მსახურობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლობის, მე-3 განყოფილების უფროსის მოადგილედ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1972-1978 წლებში მსახურობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, I მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) უფროსის მოადგილედ.

1978-1988 წლებში მსახურობდა სომხეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

1978 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

1988 წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

მოკლეს ერევანში სამი გასროლით, როცა აკეთებდა დილის ფიზკულტურას, კომიტასის სახელობის პანთეონის ტერიტორიაზე ერევანში. მკვლელობა დღემდე გაუხსნელია.

დაკრძალულია მოსკოვში.

დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, წითელი დროშის, სამამულო ომის I და II ხარ., 2 წითელი ვარსკვლავის ორდენით.



ამაია ზაქარიას-ძე ქობულოვი  
(1906-26.02.1955)

გენერალ-ლეიტენანტი (09.07.1945)

დაიბადა ტფილისში, მკერავის ოჯახში. გენერალ ბ.ქობულოვის უმცროსი ძმაა. დაამთავრა ტფილისის სავაჭრო სკოლის 5 კლასი 1916 წელს, „ცეკავშირის“ კოოპერაციული კურსები 1925 წელს და ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის, კოოპერაციული კურსები 1926 წელს.

1921 წლიდან მსახურობდა რიგითად, სადგურ აღსტაფას (აზერბაიჯანის სსრ), 237-ე საეტაპო მონაკვეთზე.

1923-1924 წლებში მუშაობდა ახალციხის რაიონის სახალხო სა-სამართლოს მდივნად.

1924-1925 წლებში მუშაობდა ბორჯომის რაიალმასკომის მო-ლარედ.

1925 წელს მუშაობდა მუშათა კოოპერატივის ბუღალტერ-ინს-ტრუქტორად.

1926-1927 წლებში მუშაობდა ბორჯომის შუშის ქარხნის სტა-ტისტიკოსად.

1927 წელს მუშაობდა ტფილისის 26 კომისრების სახ.ქარხანაში ბუღალტრად.

1927 წლიდან მსახურობდა შინსახეომის სისტემაში.

1927-1928 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ, სახელმწი-ფო პოლიტიკური სამმართველოს, საფინანსო განყოფილების ბუ-ღალტრად.

1928-1929 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საფინანსო განყოფილების სრულუფლებიან წარმომადგენლად ამიერკავკასიის ფედერაციაში.

1929-1930 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ეკონომიკური განყოფილების სრულუფლებიან წარმომადგენლად ამიერკავკასიის ფედერაციაში.

1930-1931 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ეკონომიკური განყოფილების, სრულუფლებიანი წარმომადგენლის, I განყოფილების რწმუნებულად და უფროს რწმუნებულად ამიერკავკასიის ფედერაციაში.

1934-1935 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის ფედერაციის, შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს, ეკონომიკური განყოფილების ოპერრონმუნებულად.

1935-1937 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ, შინსახკომის სამმართველოს ეკონომიკური განყოფილების მე-4 განყოფილების უფროსად.

1937 წელს დაინიშნა საქართველოს სსრ, შინსახკომის სამმართველოს ეკონომიკური განყოფილების მე-4 განყოფილების, მე-3 ქვეგანყოფილების უფროსად და, შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს, I განყოფილების, მე-2 ქვეგანყოფილების უფროსად.

1937-1938 წლებში მსახურობდა ახალციხის რაიონის შინსახკომის უფროსად.

1938 წელს დაინიშნა შინსახკომის გაგრის რაიონული განყოფილების უფროსად და აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის შემსრულებლად.

1938-1939 წლებში მსახურობდა უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის I მოადგილედ.

1939-1941 წლებში მსახურობდა გერმანიაში სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენლის მრჩევლად.

1941-1945 წლებში მსახურობდა უზბეკეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრად.

**1943 წლის 14 თებერვალს** მიენიჭა „სახელმწიფო უშიშროების კომისრის III რანგის“ წოდება. 1945 წელს დაინიშნა სსრკ შინსახე-კომის, სამხედრო ქონების მთავარი სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსად.

1938 წელს არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1945-1951 წლებში მსახურობდა სსრკ შინსახეკომის – შსს-ს სამხედრო ქონების მთავარი სამმართველოს, ოპერატიული სამმართველოს უფროსად.

1951-1953 წლებში მსახურობდა შსს-ს სამხედრო ქონების მთავარი სამმართველოს უფროსად – ბანაკების მთავარი სამმართველოს უფროსის I მოადგილედ.

1953 წლის მაის-ივნისში მსახურობდა შსს-ს საკონტროლო ინსპექციის უფროსის მოადგილედ.

1953 წლის 27 ივნისს დააპატიმრეს „ბერიას საქმესთან“ დაკავშირებით.

1954 წლის 1 ოქტომბერს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - „დახვრეტა“ დახვრეტილია. არაა რეაბილიტირებული.

დაჯილდოებული იყო წითელი დროშის (1944,1944), წითელი ვარსკვლავის (1944), კუტუზოვის II ხარ.(1945), შრომის წითელი დროშის ორდენებით, აგრეთვე „შინსახეკომის საპატიო მუშავის“ (1937) და „შსს დამსახურებული თანამშრომლის“ (1948) სამკერდე ნიშნებით.

**ბოგდან (გახრო) ზაქარიას-ძე  
ქობულოვი  
(01.03.1904-23.12.1953)**

**გენერალ-აოლკომინი (09.07.1945)**



დაიბადა ტფილისში, მკერავის ოჯახში. გენერალ ა.ქობულოვის უფროსი ძმაა. დაამთავრა ტფილისის გიმნაზია 1922 წელს.

1921 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში, სასწავლო-საკადრო პოლკის რიგითად.

1921-1922 წლებში მსახურობდა კავალერიის 66-ე ბრიგადაში. მონაწილეობდა ტფილისის საქალაქო კომიტეტის, 26 კომისარების სახ. რაზმის შექმნაში, იყო რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1922 წლიდან მსახურობდა შინსახკომის სისტემაში.

1922-1923 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ საგანგებო კომისიაში.

1923-1924 წლებში მსახურობდა ახალციხის მაზრის საგანგებო კომისიის პოლიტბიუროს თანამშრომლად.

1924-1925 წლებში მსახურობდა საქართველოს საგანგებო კომისიის საინფორმაციო პუნქტის თანამშრომლად ქ.ბორჯომში.

1925 წელს მსახურობდა საგანგებო კომისიის, საინფორმაციო პუნქტის თანამშრომლად ქ.ახალქალაში.

1926 წელს მსახურობდა საგანგებო კომისიის, საინფორმაციო პუნქტის თანამშრომლად დაბა მანგლისში.

1926 წლიდან მსახურობდა ამიერკავკასიის და საქართველოს გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოებში.

1931 წლამდე მსახურობდა ამიერკავკასიის გაერთიანებული პოლიტიკურ სამმართველოს, საიდუმლო განყოფილების უფროს ოპერატორებულად.

**1931-1932** წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ, გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების | ქვეგანყოფილების უფროსად.

**1932-1934** წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ, გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსის თანაშემწედ.

**1934-1935** წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის ფედერაციის, შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს და საქართველოს სსრ შინსახკომის სამმართველოების თანამშრომლად.

**1935** წელს იყო მივლინებული ირანში.

**1935-1936** წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის ფედერაციის, შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ.

**1936** წელს დაინიშნა ამიერკავკასიის ფედერაციის, შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს და საქართველოს სსრ შინსახკომის სამმართველოს ეკონომიკური განყოფილების უფროსად.

**1937** წელს დაინიშნა საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსის თანაშემწედ.

**1937-1938** წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად.

**1938** წელს დაინიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ და სსრკ შინსახკომის | სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსად.

**1938 წლის 28 დეკემბერს** მიენიჭა - „**სახელმწიფო უშიშროების III რანგის კომისრის**“ წოდება.

**1938-1939** წლებში მსახურობდა სსრკ შინსახკომის, სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-2 განყოფილების უფროსად, შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების, მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ და შინსახკომის საგამოძიებო ნაწილის უფროსად.

**1939-1941** წლებში მსახურობდა შინსახკომის, მთავარი ეკონომიკური სამმართველოს უფროსად.

1941 წელს დაინიშნა სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ.

1941-1943 წლებში მსახურობდა სსრკ შსს სახალხო კომისრის მოადგილედ.

1943 წლის 4 თებერვალს მიენიჭა - „სახელმწიფო უშიშროების მე-II რანგის კომისრის“ წოდება.

1943-1945 წლებში მსახურობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის | მოადგილედ.

1946-1947 წლებში მსახურობდა სსრკ საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული, საზღვარგარეთ (გერმანიაში), საბჭოთა ქონების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1947-1951 წლებში მსახურობდა მინისტრთა საბჭოსთან არსებული, საბჭოთა ქონების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ერთდროულად 1947-1949 წლებში იყო გერმანიაში საბჭოთა სამშედრო ადმინისტრაციის, მთავარი უფროსის მოადგილე, გერმანიაში საბჭოთა სააქციო საარმოთა მოღვაწეობის საკითხებში.

1948 წელს არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1949 წლიდან იყო გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სააქციო საზოგადოებების საქმეებში.

1951-1953 წლებში მსახურობდა მინისტრთა საბჭოსთან არს-ბული, საბჭოთა ქონების მთავარი სამმართველოს უფროსის | მოადგილედ.

1953 წლის მარტ-ივნისში მსახურობდა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის | მოადგილედ.

1953 წლის 27 ივნისს დააპატიმრეს ძმასთან ერთად „ბერიას საქმესთან“ დაკავშირებით.

1953 წლის 23 დეკემბერს მიესავა სასჯელის უმაღლესი ზომა -დახვრეტა. დახვრეტილია. არაა რეაბილიტირებული.

დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის (1931), ლენინის (1937, 1946, 1949), წითელი დროშის (1940, 1943, 1944, 1944, 1951), სუვოროვის | ხარ.,(1944), კუტუზოვის | ხარ., (1945), სამამულო ომის | ხარ.(1944), შრომის წითელი დროშის (1948) ორდენებით. აგრეთვე შინაგამის საპატიო მუშაკის (1932) სამკერდე ნიშნით.



არტურ გრიგოლის-ძე ქიშჩარიანცი  
(13.01.1889-22.06.1962)

სამად.სამს.გენერალ-მაიორი  
(21.04.1943)

დაიბადა ტფილისში, ექიმის და ბალერინას ოჯახში.

1914 წელს დაამთავრა წმ.ვლადიმერის უნივერსიტეტის (ქ.კიევი), სამედიცინო ფაკულტეტის სრული კურსი, მაგრამ გამოსაშვები გამოცდები ჩაააპარა 1916 წელს. მაშინვე მიიღო მან მკურნალი ექიმის დიპლომიც.

მონაწილობდა (1914-1916) წლების პირველ მსოფლიო ომში, ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე. მონაწილეობდა ცნობილ ბრუსილოვის გარღვევაში 1916 წელს. ორი მძიმე კონტუზისა და ჭრილობის შემდეგ, სამედიცინო კომისიის დასკვნით, გაამწესეს პეტროგრადის სათადარიგო პოლკში (სოფ.კრასნოიე სელოში).

1917 წელს მონაწილეობდა გამოსვლებში დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. იმავე წელს შევიდა წითელი გვარდიის ბატალიონში, რომლის შემადგენლობაში მოგვიანებით შევიდა წითელ არმიაში.

1917 წელს დაამთავრა არქეოლოგიური ინსტიტუტი პეტროგრადში. წითელ არმიაში ეკავა სამხედრო-სანიტარული უწყების რიგი თანამდებობები.

1919 წელს მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში გენერალ იუდენიჩის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც უტევდნენ პეტროგრადს, 1921 წელს მონაწილეობდა კრონშტადტის ამბოხის ჩახშობაში.

1922 წელს მონაწილეობდა საბჭოთა კარელიის დაცვაში თეთრფინელებისაგან.

1924-1926 წლებში მონაწილეობდა ბასმაჩების წინააღმდეგ ბრძოლებში, აღმოსავლეთ ბუხარაში.

1929 წელს ხელმძღვანელობდა სანიტარულ უზრუნველყოფას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზაზე, კონფლიქტის ლიკვიდაციის დროს (შორეულ აღმოსავლეთის წითელროშოვანი ცალკეული არმიის შემადგენლობაში).

1929-1930 წლებში მსახურობდა ციმბირის სამხედრო ოლქის სანიტარული სამმართველოს უფროსად.

1930-1934 წლებში მსახურობდა მოსკოვის სამხედრო ოლქის სანიტარული სამმართველოს უფროსად.

1934-1940 წლებში იყო კიროვის სახ. სამხედრო-სამედიცინო აკადემიის უფროსი.

1937 წლამდე იყო ამავე აკადემიის სამხედრო კომისარი. ხელ-მძღვანელობდა სამხედრო და სამხედრო-სანიტარული დისციპლი-ნების კათედრას. შექმნა სპეციალური ჰოსპიტალი, რომელიც მოქ-მედებდა ფინეთთან ომის დროს მონინავე პოზიციებზე და, პირა-დად ხელმძღვანელობდა ამ ჰოსპიტალს.

1941-1944 წლებში ლენინგრადის ბლოკადის დროს, მუშაობდა წითელი არმიის სამედიცინო შემადგენლობის დახელოვნების კურ-სების უფროსად, სადაც იყო მიწვეული ქალაქის პროფესურა. კურ-სები იქნა შექმნილი ერთ-ერთი დიდი ჰოსპიტლის ბაზაზე, რომელ-საც თვითონვე ხელმძღვანელობდა.

1935 წლის 23 ნოემბერს მიენიჭა „დივიზიის ექიმის“ სამხედრო წოდება.

1938 წლის 22 თებერვალს მიენიჭა „კორპუსის ექიმის“ სამხედ-რო წოდება.

1946 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ალი-მენტარული დისტრიციის დროს ლიმფატური ორგანოების გისტო-მორფოლოგია“ 1947 წლიდან იყო კიროვის სახ. სამხედრო-სამედი-ცინო აკადემიის, სამხედრო-სამედიცინო მომზადების კათედრის დოცენტი.

1949-1957 წლებში მუშაობდა ლენინგრადის პედიატრიული ინს-ტიტუტის სამხედრო-სამედიცინო მომზადების კათედრის უფროსად.

1957 წელს გავიდა პენსიაში. გარდაიცვალა ლენინგრადში.  
დაკრძალულია ბოგოსლოვსკის სასაფლაოს აკადემიურ მონაკ-  
ვეთზე.

ავტორია წიგნებისა "Работа мощного эвакогоспиталя в условиях блокированного города Ленинграда" (1942 г.) "Работа фронтового госпиталя для легко раненных (ФГЛР)" (1943 г.) "Гистоморфология лимфатической системы при алиментарной дистрофии" (1943 г.)

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებილი იყო ლენინგრადში, 2 წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, საპატიო ოქროს სახელობითი იარაღით.



## დანართი 2

საბჭოთა კავშირის ჯილდოები, რომელებითაც იყვნენ  
დაჯილდოებული საქართველოში დაგადებული სომხეთი  
გენერლები და აღმირლები



საბჭოთა კავშირის გმირის მედალი „ოქროს ვაესკვლავი“  
(დაწ. 1939 წ. 1 აგვისტოს) სოციალისტური შრომის გმირის ოქროს  
მედალი „ნამგალი და ჩაქუჩი“ (დაწ. 1940 წ. 22 მაისს)



ლენინის ორდენი (დაწ. 1930 წ. 5 მაისს)

ნიოთელი დროშის ორდენი (დაწ. 1918 წ. 16 სექტემბერს)  
შრომის ნიოთელი დროშის ორდ. (დაწ. 1928 წ. 7 სექტემბერს)  
საპატიო ნიშნის ორდენი (დაწ. 1935 წ. 25 ნოემბერს)  
ოქტომბრის რევოლუციის ორდენი (დაწ. 1967 წ. 31 ოქტომბერს)



ნიოთელი ვარსკვლავის ორდ. (დაწ. 1930 წ. 5 მაისს)

ალექსანდრე ნეველის ორდენი (დაწ. 1942 წ. 29 ივლისს)  
სამამულო ომის ორდენის I და II ხარ. (დაწ. 1942 წ. 20 მაისს)



სამამულო ომის ორდენის I და II ხარ.(1985)



სუვოროვის ორდენის I, II, III ხარ. (დაწ. 1942 წ. 29 ივლისს)



კუტუზოვის ორდენის I, II, III ხარ. (დაწ. 1942 წ. 29 ივლისს)



ბოგდან ხმელნიცევის ორდენის I, II, III ხარ. (დაწ. 1943 წ. 10 ოქტომბერს)



ნახიმოვის ორდენის II ხარ. ორდენი (დაწ. 1944 წ. 3 მარტს)



საქართველოს სსრ შრომის ნითელი დროშის ორდენი (1931)



საბჭ.კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის  
ორდენის III ხარ. (დაწ. 1974 წ. 28 ოქტომბერს)



სამკერდე ნიშნები «XV ВЧК-ГПУ» 1917-1932-(1932),  
„შინსახუმის დამსახურებული მუშაკი“ (1940),  
შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი“ (1968)  
„უშიშროების დამსახურებული მუშაკის“ (1957)



უშიშროების III, II და I რანგის კომისრის სამხრეები



გენერალ-მაიორის, გენერალ-ლეიტენანტის, გენერალ-პოლკოვნიკის  
და კონტრ-ადმირალის სამხრეები (1943 წ.)



ԵԱՀՈԼՈՒ VI

ՏՐԹԻՑԵՐՈՒՄ ՀԵՏԱՎԱՐԱԿԱՆ



ერივან ალექსანდრეს-ძე აპრიამოვი  
(დ.14.03.1954)

გენერალ-ლეიტენანტი (2007)

დაიბადა ქ.თბილისში (საქართველოს სსრ).

1971 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩააბარა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში.

1975 წლიდან მსახურობდა ოცმეთაურად, ბატარეის მეთაურად, შტაბის უფროსად, დივიზიონის მეთაურის მოადგილედ, რეაქტიული საარტილერიო დივიზიონის მეთაურად, ტანკსანინააღმდეგო საარტილერიო დივიზიონის მეთაურად.

1992 წლის ოქტომბერში სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა სომხეთის შეიარაღებული ძალების ტანკსანინააღმდეგო საარტილერიო პოლკის მეთაურად.

1996 წლის იანვარ-ივლისში სარდლობდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებას.

1996 წლის ივლის-2000 წლის მარტში-სარდლობდა საარმოი კორპუსს.

2000 წლის 14 მარტს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნა მთავარი შტაბის უფროსის მოადგილედ.

2000 წლის 30 მაისს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნა მთავარი შტაბის უფროსის I მოადგილედ.

დაამთავრა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემიასთან არსებული უმაღლესი აკადემიური კურსები.

1997 წლის 13 ოქტომბერს მიენიჭა „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება.

საპრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია საპატიონის ორდენით (სსრკ) და სომხეთის რესპუბლიკის საპრძოლო ჯვრის II ხარ. ორდენით.

**ვაგარშავ ვარდაზის-ძვ არუთუნიანი  
(დ. 28.04.1956)**

**გენერალ-ლეიტენანტი (20.09.1996)**



დაიბადა ქ. ახალქალაქში (საქართველოს სსრ).

გენერალ ვიაჩესლავ არუთუნიანის უფროსი ძმაა.

1978 წელს დაამთავრა კასპიის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი.

1991 წელს დაამთავრა ნ. კუზნეცოვის სახ. სამხედრო-საზღვაო აკადემია ქ. ლენინგრადში.

1998 წელს დაამთავრა რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის აკადემია.

1990 წლამდე მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში.

1991-1992 წლებში იყო სომხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, თავდაცვის კომიტეტის თავმ-ჯდომარის | მოადგილე.

1992-1994 წლებში იყო დსთ-ს შეიარაღებული გაერთიანებული მთავარსარდლობის შტაბის უფროსის მოადგილე.

**1994 წელს მიენიჭა „გენერალ-მაიორის,, სამხედრო წოდება.**

1994-1999 წლებში იყო სომხეთის რესპუბლიკის წარმო-მადგენელი დსთ-ს მონაწილე-ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა საბჭოში.

1999-2000 წლებში იყო სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი.

2002 წელს შევიდა ოპოზიციურ პარტია „რესპუბლიკაში“ სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით სამხედრო წოდების დისკრედიტაციისა და ოფიცრის უმაღლესი წოდების შეღახვისათვის ჩამოერთვა „გენერალ-ლეიტენანტის“ სამხედრო წოდება. 2019 წელს დაუბრუნეს სამხედრო წოდება.

2020 წელს დაინიშნა სომხეთის პრემიერ-მინისტრის, ნიკოლ ფაშინიანის მთავარ სამხედრო მრჩევლად.

2020-2021 წლებში იყო თავდაცვის მინისტრი.

2021 წლის 20 ივლისს დატოვა თანამდებობა.

2022 წელს დაინიშნა სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩიად რუსეთის ფედერაციაში.

**301ჩესლავ ვარდაზის-ძე არუთუნიანი  
(10.08.1948 -27.02.2009)**

**გენერალ-მაიორი (26.02.1992)**



დაიბადა ქ.ახალქალაქში (საქართველოს სსრ).

გენერალ ვაგარშაქ არუთუნიანის უფროსი ძმაა.

1968-1973 წლებში სწავლობდა ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1979-1987 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის შეზღუდულ სამსედრო კონტინგენტში, ავლანეთის დემოკრატიულ რეპუბლიკაში.

1987-1991 წლებში მუშაობდა სომხეთის სსრ ეროვნული უშიშროების აპარატში.

1991-1993 წლებში მუშაობდა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების მინისტრის | მოადგილედ.

1993-1997 წლებში მუშაობდა სომხეთის პრემიერ-მინისტრის მრჩევლად.

1997-2002 წლებში მუშაობდა სომხეთის განსაკუთრებული სიტუაციების მინისტრად.

დაკრძალულია ქ.მოსკოვში, ხოვანსკის სასაფლაოზე.



არარატ სუმბათის-ძე მაჟაფარიშვილი  
(დ.1951)  
პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი (2007)

დაიბადა ახალქალაქის რაიონში.

**პოლიციის გენერალ-მაიორი (23.08.2001)**

2007 წლიდან მუშაობს სომხეთის პოლიციის უფროსის  
მოადგილედ.



არქაზი ივანეს-ძე ტერ-თადევოსიანი  
( 22.05.1939-31.03.2021)  
გენერალ-მაიორი (25.05.1992)

სომხეთის ეროვნული გმირი (08.05.2021)

დაიბადა ქ.თბილისში (საქართველოს სსრ).

დაამთავრა თბილისის საშუალო სკოლა. ბაქოს საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებლის და ლენინგრადის ზურგისა და ტრანსპორტის სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიის შეზღუდულ სამხედრო კონტინგენტში, ავღანეთის დემოკრატიულ რეპუბლიკაში, შემდეგ გერმანიაში, ჩეხos-ლოვაკიასა და ბელორუსიაში, ხოლო 1987 წლიდან-სასომხეთში.

1988 წლიდან იღებდა აქტიურ მონაწილეობას მოხალისეთა სწავლებებში.

1990 წელს გახდა მოხალისეთა რაზმ „დავიდ სასუნცის“ - წევრი. რაზმი იცავდა სასაზღვრო სომხურ სოფლებს.

1991 წლის 6 მაისს დაინიშნა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული პირველი სახელმწიფო სამხედრო უწყების – თავდაცვის კომიტეტის გარეშე სამხედრო მომზადების განცოფილების უფროსად, რომელიც რთულ პოლიტიკურ პირობებში ახორციელებდა რესპუბლიკის სასწავლობდა დაწესებულებებში, ყოფილ დოსააფში და სხვა ორგანიზაციებში მიზნობრივ მუშაობას, სწავლობდა სახელმწიფოთა გამოცდილებას.

1991 წლის 13 ივნისს პოლკოვნიკი ტერ-თათევოსიანი იქნადაკავებული მოხალისეთა გადამზადებით. ავღანეთში მას ეძახდნენ „მთის მელას“ და უდავოდ აფასებდნენ მის ხელოვნებას მთიანი ომის წარმოებისას. სამშობლოში კი, პირადი შემადგენლობის სპეც-მომზადების განსაკუთრებული მეთოდიკისათვის მას შეარქვეს - „კომანდოსი“ აგრძელებდა თავისი ცოდნის და მდიდარი გამოცდილების გამოყენებას თავდაცვის სამინისტროს კადრების აღზრდის სამმართველოს უფროსის, შემდეგ კი მინისტრის თანაშემწის თანამდებობებზე, ხოლო 2002 წლიდან მუშაობდა ყოფილ დოსააფში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია **წითელი დროშის** და **საპატიო ნიშნის** ორდენებით (სსრკ), სომხეთის **საბრძოლო ჯვრის I ხარ.ორდენით**,

ერევნის საპატიო მოქალაქეა (1998).

**ოვანეს ვალარშავის-ძე უნაინაი  
(დ.10.06.1952)**

**პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი  
(2003)**



დაიბადა ქ.ახალქალაქში (საქართველოს სსრ).

1970-1975 წლებში სწავლობდა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1975 წლიდან მუშაობდა სომხეთის სსრ შსს აპარატში.

1975-1977 წლებში მუშაობდა სპანდარიანის რაიონის შს განყოფილებაში, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში, უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. 1977-1983 წლებში მუშაობდა იმავე განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად, შემდეგ უფროს ინსპექტორად.

1983 წლს დაინიშნა ქ.ერევნის შსს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების მთავარ ინსპექტორად.

1983-1984 წლებში ეკავა სპანდარიანის რაიონის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობა.

1984-1991 წლებში მუშაობდა ორჯონიქიძის რაიონის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ოპერატორულად, შემდეგ უფროს არატექნიკულად.

1991-1993 წლებში მუშაობდა იმავე განყოფილებაში, სისხლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსად, შემდეგ განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1993-1994 წლებში მუშაობდა შაუმიანის რაიონის შს განყოფილების უფროსად.

1994 წელს მუშაობდა ქ.ერევნის შს სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1994-1996 წლებში იყო სომხეთის რესპუბლიკის შსს მინისტრის მოადგილე.

1996-1997 წლებში-კვლავ შაუმიანის შს განყოფილების უფროსია.

1997 წელს მიენიჭა „პოლიციის გენერალ-მაიორის“ წოდება.

1997-2003 წლებში-კვლავ სომხეთის რესპუბლიკის შს მინისტრია მოადგილეა.

2003 წელს დაინიშნა სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსის მოადგილედ.

მინიჭებული აქვს - „რუსეთის ფედერაციის შსს დამსახურებული თანამშრომლის“ (2001), „სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების დამსახურებული თანამშრომლის“ (2002), „სომხეთის რესპუბლიკის შსს დამსახურებული თანამშრომლის“ (2003) წოდებები.

სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებულია **დამსახურებისათვის სამშობლოს** წინაშე (2001), და **მარშალ ბაგრამიანის** ორდენებით.

**იური გრიგოლის-ძე საჩატუროვი  
(დ.01.05.1952)**

**გენერალ-კოლეგოვი (15.04.2008)**



დაიბადა ქ.თეთრწყაროში (საქართველოს სსრ), (ყოფ.ბელი კლიუჯი). ავტ. შენიშვნა), მოსამსახურის ოჯახში.

1969 წელს, თეთრიწყაროს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩააპარა გამოცდები თბილისის საარტილერიო სამეთაურო წითელრომოვან სამხედრო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დამთავრა 1974 წელს.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა შორეული აღ-მოსავლეთის სამხედრო ოლქში, მოტომსროლელი დივიზიის, საარტილერიო პოლკის საცეცხლე ოცეულის მეთაურად.

1976-1982 წლებში ეკავა ბატარეის მეთაურის, საარტილერიო დივიზიონის მეთაურის მოადგილის – შტაბის უფროსის და შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ცალკეული ტანკსანიაღმდეგო საარტილერიო დივიზიონის მეთაურის თანამდებობები.

1982-1985 წლებში სწავლობდა ლენინგრადის მ.კალინინის სახ. სამხედრო საარტილერიო აკადემიის სამეთაურო ფაკულტეტზე. აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ბელორუსიის სამხედრო ოლქის სატანკო დივიზიის, სარაკეტო ჯარების და არტილერიის შტაბის უფროსად.

1987-1989 წლის თებერვლამდე მსახურობდა ავღანეთის დე-მოკრატიულ რესპუბლიკაში, მე-40 არმიის, მე-5 გვარდიული მო-

ტომსროლელი დივიზიონის სარაკეტო ჯარების და არტილერიის შტაბის უფროსად.

1989 წლის ოქტომბერში ავღანეთში სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ, დაინიშნა ბელორუსის სამხედრო ოლქის სატანკო არმიის, ცალკეული საარტილერიო ბრიგადის მეთაურად.

1992 წლის აპრილში ბელარუსის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის სპეციალური ბრძანებით იქნა მივლინებული სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის განკარგულებაში და, დაინიშნა მე-2 მოტომსროლელი პოლკის მეთაურად. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში.

